


# HELLO! GEORGIA

#008 მარტი 2017 • 4.00₾


## თაკო გაჩეჩილაძე
„ევროვიზიული“ დეტალებით

## BEAUTY *Special*
+240 საგაზაფხულო რჩევა

## ბექჰემები
სიყვარულის 20 წელიწადი

## ნუკა ყარალაშვილი
MISS GEORGIA

# OSCARS
„წითელი ხალიჩა“, გლამური, გამარჯვებულები, ემოციები


ISSUN 2449-2590

9 772449 259004


ახალი მგრძნობიარე არომატი
faberlic
by
VALENTIN YUDASHKIN


6+ რეკლამა
faberlic
by
VALENTIN
YUDASHKIN
faberlic.com
შპს "ფაბერლიკი-საქართველო", ს/კ 204540005; საქართველო, თბილისი, გ. გეგეჭკორის ქ. 18


ახალი ნათება
NEW LIGHT
Bed & Breakfast You Make Both
EGLO
my light | my style
ავსტრიული სანათები
ხელმისაწვდომ ფასად
AkhaliNateba
www.newlight.ge
220 24 24


ცხოვრების
ფრანგული
სტილი
GAUTIER
დამზადებულია საფრანგეთში
www.gautier.ge
Gautier Georgia
www.gautier.ge
220 24 24
თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 12კმ | ბათუმი, ხიმშიაშვილის 1

# რედაქტორის წერილი

*გილოცავთ მზიანი და ფერადი სეზონის დადგომას! მიხარია, რომ გაზაფხულს **HELLO!**-სთან ერთად იწყებთ და საინტერესო ამბებს სწორედ ჩვენს ფურცლებზე ეცნობით. იმედია თქვენს მოლოდინს ამჯერადაც გავამართლებთ.*

რასაკვირველია, მარტის **HELLO!**-ში განსაკუთრებული ადგილი ქალბატონებს დაეთმობა. **ნუკა ყარალაშვილი**, რომელიც „მის სამყაროზე“ საქართველოს წარადგენდა, მოგზაურობის ამბებს გაგვანდობს და საკუთარ გამოცდილებას გაგვიზიარებს. ახლოს გავიცნობთ სხვა **წარმატებულ ქართველებსაც**, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით საქართველო მსოფლიო ასპარეზზე ასახელეს. გარდა ამისა, გავიგებთ იმ ათი ქალის ვინაობას, რომლებიც მკითხველებმა წლის მთავარ გმირებად დაასახელეს.

გვერდს ვერაფრით ავუვლით კინოსამყაროში მიმდინარე მოვლენებს – **„ოსკარის“** დაჯილდოებამ, როგორც ყოველთვის, ხმაურიანად ჩაიარა და თითოეულ მაყურებელს უამრავი ემოციური მომენტი უსახსოვრა. არანაკლებ საინტერესო იყო **„ბერლინალე“**, სადაც **რეზო გიგინეიშვილის „მძევლების“** წარმატებული პრემიერა შედგა. ჩვენს კინორუბრიკაში ამის შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ.

**HELLO!** ვიზალიბერალიზაციით გამოწვეულ სიხარულსაც გაიზიარებს და საჭირო ინფორმაციით მომარაგებასთან ერთად, იდეალური **ევროპული არდადეგების** დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

ცხადია გაზაფხულის დადგომა წარმოუდგენელია განახლებული გარდერობის გარეშე. ჩვენი მოდის ექსპერტები მსოფლიო პოდიუმებზე შემჩნეულ ტენდენციებსა და იმ სამოსს შემოგთავაზებენ, რომლებიც თბილისშიც შეგიძლიათ შეიძინოთ.



რაც შეეხება სილამაზისა და თავის მოვლის ბლოკს, აქაც გაზაფხულის დადგომა და ამინდის ცვლილებაა მთავარი აქცენტი. ანტიცელულიტური პროცედურები, მზადება საზღვაო სეზონისთვის და სახის კანის მოვლის ინოვაციური პროცედურები.

**მოკლედ**, თქვენს ხელში გაზაფხულივით მრავალფეროვანი ნომერია, რომელიც მკითხველის შეფასებებს ელის. გისურვებთ მზიან ამინდებს, ფერად დღეებსა და მოვლენებს, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში ნამდვილ გაზაფხულს მოიყვანენ...

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი

გვ. 104





გვ. 92





გვ. 116




the new intense fragrance

paco rabanne

www.lutecia.ge
fb.com/lutecia.official
instagram.com/lutecia.official

LUTECIA
Perfume & Cosmetics

HELLO! GEORGIA
#008 • მარტი • 2017

# სარჩევი


28 ემა სტოუნი


ნუცა ყარალაშვილი 62



LOUDSPEAKERS 42


ბექჰემების ოჯახი 52

## ვარსკვლავური ისტორიები


**28 ემა სტოუნი** – იმედგაცრუებებიდან „ლა ლა ლენდამდე“

**32 თაკო გაჩეჩილაძე** „ევროვიზიული“ დეტალებით

**42 LOUDSPEAKERS** – ქართული ალტერნატიული როკჯგუფი მეორე სტუდიური ალბომის შესახებ

**52 ბექჰემები** – სიყვარულის ოცი წელიწადი

**62 ნუცა ყარალაშვილი** „მის სამყაროზე“ მიღებული შთაბეჭდილებებით

**72 ქართველი ქალბატონების** წარმატების ისტორიები


## მუდმივი რუბრიკები


**38 CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!

**48 INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

**58 PANORAMA** – საქართველოს ვიზალიბერალიზაცია

**60 30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

**130 HALF HOUR** – ანა შელია


დასაწ. **91** გვ.-დან

## lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



# -50% - მდე ფასდაკლება

## კოსმეტიკის რჩეულ ფრანგულ ბრენდებზე

### 1-დან 15 მარტის ჩათვლით

VICHY LABORATOIRES · NUXE PARIS · TOPICREM · LABORATOIRES LIERAC PARIS · PHYTO PARIS · DR Docteur Renaud PARIS · EAU THERMALE Avène · LA ROCHE-POSAY LABORATOIRE PHARMACEUTIQUE · Christian BRETON PARIS




ჯიპისი GPC



ემოციური მადლობა გადაიხადა ემა სტოუნმა, რომელიც საუკეთესო მსახიობად დაასახელეს



ყველა დროის მთავარი კინომოვლენა

# ოსკარი 2017

## მთავარი გმირები, შეფასებები და ემოციები







დემიენ შაზელის თანამედროვე მიუზიკლი „დოლბის“ თეატრის სცენაზე კიდევ ერთხელ გაცოცხლდა – ჯონ ლეჯენდმა ფილმის სიმღერები ერთ დადგმაში გააერთიანა და მაყურებელს მომაჯადოებელი სანახაობა უსახსოვრა.

„ეს ფილმი ჩვეულებრივ ადამიანებზე, სიტყვებზე, სიცოცხლეზე, მიტევებისა და მადლიერების უნარზე მოგვითხრობს. მადლობა საუკეთესო კოლეგებსა და ჩემს კაპიტანს – დენზელ ვაშინგტონს“



**ხალიჩიდან სცენამდე გზა არც ისე გრძელი აღმოჩნდა ჯასტინ ტიმბერლეიკისთვის, რომელმაც „ოსკარზე“ წარდგენილი საუნდტრეკი CAN'T STOP THE FEELING (ანიმაციიდან „ტროლები“) ცოცხლად შეასრულა და კომიკური ელემენტებით მთელი დარბაზი გაახალისა**

სიხარული, ცრემლები, ამაღელვებელი სიტყვები, საოცრად დადგმული შოუ და „ოსკარის“ ისტორიაში ყველაზე დიდი შეცდომა – ასეთი იყო „დოლბის“ თეატრში გამართული ამერიკული კინოაკადემიის რიგით 89-ე დაჯილდოება, რომელიც განხილვის საგნად კიდევ დიდხანს დარჩება...

საღამოს მთავარ გმირებად „ლა ლა ლენდი“ და „მთვარის შუქი“ იქცნენ. სწორედ ამ უკანასკნელში შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის დაჯილდოვდა ალი მაჰერშალა, რომელმაც აუდიტორიის პირველი აპლოდისმენტები დაიმსახურა. ბარი ჯენკინსის „მთვარის შუქი“, რომელიც მაიამიში დაბადებული - ბავშვის რთულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს, საუკეთესო ადაპტირებულ სცენარადაც აღიარეს.

საოცარი ფერები, ჯადოსნური მუსიკა, დაუვიწყარი კადრები, ლამაზი კოსტიუმები, ორიგინალური ცეკვები, მარტივი იუმორი, შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმი და ემოციების ნამდვილი ფეიერვერკი – სწორედ ამ ნიშნებით გამოარჩიეს „ლა ლა ლენდი“, რომელმაც „ოსკარის“ 14 ნომინაცია და 6 ჯილდო დაიმსახურა. დემიენ შაზელსა და ჯასტინ ჰურვიცს ჯილდო საუკეთესო რეჟისურისა და მუსიკალური გაფორმებისთვის გადასცეს, საუკეთესო საუნდტრეკად კი ამავე სურათისთვის დაწერილი City of Stars დასახელდა, რაზეც მისმა ერთ-ერთმა შემქმნელმა – ბენჯ პასეკმა, განსაკუთრებული  კომენტარი გააკეთა: „ეს ჯილდო ეძღვნებათ იმ ბავშვებს, რომლებიც წვიმაში მღერიან და იმ დედებს, რომლებიც შვილებს ამის უფლებას აძლევენ“.

ემოციური მადლობა გადაიხადა ემა სტოუნმა, რომელიც საუკეთესო მსახიობად დაასახელეს. „ლა ლა ლენდმა“ „ოსკარი“ ▶

**როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მერილ სტრიპისა და დონალდ ტრამპის „ურთიერთობას“. ჯერ იყო და ჯიმი კიმელმა „გადაჭარბებულად შეფასებულ“ მსახიობს მთელი აუდიტორიის აპლოდისმენტები აჩუქა, შემდეგ კი არ დაიზარა და ქვეყნის პირველ პირს Twitter-ზე მისწერა: „დონალდ, მერილმა მოგიკითხა“.**





**ემა სტოუნი: „ვიცი, რომ სასწავლი და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი მაქვს“.**



საუკეთესო მხატვრობისა და საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრის ნომინაციებშიც მიიღო.

დიდი იმედი მყარდებოდა მელ გიბსონის „ჰაქსოუს გმირზეც“, თუმცა ნამუშევარმა „ოსკარი“ მხოლოდ მონტაჟისა და ხმის მიქსინგისთვის დაიმსახურა. ორი საპატიო ჯილდო ერგო კენეტ ლონერგანის „ზღვისპირა მანჩესტერსაც“ – გარდა სცენარისა, საუკეთესოდ დასახელდა მისი მთავარი გმირიც – კეისი აფლეკი, რომელმაც გამარჯვება ძმას – ბენ აფლეკს გაუზიარა.

დენზელ ვაშინგტონის „წინაღობებში“ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის დააჯილდოვეს ვაიოლა დევისი, რომელმაც ცრემლები ვერ შეიკავა და მაყურებელს თავი ემოციური სიტყვით დაამახსოვრა.

ვარაუდობდნენ, რომ მეტ „ოსკარს“ მიიღებდა „ჩამოსვლა“, რომელშიც მთავარ როლს ემი ადამსი ასრულებდა, თუმცა ნამუშევარი მხოლოდ ხმის მონტაჟისთვის დააჯილდოვეს. იმედები გაუცრუვდათ „ჯეკის“ გულშემატკივრებსაც. ჟაკლინ კენედიზე გადაღებულმა სურათმა აღიარება საუკეთესო კოსტიუმებისთვისაც კი ვერ მოიპოვა. ამ ნომინაციაში „ფანტასტიკური მხეცები და სად ვიპოვოთ ისინი“ დააჯილდოვეს. ვიზუალური ეფექტებით კი „ჯუნგლების წიგნი“ გამოარჩიეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოკუმენტურ ჟანრსა და მოკლემეტრაჟიან ნამუშევრებსაც. საუკეთესო ანიმაციის ჯილდო ყველასთვის საყვარელ „ზოოტოპიას“ ერგო. როგორც



დემიენ შაზელი: „ლა ლა ლენდი“ არის ფილმი სიყვარულის შესახებ და ძალიან გამიმართლა, რომ ჩემი სიყვარული სწორედ ამ სურათის შექმნისას ვიპოვე“.

აღნიშნეს, ეს ისტორია საუკეთესოდ წარმოაჩენს ტოლერანტობის მნიშვნელობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ოსკარებზე“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამერიკის პრეზიდენტს. მთავარ როლში მერილ სტრიპისა და დონალდ ტრამპის „ურთიერთობა“ მოექცა. ჯერ იყო და ჯიმი კიმელმა „გადაჭარბებულად შეფასებულ“ მსახიობს მთელი აუდიტორიის აპლოდისმენტები აჩუქა, შემდეგ კი არ დაიზარა და ქვეყნის პირველ პირს Twitter-ზე მისწერა: „დონალდ, მერილმა მოგიკითხა“. ტრამპის მოწინააღმდეგე ნომინანტებიდან ყველაზე „ხმამაღალი“ ირანელი რეჟისორის – ასგარ ფარხადის განცხადება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ნამუშევარმა – „გამყიდველმა“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში გაიმარჯვა, რეჟისორი ცერემონიაზე მაინც არ გამოცხადდა და აუდიტორიას წერილი გაუგზავნა: „თქვენთან იმიტომ ვერ ვარ, რომ მინდა პატივისცემა და სოლიდარობა გამოვხატო ყველა იმ ერის მიმართ, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლა აეკრძალათ. მე ცალსახად ვეწინააღმდეგები ამ არაადამიანურ მიდგომებს, უსამართლობასა და აგრესიას“.

ამერიკული კინოაკადემიის რიგით 89-ე ცერემონიის კულმინაციად ბოლო ეპიზოდი იქცა – ლეგენდარული ფრაზა And the Oscar goes to... ▶



საოცარი ფერები, ჯადოსნური მუსიკა, დაუვიწყარი კადრები, ლამაზი კოსტიუმები, ორიგინალური ცეკვები, მარტივი იუმორი, შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმი და ემოციების ნამდვილი ფეიერვერკი - სწორედ ამ ნიშნებით გამოარჩიეს „ლა ლა ლენდი“, რომელმაც 14 ნომინაცია და 6 „ოსკარი“ დაიმსახურა.







**კეისი აფლეკი: „ერთ-ერთი პირველი, ვის გამოც მსახიობობა მოვინდომე, დენზელ ვაშინგტონი იყო. დღეს მას პირადად შევხვდი, რითიც ძალიან ვამაყობ“.**



უკანასკნელად გაისმა და უორენ ბიტიმ და ფეი დანაუეიმ საუკეთესო მხატვრული ფილმის დასახელება დააპირეს. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ნანატრი ხმაც გაისმა: „ლა ლა ლენდი“! არაფერი სჯობდა იმის ყურებას, როგორ იმარჯვებდა ოცნებები, როგორ მიემართებოდა მეოცნებეთა მთელი გუნდი სანუკვარი „ოსკარის“ მისაღებად და როგორ უხდიდა თითოეული მათგანი მადლობას საყვარელ ადამიანებს... მოულოდნელად ყველაფერი აირია და რამდენიმე წამში სცენისკენ „მთვარის შუქის“ შემოქმედებითი ჯგუფი გაემართა! ეს იმიტომ, რომ გამომცხადებლებმა შეცდომა დაუშვეს და გამარჯვებული თურმე სხვა კონვერტიდან ამოიკითხეს. უპრეცედენტო სანახაობა იყო, როგორ ცვლიდა სცენაზე ასულ „ლა ლა ლენდს“ „მთვარის შუქი“ და რა გამომეტყველება იკითხებოდა თითოეული მაყურებლისა თუ ნომინანტის სახეზე. უორენ ბიტი თავის მართლებას ცდილობდა: „კონვერტი რომ გავხსენი, ემა სტოუნი ეწერა. მეგონა, ეს „ლა ლა ლენდის“ გამარჯვებას ნიშნავდა“. უხერხულად გრძნობდა თავს შოუს წამყვანიც, რომელიც სიტუაციის განმუხტვას ისევ და ისევ იუმორით ცდილობდა: „ეს ამბავი ალბათ სტივ ჰარვის ბრალია! ვიცოდი, რომ რაღაცას გავაფუჭებდი“.

მოკლედ, საუკეთესო მხატვრული ფილმის ტიტული „მთვარის შუქს“ გადაეცა, „ლა ლა ლენდი“ კი ექვს ნომინაციაში გამარჯვებას დასჯერდა და კონკურენტს პრიზი ღირსეულად დაუთმო.

გაოგნებულ აუდიტორიას ჯიმი კიმელი სიტუაციის შესაბამისად დაემშვიდობა: „გმადლობთ, რომ გვიყურეთ. გპირდებით, რომ „ოსკარზე“ ვეღარასოდეს მიხილავთ! ნახვამდის“.

როგორც მიხვდით, ამერიკული კინოაკადემიის წლევანდელ დაჯილდოებაზე კიდევ დიდხანს ისაუბრებენ, იმსჯელებენ, იჩხუბებენ, იცინებენ და იკამათებენ. 2017 წლის 26 თებერვალი კი სამუდამოდ დარჩება დღედ, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე მეტი კინომოყვარული გააოგნა.

**ბარი ჯენკინსის „მთვარის შუქი“, რომელიც მაიამიში დაბადებული შავკანიანი ბავშვის რთულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს, საუკეთესო მხატვრულ ფილმად აღიარეს. მანვე აიღო „ოსკარი“ საუკეთესო ადაპტირებული სცენარისა და მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციებში.**



## საუკეთესო მხატვრული ფილმის ტიტული „მთვარის შუქს“ გადაეცა



ფოტო: GETTY IMAGES.




WELLA PROFESSIONALS-ის, LONDA PROFESSIONAL-ისა და NIOXIN-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიქსი

ვ. დოლიძის ქ. 46

032 229 58 00

facebook.com/WellaProfessionalsStudioGeo

# საუკეთესო ლუქები

## „ოსკარის“ წითელი ხალიჩიდან

ცერემონიალის ისტორიაში ყველაზე ოქროსფერი კაბა, დიდი დოზით მეტალიკი და შავი, მასიური ყელსაბამები და კლასიკური სილუეტების სრულიად ახლებური ვარიაციები – „ოსკარის“ წლევანდელი „წითელი ხალიჩა“ ისეთივე არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა, როგორიც თავად დაჯილდოება. ცხადია მთავარი ფიგურები, რომელთა ჩაცმულობა საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებდა, ნომინანტები იყვნენ, თუმცა სხვა A LIST ვარსკვლავებმაც საკმაოდ საინტერესო და დასამახსოვრებელი სტილი შემოგვთავაზეს. HELLO!-მ თქვენთვის ყველაზე გამორჩეული და განსაკუთრებული STATEMENT MAKING LOOK-ები შეარჩია, რომლებზეც მსოფლიო კიდევ დიდხანს ილაპარაკებს.





### კრისი ტეიგენი

ჯონ ლეჯენდის მეუღლე რომ „ოსკარისთვის“ განკუთვნილ გარდერობს საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდა, ამაში ჯერ კიდევ 2015 წელს, **ZUHAIR MURAD**-ის ლაჟვარდისფერმა კაბამ დაგვარწმუნა. მოდელმა საყვარელ დიზაინერს არც ამჯერად უღალატა. თეთრი კაბა გრძელი სახელოებით, გამჭვირვალე გულითა და მეტალიკის აქცენტებით – კრისი ტეიგენმა ნამდვილად ღირსეულად დაიმსახურა „წითელი ხალიჩის“ ერთ-ერთი ფავორიტის ტიტული.



## კარლი კლოსი

სუპერმოდელის HEAD TO TOE თეთრი, მინიმალისტური **STELLA MCCARTNEY**-ის LOOK-ი ძალიან ჰგავდა გვინეტ პელტროუს TOM FORD-ის კაბას 2012 წლის „წითელი ხალიჩიდან“. თუმცა მსახიობისგან განსხვავებით, რომელმაც თამამ სამკაულებზე უარი თქვა, კარლიმ აღნიშნულ LOOK-თან საკმაოდ მასიური – „ჩოკერის“ ტიპის კრიტალებიანი ყელსაბამი და საყურე მოირგო, რომელსაც სადად გაშლილი ტალღოვანი თმაც ძალიან მოუხდა.



## ჰაილი სტეინფილდი

**RALPH & RUSSO**-ს ღია ნაცრისფერი შიფონის ზღაპრული კაბა ყვავილების ნაზი, 3D-პრინტებით იდეალური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ახალგაზრდა მსახიობს „წითელ ხალიჩაზე“ დახვეწილობა, სექსუალურობა და ინდივიდუალურობა იდეალურად დააბალანსოს.



## ᲨᲐᲠᲚᲘᲖ ᲢᲔᲠᲝᲜᲘ

გასაკვირი არაა, რომ **DIOR**-ის ცნობილი სუნამოს – JADORE-ის უცვლელმა სახემ „ოსკარის“ „წითელი ხალიჩისთვის“ საკუთარი ჩაცმულობა სწორედ ფრანგულ მოდის სახლს ანდო. წლევანდელი „წითელი ხალიჩის“ TOP-ტრენდის მუქი მეტალიკის კაბა ბერძნული ქალღმერთის სტილის აქცენტებით 41 წლის მსახიობმა ძალზე მასიურ, განსხვავებული ტონის საყურესთან და საკმაოდ სადა ვარცხნილობასთან მოირგო.

**ოქროსფერ მეტალიკის კაბას გარდამავალი ფერებითა და მკვეთრი მბზინვარებით ჯასტინ ტიმბერლეიკის მეუღლემ საკმაოდ თამამი და მასიური STATEMENT ყელსაბამი შეუხამა**



## ᲯᲔᲡᲘᲙᲐ ᲑᲘᲚᲘ

**KAUFMAN FRANCO**-ს მეტალიკი კაბა საღამოს ერთ-ერთი ტრიუმფატორი აღმოჩნდა. დიზაინერთა დუეტი აქამდეც ქმნიდა სამოსს „წითელი ხალიჩისთვის“, თუმცა ვარსკვლავები მათ კაბებს უფრო ცერემონიალის შემდგომ წვეულებაზე ატარებდნენ. წელს კი, პირველად, მათი ქმნილება ჯესიკა ბილის რანგის ვარსკვლავმა მოირგო. ოქროსფერ მეტალიკის კაბას გარდამავალი ფერებითა და მკვეთრი მბზინვარებით ჯასტინ ტიმბერლეიკის მეუღლემ საკმაოდ თამამი და მასიური STATEMENT-ყელსაბამი შეუხამა. Kaufman Franco-ს კაბამ იმდენი დადებითი შეფასება დაიმსახურა, რომ მომდევნო წლებში მათ ნამუშევრებს „წითელ ხალიჩაზე“ აუცილებლად უფრო დიდი დოზით ვიხილავთ.





## ემა სტოუნი

„ლა ლა ლენდის“ ვარსკვლავისთვის ცერემონიალი მის ფილმზე გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა – გარდა იმისა, რომ ემამ საუკეთესო ქალი მსახიობის ნომინაციაში გამარჯვება მოიპოვა, მსახიობმა ღირსეულად დაიმსახურა ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონის ტიტულიც. **GIVENCHY**-ს ფოჩებითა და ბისერებით შექმნილი ბრჭყვიალა ოქროსფერი კაბა გარდამავალი ფერებითა და ორნამენტებით „წითელი ხალიჩის“ პროტოკოლისთვის საკმაოდ მოულოდნელი, თუმცა მომგებიანი აღმოჩნდა. ვინტაჟური, OLD SCHOOL ჰოლივუდის სტილის კაბა საღამოს ერთ-ერთი უკონკურენტო ფავორიტი გახდა.



## ნიკოლ კიდმანი

ვარსკვლავებს, რომლებსაც „წითელი ხალიჩისთვის“ მზადების 20-წლიანზე მეტი სტაჟი აქვთ, საკმაოდ მარტივად გამოარჩევთ სხვებისგან – ყოველთვის აქვთ საკუთარი, გამოკვეთილი ინდივიდუალური სტილი და თამამ ექსპერიმენტებსაც როგორც წესი ერიდებიან. ნიკოლ კიდმანიც სწორედ ასეთ მსახიობებს შორისაა. **ARMANI PRIVE**-ის კრემისფერი NUDE-კაბა ნაქარგებითა და კრისტალებიანი ორნამენტებით მხოლოდ ნიკოლის რანგისა და რეპუტაციის ვარსკვლავისთვის იყო შექმნილი. უფრო ახალგაზრდა ან გამოუცდელი მსახიობი, ამ LOOK-ს ასე თავდაჯერებულად ვერ მოირგებდა.

# OSCAR BEAUTY

საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის მქონე კინოჯილდოების ცერემონიალი... 



„წითელი ხალიჩის“ მაკიაჟი მთლიანად სისადავესა და ბუნებრიობაზე იყო ორიენტირებული.







თამამი ტონის ტუჩსაცხებით, თუმცა მინიმალური მაკიაჟით ვიხილეთ კირსტენ დანსტი.

**ვარსკვლავების მიერ „წითელ ხალიჩაზე“ მორგებულ სტილს მოგვიანებით უამრავი ქალბატონი იტაცებს**







## წლევანდელ „წითელ ხალიჩაზე" თმის აქსესუარების უამრავი ვარიაცია ვიხილეთ

ყველაზე შესამჩნევი ტრენდი მაინც მქრქალის ეფექტის, სადა ტონალობის ტუჩსაცხები იყო. ფელისიტი ჯონსმა NUDE-ტონალობის ოდნავ მბზინვარე პომადა, ხოლო მიშელ უილიამსმა ღია ყავისფერი ტუჩსაცხი საკმაოდ კარგად შეუხამა მთლიან LOOK-ს.

ბრი ლარსონმა შედარებით მკვეთრი წითელი პომადა 1980-იანების სტილის ტალღოვან ვარცხნილობასთან მოიხდინა. მის მსგავსად, უფრო თამამი ტონის ტუჩსაცხებით, თუმცა მინიმალური მაკიაჟით ვიხილეთ რუთ ნიგა და კირსტენ დანსტი.

სკარლეტ იოჰანსონი, შარლიზ ტერონი და დაკოტა აბსოლუტურად ბუნებრივი, მინიმალისტური NUDE MAKE UP-ით გამოცხადდნენ „წითელ ხალიჩაზე". შარლიზმა უმაკიაჟობა მასიური საყურეებით დააბალანსა, ხოლო დანარჩენმა 2-მა მსახიობმა ვარცხნილობაც კი საკმაოდ სადა და ყოველდღიური შემოგვთავაზა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამივე ვარსკვლავმა დაგვანახა, რომ ქალის მთავარი ხიბლი თავდაჯერებულობა და ბუნებრივობაა.

ყველაზე გამორჩეული ვარცხნილობებით წელს ნიკოლ კიდმანმა, ალისია ვიკანდერმა და ჰეილი სტეინფილდმა დაგვამახსოვრეს თავი – ვარსკვლავებმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს, რომ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, სადა აწეული თმითაც შეუძლიათ შესანიშნავად გამოიყურებოდნენ.

სრულიად მოულოდნელად, წლევანდელ „წითელ ხალიჩაზე" თმის აქსესუარების უამრავი ვარიაცია ვიხილეთ: სელმა ჰაიეკმა უკან გადაწეულ გაშლილ თმასთან დიადემის ტიპის სამაგრი მოირგო, რუთ ნიგამ კი VALENTINO-ს მკვეთრი ფერის წითელ კაბას კონტრასტული წითელი თმის აქსესუარი შეუხამა.

ტექსტი: თათია ლეშკაშელი. ფოტო: GETTY IMAGES.







ვარსკვლავებმა
კიდევ ერთხელ
დაგვიმტკიცეს,
რომ ზედმეტი
ძალისხმევის
გარეშე, სადა
აწეული თმითაც
შეუძლიათ
შესანიშნავად
გამოიყურებოდნენ


მსახიობი
რენატა ლიტვინოვა
წარმოგიდგენთ ხაზს PLATINUM
faberlic
faberlic.com

6+ წლიდან

faberlic

# PLATINUM

# უმაღლესი სინჯის ქვირფასი ზრუნვა

**Faberlic-ის ლაბორატორიის და იტალიელი სპეციალისტების ინოვაცია**

**კანის ინტენსიური გაახალგაზრდავება და აღდგენა პლატინის კომპლექსის ფუძეზე**

**75%**

გამოკითხვის შედეგების მიხედვის მომხმარებელთა 75%-მა აღნიშნა გამათანაბრებელი ეფექტი დღის კრემის პირველივე წასმის შემდეგ[1]







დიდებული ტექსტურები და „ჭკვიანი“ airless შეფუთვა, რომელიც გამორიცხავს ჰაერის შეტანას

შპს "ფაბერლიკი-საქართველო", ს/კ 204540005; საქართველო, თბილისი, გ. გამსახურდიას ქ. 18

[1] კომპანიის GATTE FOSSÉ (საფრანგეთი) მიერ წარმოდგენილი აქტიური კომპლექსის SKINARCHITECT კვლევების შედეგების მიხედვით



# დიდი ეკრანის მთავარი გმირი

# ემა სტოუნი

## ძველ იმედგაცრუებებსა და „ლა ლა ლენდის“ მთავარ იდეაზე საუბრობს

„ლა ლა ლენდისა“ და იმ საოცარი ნიჭის დამსახურებით, რომელიც არაერთხელ გამოავლინა, ემა სტოუნი დღეს ყველა კინომოყვარულის განხილვის მთავარი საგანია. მაყურებელთა უმეტესობა თანხმდება იმას, რომ ახალგაზრდა მსახიობი ნამდვილად იმსახურებდა იმ პრიზებს, რომლებიც ყველაზე პრესტიჟულ დაჯილდოებებზე მიიღო.

„ჩემი გამარჯვება მეოცნებეებს ეძღვნებათ“, – აღნიშნა ემამ „ოქროს გლობუსის“ ცერემონიაზე „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ჯილდოს მიღებისას – „ეძღვნებათ იმ შემოქმედებით ადამიანებს, რომლებსაც კარს ცხვირწინ უჯახუნებენ – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით“. ცნობილია, რომ თავადაც ხშირად ყოფილა დახურულ კარს მიღმა და მისი ცხოვრებაც ძალიან წააგავს იმ ზღაპრულ ამბავს, რომელზეც „ლა ლა ლენდი“ მოგვითხრობს.

ჯერ კიდევ 15 წლის იყო, როდესაც სწავლას თავი გაანება და „ანგელოზების ქალაქს“ თავისი ოცნებებითა და იმედებით ეწვია. მიას მსგავსად, უარი მანაც ბევრჯერ მიიღო და მარცხის ეს ისტორიები ფილმის სცენარშიც გამოიყენა. თუმცა ოცნება მაინც აისრულა და დღეს ის მსახიობია, რომელზეც მთელი მსოფლიო აღტაცებით საუბრობს. 28 წლის მეოცნებე გოგონას უამრავი მეგობარი ჰყავს და მის წარმატებას ის მსახიობებიც სიხარულით იზიარებენ, ვინც კონკურენტებად მოიაზრებიან. მაგალითებად მერილ სტრიპი და ნატალი პორტმანიც კმარა – სწორედ მათ ჩამოართვა სტოუნმა საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტული. 36 წლის რაიან გოსლინგი მის ნიჭიერებას ერთ წინადადებაში აჯამებს: „ის ყველასგან განსხვავდება და ერთდროულად ყველაფერია“...

HELLO!-ს ექსკლუზიურ ინტერვიუში ემა ოცნებებზე, შიშებზე, იმედებსა და თავისი თვალით დანახულ „ლა ლა ლენდზე“ საუბრობს...

**ემა, „ლა ლა ლენდში“ თქვენი პერსონაჟი ბევრ იმედგაცრუებას ხვდება. როგორ იყო თქვენს შემთხვევაში?**

**ე.ს.** კარგად მახსოვს დღეები, როცა საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადმოვედი და ფეხის ყოველ ნაბიჯზე იმედგაცრუებას ვაწყდებოდი. სამ თვეში ერთხელ მაინც დგებოდა მომენტი, როცა იატაკზე ვიჯექი, ხმამაღლა ვტიროდი და საკუთარ ▶

ემა ჯერ კიდევ 15 წლის იყო, როდესაც სწავლას თავი გაანება და „ანგელოზების ქალაქს“ თავისი ოცნებებითა და იმედებით ეწვია. მიას მსგავსად, უარი მანაც ბევრჯერ მიიღო და მარცხის ეს ისტორიები ფილმის სცენარშიც გამოიყენა. თუმცა ოცნება მაინც აისრულა და დღეს ის მსახიობია, რომელზეც მთელი მსოფლიო საუბრობს.




„ჩემი ჯილდო მეოცნებეებს ეძღვნება... იმ შემოქმედებით ადამიანებს, რომლებსაც კარს ცხვირწინ უჯახუნებენ – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით“




**„კარგად მახსოვს დღეები, როცა საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადმოვედი და ფეხის ყოველ ნაბიჯზე იმედგაცრუებას ვაწყდებოდი“**




**რაიანმა და ემამ „ლა ლა ლენდში“ იდეალური კინოწყვილი შექმნეს. ერთად მანამდეც უთამაშიათ, თანაც ორ ფილმში - Crazy Stupid Love-სა (2011) და კრიმინალურ დრამაში Gangster Squad (2013). „ის ყველასგან განსხვავდება და ერთდროულად ყველაფერია“, – ამბობს გოსლინგი სტოუნზე.**

თავს ვეკითხებოდი: „ემა, რა ჯანდაბას აკეთებ? რა გინდა? ეს ყველაფერი სრული ბოდვაა“. ასეთი მომენტები დღესაც კი მაქვს ხოლმე.

**რა გაძლევდათ წამოდგომისა და გზის გაგრძელების ძალას?**

ე.ს. სკოლაში სწავლას თავი ნაადრევად გავანებე და მხოლოდ კასტინგებზე დავდიოდი. ასეთი იყო ჩემი ცხოვრება – მუდმივი მცდელობები, რომლებიც მახვედრებდა, რომ ყველაფერს ერთიანად ვერ მივაღწევდი. მაგრამ როცა მუდმივად ცდილობ და არ ნებდები, შესაძლებლობებიც ჩნდება. ჯერ მთელ შოუში/ფილმში ერთი წინადადების თქმის უფლებას გაძლევენ და ეს ისე გახარებს, რომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაშიც კი გყოფნის მოტივაციისა და შემართებისთვის. შემდეგ რეკლამაში გიღებენ და ასე, ნელ-ნელა მიიწევ წინ. ასეთი იყო ჩემი ისტორიაც. წამოდგომის ძალას მიღებული, თუნდაც უმნიშვნელო შესაძლებლობები მაძლევდა.

**რა რეაქცია გქონდათ, როცა „ლა ლა ლენდის“ სცენარს პირველად გაეცანით?**

ე.ს. იმ პერიოდში „კაბარეში“ ვმონაწილეობდი. დემიენ შაზელი (რეჟისორი) სპექტაკლზე მოვიდა ისე, რომ მისი იქ ყოფნის შესახებ წარმოდგენა არ მქონდა. მოკლედ, ეს აღმოჩნდა ჩემი არაოფიციალური კასტინგი. დემიენს რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი და სცენარსაც გავეცანი. გაოცებული დავრჩი. დასასრული ისეთი ლამაზი, ისეთი მშვენიერი იყო!.. წარმოუდგენელი ემოციები გამოიწვია იმან, რაც ბოლო 10 წუთში იყო ჩატეული. სცენარმა, ფაქტობრივად, მომაჯადოვა.

**ფილმში ცოცხლად მღეროდით. ამაზე არ ginერვიულიათ?**

ე.ს. თვითონ ვთხოვე დემიენს, რომ კასტინგის სიმღერა ცოცხლად შემესრულებინა და სიხარულით დამთანხმდა. მუსიკალური ხელმძღვანელი ცოტა დაიბნა, იმიტომ, რომ არ იცოდა რამდენი დუბლი გახდებოდა საჭირო. ყველამ კარგად იცის, რომ სიმღერების აყოლა და მომღერლების განსახიერება ძალიან მიყვარს და საკმაოდ კარგადაც გამომდის, მაგრამ ეს მონაკვეთი ჩემთვის საოცრად ამაღელვებელი მონოლოგი უფრო იყო, ვიდრე სიმღერა.

**რას გვეუბნება „ლა ლა ლენდის“ დასასრული? ოცნების ასრულება თუ გინდა, ნამდვილი სიყვარული უნდა დათმო?**

ე.ს. არ მგონია, ეს იყოს მთავარი გზავნილი. არ ვიცი, შეძლებდნენ თუ არა ერთად ყოფნას, მაგრამ ფაქტია, რომ მია და სებასტიანი ერთმანეთს ოცნებების ახდენაში დაეხმარნენ. ის, რომ ერთად ვერ დარჩნენ, იმას არ ნიშნავს, რომ მათი სიყვარული ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ან ურთიერთობის შენარჩუნებას ვერცერთ ვარიანტში ვერ შეძლებდნენ...

**„ლა ლა ლენდის“ სპექტაკლი რომ დადგმულიყო, მონაწილეობას იქაც მიიღებდით?**

ე.ს. ალბათ ფიზიკურად ვერ შევძლებდი. მიას როლი სხვა მუსიკალურ მონაცემებს მოითხოვს და მე ნამდვილად არ ვარ ის, ვინც „კასტინგის სიმღერის“ შესრულებას ყოველდღე შეძლებს. ეს ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება და ბიონსეს მსგავს ვოკალურ მონაცემებს მოითხოვს. H

ტექსტი: JENNY DAVIES/HOT FEATURES; ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.



Miss Selfridge

@MissSelfridgeGeorgia

Tbilisi Mall, 16th km, Aghmashenebeli Alley

# KEEP THE FAITH
# თაკო გაჩეჩილაძე
## STEPHANE & 3G-ის შემდეგ, სოლომომღერლად ევროვიზია 2017-ზე



პატრისია კაასი, ბრიტანული ჯგუფი BLUE, ლეგენდარული ABBA, სელინ დიონი და ა.შ. – ეს იმ ცნობილი შემსრულებლებისა და ჯგუფების ჩამონათვალია, რომლებმაც მსოფლიოს თავი ევროვიზიის სიმღერის კონკურსის საშუალებით გააცნეს. პოლიტიკური ელფერით შემკულ ღონისძიებას ვარსკვლავების გარეშე არც საქართველო ტოვებს, თუმცა 2008 წელს ჩვენი ქვეყანა „აუტსაიდერებს" შორის მოხვდა. პროექტ STEPHANE & 3G-ის სიმღერა WE DON'T WANNA PUT IN პოლიტიკურ მესიჯად ჩაითვალა და კონკურსიდან მოიხსნა. მაშინ თაკო გაჩეჩილაძემ ევროფესტივალის შიდა შესარჩევ კონკურსში გამოცდილება პირველად მიიღო. 2017 წელს კი სრულიად საქართველოსა და კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსზე ჩვენს ქვეყანას სწორედ ის წარადგენს. სიმღერით KEEP THE FAITH, თაკო ევროფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად უკრაინაში გაზაფხულზე გაემგზავრება.

**თაკო, 3G-ის მცდელობების შემდეგ, ევროვიზიაზე სოლომომღერლის რანგში წარდგებით. როგორია მოლოდინი?**

**თ.გ.** TEPHANE & 3G ჩემი პროექტი არ ყოფილა. ეს სტეფანე მღებრიშვილისა და კახაბერის იდეა იყო, თუმცა გეტყვით, რომ მეც ძალიან მომწონდა და მთელი გულით მინდოდა ევროვიზიაზე გავსულიყავით. მაშინ პოლიტიკური ტექსტის გამო დავიბლოკეთ. ამჯერად მარტო ვარ და კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ჩემი ქვეყანა ევროფესტივალზე მარტომ უნდა წარვადგინო.

**ევროვიზია არა მომღერლების, არამედ სიმღერის კონკურსია. ვის მიანდეთ თქვენი საკონკურსო სიმღერის შექმნა?**

**თ.გ.** საკონკურსო სიმღერას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. როდესაც გავიგე, რომ კონკურსის შიდა შესარჩევი ტური იწყებოდა, მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. ბევრი მეუბნებოდა, რომ ჩემი გამოცდილების მქონე მომღერალი კონკურსგარეშე უნდა მიეწვიათ. ძალიან ბევრი ჯილდო მაქვს მოპოვებული და ბევრჯერ დამიმტკიცებია ჩემი შესაძლებლობები. 8 წლიდან სცენაზე ვდგავარ და ამ საქმეს შევაბერდი, თუმცა სხვების აზრი არ გავიზიარე და მონაწილეობის მიღება მაინც გადავწყვიტე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენ უნიჭიერეს მომღერალთან ერთად გამოვედი სცენაზე. ისინი ნამდვილად ღირსეული კონკურენტები არიან.

ანრი ჯოხაძესთან ვიყავი სტუმრად და ვუთხარი, რომ ევროვიზიის შიდა შესარჩევ ტურში ვაპირებდი მონა- ▶

**Keep The Faith-ის მუსიკის ავტორი ანრი ჯოხაძეა, ტექსტი კი თაკო გაჩეჩილაძეს ეკუთვნის. პოლიტიკურ-მუსიკალური კონკურსი მომღერლისთვის ახალი გამოწვევაა. წელს საქართველოს წარმომადგენლის სიმღერის თემა ტერორიზმია. თაკო უკრაინაში გაზაფხულზე გაემგზავრება.**



„ჟანრი, რომელსაც ზოგადად ვმღერი, ევროფესტივალზე არავის აინტერესებს. ეს არის კონკურსი, რომელსაც თავისი წესები აქვს“

## „ჩემი კაბის შექმნის ინსპირაცია შარშანდელი MET GALA-დან, CLAIR DANE-ის კაბა იყო“

## „დელეგაციის მთავარი წევრი, ჩემი მეგობარი და პროექტის თანაავტორი - ანრი ჯოხაძე იქნება“



წილეობის მიღებას. თავიდან ანრი ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ დავითანხმე და აღმოჩნდა, რომ ჰქონდა ულამაზესი სიმღერა, რომელშიც საბოლოოდ პატარა კორექტივები შევიტანეთ. ტექსტი მე მეკუთვნის.

პროექტი ძალიან გააზრებულად გავაკეთეთ. ევროვიზია უზომოდ სპეციფიკური კონკურსია. უნდა მოახერხო და სამ წუთში მაქსიმალურად ჩაატიო საკუთარი შესაძლებლობები. ჟანრი, რომელსაც მე ზოგადად ვმღერი, ევროფესტივალზე არავის აინტერესებს. ეს არის კონკურსი, რომელსაც თავისი წესები აქვს. შესაბამისად, მე და ანრიმ ყველაფერი ერთად დავგეგმეთ და გათვლაც გავაკეთეთ. თემატიკაც საკმაოდ აქტუალური შევარჩიეთ.

**ძალიან საინტერესი იყო შიდა შესარჩევ კონკურსზე თქვენი გამოსვლის ვიზუალური მხარე. ვინ იზრუნა თქვენს იმიჯზე?**

**თ.გ.** კაბის იდეა, რომელიც შიდა შესარჩევ კონკურსზე მეცვა, ჩემს მეგობარს — ქრისტინე იმედაძეს ეკუთვნის. სწორედ მან გადაწყვიტა, რომ სასცენოდ ქალთევზას სტილის კაბა ძალიან მომგებიანი იქნებოდა. თუმცა, რომ არა ლაშა ჯოხაძე, ამ იდეას ვერავინ განახორციელებდა. ლაშა უნიჭიერესი დიზაინერია, რომელმაც ეს ულამაზესი კაბა შექმნა. ბოლოს კი საკუთარი თავიც უნდა ვახსენო, იმიტომ, რომ კაბის განათების იდეა მე მეკუთვნის. ინსპირაცია შარშანდელი MET GALA-დან, CLAIR DANE-ის კაბა იყო. ერთი შეხედვით ეს კონკიას თეთრი კაბა გახლდათ, მაგრამ სიბნელეში ულამაზესად ანათებდა. რა თქმა უნდა იდეა ერთი-ერთში არ გავიმეორეთ, მაგრამ ჩვენს LOOK-ში კარგად გამოვიყენეთ. კონკურსის ფინალისთვის სამზადისი უკვე დავიწყეთ. უკრაინაში კიდევ უფრო განსხვავებული ვიზუალი მექნება.

**წელს ევროვიზიის კონკურსი უკრაინაში ტარდება. ვინ გამოგყვებათ საგულშემატკივროდ კიევში?**

**თ.გ.** უპირველესად დელეგაციის მთავარი წევრი, ჩემი მეგობარი და პროექტის თანაავტორი — ანრი ჯოხაძე იქნება. მომყვება საზოგადოებრივი მაუწყებლის დიდი გუნდი და ის ადამიანები, რომლებიც ჩემს იმიჯზე იზრუნებენ. გარდა ამისა, ჩემ გვერდით იქნებიან ჩემი გოგონები, რომლებიც ყოველთვის მხარს მიჭერენ. მინდა ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, რომლებიც გვერდში მიდგანან და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიო.

**უამრავ კონკურსში მონაწილეობის შემდეგ, რამდენად გიმარტივდებათ ევროვიზიის ციებ-ცხელებაში ჩართვა?**

**თ.გ.** არ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ მარტივი ნამდვილად არაა. შესარჩევი კონკურსიდან მოყოლებული, ძალიან რთული გზა ▶

**„სტეფანე და 3G“ ჩემი პროექტი არ ყოფილა. ეს სტეფანე მღებრიშვილისა და კახაბერის იდეა იყო, თუმცა გეტყვით, რომ მეც ძალიან მომწონდა და მთელი გულით მინდოდა ევროვიზიაზე გავსულიყავით“, – გვითხრა თაკომ.**



შესარჩევი კონკურსიდან მოყოლებული, ძალიან რთული გზა გამოვიარე და ეს ჯერ კიდევ დასაწყისია



პროექტ STEPHANE & 3G-ის სიმღერა We Don’t Wanna Put In პოლიტიკურ მესიჯად ჩაითვალა და კონკურსიდან მოიხსნა. მაშინ თაკო გაჩეჩილაძემ ევროფესტივალის შიდა შესარჩევ კონკურსში გამოცდილება პირველად მიიღო.

**„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენ უნიჭიერეს მომღერალთან ერთად გამოვედი სცენაზე. ისინი ნამდვილად ღირსეული კონკურენტები არიან“**

გამოვიარე და ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. ალბათ უკრაინაში ყველაფერი ათმაგად რთული იქნება. ამას ემატება ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ კონკურსზე ჩემი ქვეყნის სახელით მარტო გავდივარ. კონკურსამდე კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი, თუმცა ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ, ჟიურისთან ერთად, მხარი დამიჭირა, უდიდეს სტიმულს მაძლევს. მთავარი კი ისაა, რომ ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და წარმატების მისაღწევად ყველაფრისთვის მზად ვარ. H

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ**: ᲜᲘᲜᲣᲪᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
**ᲤᲝᲢᲝ**: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ
**ᲡᲢᲘᲚᲘ:** ᲗᲔᲝᲜᲐ ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲝᲑᲐ:** ᲚᲐᲨᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
**ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲐ:** HOTEL COSTE

# Beverly Hills Formula

- აშორებს ნადების 90%-ზე მეტს ემალის დაზიანების გარეშე
- იღებთ პროფესიონალურ გათეთრებას სახლის პირობებში და ზოგავთ თქვენს ბიუჯეტს
- თქვენი ჯადოსნური ღიმილის საიდუმლო პირდაპირ ირლანდიიდან




GBC ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შპს GBC

+995 322 212 228

www.gibici.ge

info@gibici.ge

Beverly Hills Formula – Georgia

* პროდუქცია იკითხეთ სააფთიაქო ქსელებსა და ჰიპერმარკეტებში




„მძევლებში“ მთავარ როლებს თინა დალაქიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, გიგა დათიაშვილი, მერაბ ნინიძე, დარეჯან ხარშილაძე, გიორგი გრძელიძე, გიორგი ტაბიძე, გიორგი ხურცილავა, ვახტანგ ჩაჩანიძე, ეკატერინე კალატოზიშვილი და სხვა მსახიობები ასრულებენ.

# რეზო გიგინეიშვილის გახმაურებული ნამუშევარი „მძევლები“ ბერლინალეს ყურადღების ცენტრში მოექცა



**რეზო გიგინეიშვილის** ნამუშევარი „**მძევლები**“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს ეწვია და მაყურებლის წინაშე პირველად წარდგა. სურათი, რომელიც 1983 წელს მომხდარ ცნობილ ამბავზე მოგვითხრობს, ერთ-ერთ მთავარ კინოაღმოჩენად შეაფასეს, შემოქმედებითი ჯგუფის მისამართით კი ქათინაურები არ დაიშურეს. თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭების ისტორიამ გულგრილად ფესტივალის აუდიტორიის არცერთი წევრი არ დატოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცნობილმა „**მძევლებმა**“ „ბერლინალეზე“ გამორჩეული და ღირსეული კვალი დატოვეს.

ფილმს სპეციალური მასალა მიუძღვნა ცნობილმა **THE HOLLYWOOD REPORTER**-მა. ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ: ***„ეს ნამუშევარი კიდევ ბევრ ფესტივალს მოხიბლავს. განსაკუთრებით კი იმოქმედებს მათზე, ვისაც ნამდვილი ისტორიის შესახებ სმენიათ. მძაფრი სიუჟეტი, დინამიკა, ბრწყინვალე ვიზუალი და საინტერესო პოლიტიკური თემები აჟიოტაჟს სხვა ქვეყნის მაყურებლებშიც გამოიწვევს“***.

**„მძევლები“** ათ საუკეთესო ნამუშევარს შორის დაასახელა **TASTE OF CINEMA**-მაც, რომელმაც ქართულ ფილმს „პატარ-პატარა ცხოვრებისეული ეპიზოდებით შექმნილი დიდი სურათი“ უწოდა.

**SCREEN DAILY**-მ მთავარი აქცენტი შემოქმედებითი გუნდის ნიჭიერებაზე გააკეთა: ***„აშკარაა, რომ რეზო გიგინეიშვილის ტალანტი შემოქმედებითი წრეების ყურადღების ცენტრში მოექცევა. მომხიბვლელი მსახიობების შთამბეჭდავი თამაში კი გარანტიაა იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფილმი კარგად გაიყიდება“***.

ცნობილი კინოკრიტიკოსის – ანტონ დოლინის აზრით, საქართველომ „ოსკარზე“ სწორედ „მძევლები“ უნდა წარადგინოს. გავლენიანი გამოცემა Variety კი აღნიშნავს, რომ ამ

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** კინოკომპანია „ნემო“.



ფილმმა საბჭოთა ქვეყნის სტატუსი სამუდამოდ ჩამოგვაშორა, რაზეც კინოინდუსტრიის განვითარებაც მეტყველებს.

ქართულ-რუსულ-პოლონური ნამუშევრის პრემიერას მთელი შემოქმედებითი ჯგუფი დაესწრო. **თამარ შენგელიამ** HELLO!-სთან საუბარში აღნიშნა, რომ **„მძევლებმა“** დარბაზი ექვსივე ჩვენებაზე შეავსო, რაც თავისთავად მეტყველებს ნამუშევრის სამომავლო წარმატებაზე. იქვე იყვნენ გულშემატკივრებიც, რომლებმაც მიღებული ემოციები და შთაბეჭდილებები HELLO!-ს სიამაყით გაუზიარეს. **ბახვა ბრეგვაძემ,** რომელიც პრემიერას ესწრებოდა, აღნიშნა, რომ ჩვენების დღეს მთელი დარბაზი გადაჭედილი იყო: ***„ფილმი აბსოლუტურად ყველამ დადებითად შეაფასა! საოცარი გამოხმაურებები იყო კრიტიკოსებისგანაც. მე ცოტა სუბიექტური ვარ, რადგან შემოქმედებით ჯგუფში მეტწილად ჩემი მეგობრები იყვნენ. შესაბამისად, ამ ნამუშევარს გამორჩეულად ვგულშემატკივრობდი, მაგრამ არ ვაზვიადებ – მართლა ყველანი „მძევლებზე“ საუბრობდნენ! განსაკუთრებულად ვამაყობდი ჩვენი ახალგაზრდა მსახიობებით, რომლებმაც აუდიტორიას თავიანთი სახელები საოცარი თამაშით დაამახსოვრეს. ვიცი, რომ მსოფლიო მათზე კიდევ არაერთხელ ალაპარაკდება. თითოეულს წინსვლასა და დიდ წარმატებებს ვუსურვებ“***.

შეგახსენებთ, რომ **„მძევლებში“** მთავარ როლებს **თინა დალაქიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, გიგა დათიაშვილი, მერაბ ნინიძე, დარეჯან ხარშილაძე, ვახტანგ ჩაჩანიძე, გიორგი გრძელიძე, ეკატერინე კალატოზიშვილი, გიორგი ტაბიძე, გიორგი ხურცილავა** და სხვა მსახიობები ასრულებენ. მუსიკალური გაფორმება **გია ყანჩელს** ეკუთვნის, სცენარი – **ლაშა ბუღაძეს**. გიგინეიშვილის ნამუშევრით უკვე დაინტერესდნენ სხვადასხვა კინოფესტივალისა თუ კომპანიის წარმომადგენლები, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილებები და სამომავლო გეგმები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

HELLO! შემოქმედებით გუნდს წარმატებულ პრემიერას ულოცავს და კიდევ უფრო დიდ მიღწევებს უსურვებს.



**რეზო გიგინეიშვილის ნამუშევრით უკვე დაინტერესდნენ სხვადასხვა კინოფესტივალისა თუ კომპანიის წარმომადგენლები.**






# ჯეისონ სტეტჰემი პირველი შვილის მოლოდინშია

**ჯეისონ სტეტჰემი** მალე მამა გახდება! მისმა სუპერშეყვარებულმა – სუპერმოდელმა **როუზი ჰანტინგტონ-უაიტლიმ** სიახლე Instagram-ით გაახმაურა. პლაჟზე გადაღებულ ფოტოზე Missoni-ს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ ლამაზმანს აშკარად ეტყობა მოზრდილი მუცელი. „***ძალიან მაბედნიერებს იმის გამხელა, რომ მე და ჯეისონი შვილს ველოდებით!*** – *დიდი სიყვარულით, როუზი*“, – ვკითხულობთ აღწერაში.

გულშემატკივრები ამ ამბავს მანამდეც მოუთმენლად ელოდნენ. ეჭვები კი მაშინ გაჩნდა, როცა მოდელმა საახალწლო მილოცვა გამოაქვეყნა და ფოტოს აღწერაში „განსაკუთრებული მოლოდინი“ ახსენა: „***იწყება ახალი წელი ახალი ცხოვრებითა და განსაკუთრებული მოლოდინით. გილოცავთ!***“

ჯეისონმა და როუზიმ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება გასულ წელს მიიღეს. სტეტჰემის საცოლემ სიამაყით აღნიშნა: „***ოჯახი ყოველთვის მინდოდა. მნიშვნელობა არ აქვს ამერიკაში ვიცხოვრებთ თუ ინგლისში. ვიცი, რომ ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება, მაგრამ ცდად ნამდვილად ღირს***“.

29 წლის მოდელი, რომელიც 49 წლის ინგლისელ მსახიობზეა შეყვარებული, ყოველთვის ცდილობს პირადი ცხოვრება კულისებში დატოვოს და მხოლოდ მნიშვნელოვანი სიახლეები გაახმაუროს. ამის მაგალითად წყვილის ნიშნობაც კმარა – გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ გასაჯაროვდა, როცა ჰანტინგტონ-უაიტლი „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოებაზე ბრილიანტის ბეჭდით გამოჩნდა.

ცნობისთვის, ჯეისონმა და როუზიმ ერთმანეთი „ტრანსფორმერების“ გადაღებებზე გაიცნეს და უკვე შვიდი წელია ერთად არიან. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეემატება მათ ოჯახს ახალი წევრი, თუმცა ის ნამდვილად ვიცით, რომ შოუბიზნესის ისტორიაში 2017 „დიდი გამრავლების“ წლად ჩაიწერება.

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES; INSTAGRAM.



# როდის დაბრუნდება ეთერში ორი ყველაზე ცნობილი სერიალი?!

„**ჩცდ**“ და „**ხელოვნური სუნთქვა**“ – „**ფორმულა კრეატივის**“ ორი აქტუალური პროექტი მოლოდინის რეჟიმშია. ერთი ახალი სეზონის სტარტს ელის, მეორე – დაფინანსებას. ბოლო დროს ორივეს ბედი სოციალურ ქსელში აქტიურად განიხილება. ბევრი ამბობს, რომ თურქული „საპნის ოპერების“ ამარა დავრჩით, ზოგი კი ირწმუნება, რომ სერიალები დროებით შეწყდა.

საჭირბოროტო შეკითხვებით სერიალების პროდიუსერს – **ირაკლი საღინაძეს** მივაკითხეთ. დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ ორიდან ერთი ეთერში აუცილებლად დაბრუნდება. სულ ცოტა ხნის წინ „**ჩემი ცოლის დაქალების**“ მე-10 სეზონი დასრულდა და უკვე მეთერთმეტესთვის მიდის მზადება. ახალი სეზონი ეთერში მარტის პირველ კვირას გავა. დაბრუნდებიან ცოლი, მისი დაქალები, ნათესავები და მეგრელები – ისინი, ვისაც პროექტის სცენარისტი **ქეთი დევდარიანი** დროდადრო სერიალის საკვანძო ფიგურების როლებს არგებს.

„**ჩემი ცოლის დაქალები**“ გაგრძელდება მანამდე, სანამ მაყურებლის მოთხოვნა იქნება, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით მეორე და არანაკლებ პოპულარულ „**ხელოვნურ სუნთქვაზე**“. მისი შემქმნელების განმარტებით, არხმა პროექტი ვეღარ დააფინანსა. ამ ეტაპზე მოლაპარაკებები პოტენციურ დამფინანსებლებთან მიმდინარეობს.

სატელევიზიო დრამის გადაღების იდეა მაშინ გაჩნდა, როდესაც „**ჩემი ცოლის დაქალებში**“ რამდენიმე სერია დრამის ელემენტებით გადაიღეს. დრამამ თაყვანისმცემლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. იდეა ორი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და იმ შედეგამდე მივიდა, რომელიც „**ხელოვნური სუნთქვის**“ მაყურებელმა ეთერში უკვე ნახა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტს ფანების დიდი „ბაზა“ დაუგროვდა, ამ უკანასკნელმა თავი ჯერ ისე ვერ დაიმკვიდრა, როგორც „**ჩემი ცოლის დაქალებმა**“. ამისთვის დრო და კიდევ უფრო დიდი ფინანსებია საჭირო.

მაყურებლები იმედს ვიტოვებთ, რომ „**ჩცდ**“-სთან ერთად ეკრანებს „**ხელოვნური სუნთქვაც**“ დაუბრუნდება და სხვა თუ არაფერი, ქართული რეალობისთვის სრულიად შეუსაბამო თურქული მელოდრამების საეთერო ქრონომეტრაჟს შეამცირებს.



**ტექსტი:** ნინუცა მაისურაძე. **ფოტო:** „ფორმულა კრეატივი“.



**Loudspeakers-ის** წევრების სიტყვებით მეორე ალბომი ბენდის კონცეფციას გამოხატავს – როგორც ჟღერადობით, ასევე ტექსტუალურად. ეს არის ალტერნატიული და ინდი-როკი.

## ყველაზე „ცოცხალი“ ქართული ალტერნატიული როკჯგუფი

# LOUDSPEAKERS

## მეორე სტუდიურ ალბომზე, გასტროლებსა და მსმენელზე



# „სახელი LOUDSPEAKERS ბენდის მთავარ პრინციპს გამოხატავს – ხალხს ხმა მიაწვდინოს“

ქართულ მუსიკალურ სამყაროში ცოტაა ისეთი ჯგუფი, რომელიც წლების მანძილზე ინარჩუნებს თავის მსმენელს და რაც მთავარია – საკუთარ შემოქმედებას. LOUDSPEAKERS ასეთი ბენდების რიცხვს მიეკუთვნება. უკვე მეშვიდე წელია ჯგუფის წევრები აქტიურად მუშაობენ, რათა მსმენელს გემოვნებიანი მუსიკა შესთავაზონ. ქართული HELLO! წარმოგიდგენთ ექსკლუზიურ ფოტომასალას და ინტერვიუს ჯგუფ LOUDSPEAKERS-ის წევრებთან.

როგორც თავად LOUDSPEAKERS-ის წევრები ამბობენ, მათი მუსიკა ალტერნატიულ როკსა და ინდი-როკს აერთიანებს. ისევე, როგორც ბევრმა სხვა ჯგუფმა, ამ ბენდმაც შემადგენლობის მხრივ ცვლილებები არაერთხელ განიცადა. 2010 წელს LOUDSPEAKERS-ს დრამერი დავით ცომაია შეუერთდა. ყველაზე დიდი ცვლილება და რთული პერიოდი კი ჯგუფიდან ბენდის დამაარსებლის – ალექსანდრე დოლიძის წასვლას უკავშირდება. ეს 2011 წელს მოხდა. ამ პერიოდშივე ჯგუფის ახალი წევრი სანდრო წიკლაური გახდა. პრინციპში ამ პერიოდში ჯგუფი საბოლოოდ შეიკრა და მიიღო ისეთი სახე, როგორიც დღეს აქვს.

დაახლოებით სამი წლის წინ LOUDSPEAKERS-მა დაიწყო თანამშრომლობა კომპანია FUNDAY ENTERTAINMENT-თან, რომელიც ისეთი მიმართულებებით მუშაობს, როგორებიცაა ივენთმენეჯმენტი, არტისტმენეჯმენტი, პრომოუშენი და TEAM BUILDING-ი. ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ჯგუფთან მუშაობისას ქვეყნის გარეთ მათი პოპულარიზაციაა. კომპანიის მიზანია LOUDSPEAKERS არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც გახადოს ცნობილი.

პირველად ფართო აუდიტორიის წინაშე, ჯგუფი 2010 წელს ALTERVISION NEWCOMERS-ზე გამოვიდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გასვლა კი 2014 წელს, ესპანეთში ჩატარებულ ფესტივალ ARENAL SOUND-ს უკავშირდება. ამ ღონისძიებას 300 ათასზე მეტი მაყურებელი ჰყავდა და მასში არაერთი ცნობილი ბენდი იღებდა მონაწილეობას. ასევე შარშან, LOUDSPEAKERS კიევში გაემგზავრა, სადაც კონცერტი უკრაინის ყველაზე მასშტაბურ ATLAS WEEKEND-ზე გამართა. გასული წლის დეკემბერში კი სოლოკონცერტით ერევანს ესტუმრა.

LOUDSPEAKERS-ის წევრები არიან: ლევან ლაუდაძე (ვოკალი, გიტარა), ლევან მამალაძე (ბასგიტარა), სანდრო წიკლაური (კლავიში) და დავით ცომაია (დასარტყამი).

## ჯგუფის სახელის ისტორია

**ლ. ლ.** „ერთ-ერთ რეპეტიციაზე ვფიქრობდით ჯგუფის სახელზე, რომელიც ყველასთვის ადვილი დასამახსოვრებელი იქნებოდა. დავხედე ტელეფონს და რატომღაც გამიჩნდა იდეა, ჯგუფისთვის LOUDSPEAKERS დაგვერქმია. ვფიქრობ მარტივად დასამახსოვრებელი და კომერციული სახელია. რაც მთავარია, გამოხატავს ბენდის მთავარ პრინციპს – ხალხს ხმა მიაწვდინოს. მიგვაჩნია, რომ ბენდის სახელმა ნამდვილად გაამართლა“.

## პირველი ალბომი

**ლ. მ.** ბენდის მუშაობა კოტე კალანდაძის ჰოუმ-სტუდიაში სიმღერების დემოვერსიების ჩაწერით დაიწყო. რასაკვირველია, ეს არ იყო უმაღლესი დონის ჩანაწერები, თუმცა საკმარისი აღმოჩნდა, მსმენელისთვის ჩვენი პროდუქტი მიგვეწოდებინა. შემდეგი ეტაპი უკვე პროფესიულ სტუდიაში მუშაობა იყო. გავიცანით გიორგი გვარ- ▶



მუსიკალურ ბაზარზე **LOUDSPEAKERS** მეშვიდე წელია არსებობს. წარმატების გადამწყვეტ ფაქტორად ჯგუფის წევრები სტაბილურობას, მსმენელის ერთგულებასა და საქმის სიყვარულს მიიჩნევენ.

**ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გასვლა 2014 წელს, ესპანეთში ჩატარებულ ფესტივალ ARENAL SOUND-ს უკავშირდება. ამ ღონისძიებას 300 ათასზე მეტი მაყურებელი ჰყავდა და მასში არაერთი ცნობილი ბენდი იღებდა მონაწილეობას**



**„ქართველი მსმენელი ზოგადად ძალიან თბილი და ემოციურია. მადლობა მათ ერთგულებისთვის. ისინი LOUDSPEAKERS-ს აძლიერებენ“**

ჯალაძე, იგივე გვაჯი, რომლის დახმარებითაც BRAVO RECORDS-ში ჩვენი სადებიუტო ალბომი LIGHTHOUSE ჩაიწერა. 2014 წლიდან მოყოლებული, გვაჯი აქტიურად ჩართულია ბენდის ცხოვრებაში. მისი რჩევები და გამოცდილება ძალიან გვეხმარება განვითარებაში და SOUND-ის დახვეწაში.

## მუსიკა და ტექსტი

**ს. ნ.** ძირითადი თემები ბენდის ვოკალისტსა და გიტარისტს – ლევან ლაუდაძეს ეკუთვნის. შემდეგ ერთად ვაკეთებთ არანჟირებას და სიმღერებზეც ერთად ვმუშაობთ. ახალი დისკი, ისევე როგორც LIGHTHOUSE, მთლიანად ინგლისურენოვანი იქნება.

**ლ. ლ.** პირველ ალბომში შესული სიმღერები ჟანრობრივად განსხვავებულია. რაც შეეხება მეო-რე ალბომისთვის განკუთვნილ ტრეკებს, ვფიქრობ ეს არის ზუსტად ის, რაც ბენდის კონცეფციას გამოხატავს – როგორც ჟღერადობით, ასევე ტექსტუალურად. ეს არის ალტერნატიული როკი, ინდიროკი.

## მეორე ალბომი

**ლ. მ.** ძირითადი ტრეკები უკვე შერჩეული გვაქვს, თუმცა ჩაწერამდე შეიძლება კიდევ ერთი-ორი სიმღერა დაემატოს ან გამოაკლდეს. ჩაწერები გაზაფხულზე დაიწყება. ალბომის გამოსვლის ზუსტ დროს კი ჯერჯერობით ვერ ვასახელებთ, რადგანაც პირველი დისკის ჩაწერიდან მიღებული გამოცდილებით, პოსტპროდაქშენი შესაძლოა გაიწელოს. ჩაწერილ მასალასთან მუშაობა არანაკლებ პროდუქტიულია“.

**დ. ც.** რაც შეეხება პირველ სინგლს, შეიძლება ითქვას, რომ საერთო აზრზე შევჯერდით. სხვათა შორის, ეს დისკიდან ჩვენი პროდიუსერის ფავორიტი სიმღერაა. მისი სახელწოდებაა BETWEEN TWO WAYS. იმედია ეს სახელი ბოლომდე შერჩება და ცვლილებას არ განიცდის.

## კლიპი

**ლ. ლ.** სამწუხაროდ ბენდის არსებობის მანძილზე ოფიციალური ვიდეოკლიპი არ გადაგვიღია. თუმცა სამომავლო გეგმაში აუცილებლად შედის ახალ სიმღერაზე ვიდეოს გადაღება. შერჩეული გვყავს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ექსპერიმენტების მოყვარული რეჟისორიც – დევიდ ჯიბლაძე, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა კრეატიულობით.

## გასტროლი

**დ. ც.** რაც უფრო მეტი ადამიანი ესწრება კონცერტს, მით მეტ ენერგიას ვიღებთ მსმენელისგან. სცენაზე ყოფნა დიდი ადრენალინია და ჩვენ ამ შეგრძნებას მაყურებელსაც ვუნაწილებთ, ბოლომდე ვიხარჯებით. ქართველი მსმენელი ზოგადად ძალიან თბილი და ემოციურია, თუმცა განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქუთაისისა და ზუგდიდის აუდიტორია.

**ს. ნ.** ჩვენთვის დიდი წარმატება იყო 2012 წლის TBILISI OPEN AIR-ში მონაწილეობა, რამაც ჩვენი პოპულარობა საგრძნობლად გაზარდა. გამოცდილების მხრივ კი, ესპანეთში გამართულ ფესტივალში მონაწილეობას დავასახელებდი, სადაც ბევრ ცნობილ ბენდთან ერთად გამოვედით. თან ეს იყო ჩვენი პირველი გასვლა საზღვარგარეთ, რომელმაც რეალურად დაგვანახა რას ნიშნავს შესრულების მაღალი დონე, როგორია კარგად ორგანიზებული ფესტივალი და კარგი, ყურადღებიანი მსმენელი, რომელიც მართალია არ გიცნობს, მაგრამ გისმენს და ახლის აღმოჩენას ცდილობს. მათთვის სიმღერა დიდი სიამოვნება და დაუვიწყარი შეგრძნება იყო.

## წარმატების ფორმულა

**ლ. ლ.** ძალიან ბევრი ქართული ჯგუფი დიდხანს ვერ „ცოცხლობს“. LOUDSPEAKERS-ის მთავარი თვისება სწორედ სტაბილურობაა. ჯგუფის თითოეული წევრის ბოლომდე ჩართულობა შემოქმედებით პროცესში უმნიშვნელოვანესია. ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ბენდია. შესაბამისად, არასოდეს მოგვსვლია აზრად ჯგუფს გამოვეყოთ და რაღაც სხვა პროექტი გავაკეთოთ. გვაქვს საკმარისი ენერგია იმისთვის, რომ ბენდს ბევრი რამ შევძინოთ და მსმენელს მეტი სიახლე შევთავაზოთ. ძალიან ერთგული მსმენელი გვყავს და ესეც ჩვენი ხანგრძლივი არსებობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. თქვენი ჟურნალის მეშვეობით გვინდა მადლობა გადავუხადოთ თითოეულ მათგანს. ისინი LOUDSPEAKERS-ს აძლიერებენ! H

**ტექსტი**: ლულუ კახიანი
**ფოტო**: ბაჩი ტაბატაძე
**სტილი:** თათია ლაშაური
**ჩაცმულობა**: TOPMAN
**ლოკაცია**: FABRIKA







# ბექა გოჩიაშვილი
## „ვცდილობ ვიყო ჩემი ქვეყნის მუსიკალური ჭარისკაცი“

ქართველმა მუსიკოსმა, პიანისტმა და ჯაზმენმა **ბექა გოჩიაშვილმა**, ქართველი მსმენელისთვის პირველი სოლოკონცერტი გამართა. კონცერტის სახელწოდებად თელონიუს მონკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯაზსტანდარტის სათაური – **ROUND MIDNIGHT** შეარჩია.

„***ბოლო დროს ნასწავლი თემებიდან ჩემთვის ეს კომპოზიცია ერთ-ერთი ჰაილაითია, ძალიან მიყვარს და ჩემს კონცერტზე აქამდე არასოდეს დამიკრავს. ეს ჯაზსტანდარტი გახდა სწორედ ამ კონცერტის ინსპირაცია***“.

საკონცერტო სამზადისი ერთი თვე გაგრძელდა. განსაკუთრებული იყო მოლოდინი და მღელვარება, რადგან ეს საღამო ბექასთვის სამ ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოს აერთიანებდა: პირველი – სოლოკონცერტი სწორედ მის სამშობლოში შედგა, მეორე – კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზი ბავშვობასთან ასოცირდება, რადგან სანამ წარმატებული ჯაზპიანისტი გახდებოდა, სწორედ ამ დარბაზში, დღეში რამდენიმე საათი განუწყვეტლივ მეცადინეობდა, და ბოლოს – „სტეინვეი“ მისი საყვარელი ინსტრუმენტია, რომელზეც კონცერტის განმავლობაში შვიდი კომპოზიცია შესრულდა. აქედან რამდენიმე მისი დაწერილი ჯაზსტანდარტია, ხოლო რამდენიმე – „ადგილობრივი ანესთეზია“, ანუ იმპროვიზაცია.

„***სოლოკონცერტზე მუშაობისას მივხვდი, რომ ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული მუსიკოსი. მუსიკა წიგნივითაა აკინძული, სადაც შინაარსის სრულყოფილებისთვის, ყველა ბგერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მუსიკოსისთვის პრიორიტეტია ჯერ მუსიკა და შემდეგ მსმენელი. თუმცა ორ დღეში გაყიდულმა ბილეთებმა სასიამოვნოდ გაკვირვებული დამტოვა და გამახარა. უღრმესი მადლობა მათ, ვისაც ძალიან უნდოდა ჩემი მოსმენა და ბილეთის ყიდვა მოასწრო, და ბოდიში მათ, ვისაც ბილეთი ვერ შეხვდა.***“

**ბექა გოჩიაშვილი** მუსიკალურ კარიერას აშშ-ში, ლოს-ანჯელესში აგრძელებს. ის „გრემის“ მფლობელი ლეგენდარული მუსიკოსის – **სტენლი კლარკის** კვარტეტში უკრავს და მასთან ერთად ალბომზე ახალი მუსიკალური იდეებით მუშაობს. „***რაც უფრო დიდი წარმატება აქვს მუსიკოსს, ასმაგად მეტი მოეთხოვება. სტენლის კვარტეტში დაკვრა ძალიან დიდი სიამოვნება და გამოცდილებაა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ეს არ არის მხოლოდ სამუშაო, ეს გახლავთ გარკვეული სკოლა და განსხვავებული მწვერვალის დაპყრობა. ამერიკაში მუდამ ვმოქმედებ, ვგრძნობ, რომ მუსიკაში ვარ. ვფიქრობ ჩვენი – მუსიკოსების მისია და ქვეყნის ინტერესი სწორედ ის არის, რომ ჩვენი ხმა კარგად გავაგონოთ ყველას, ვისთანაც ხელი მიგვიწვდება***“.

ბექა თაყვანისმცემელი გოგონების განსაკუთრებული ყურადღებით საქართველოშიც და შტატებშიც განებივრებულია, თუმცა გეტყვით, რომ მისი გული დაკავებულია. უკვე მესამე წელია ბექა გოჩიაშვილის რჩეული **ანა ხერხეულიძეა**. ანა ამსტერდამში ცხოვრობს, თუმცა ბექას ხშირად უწევს ევროპაში მოგზაურობა, წყვილი ერთმანეთს ხშირად ნახულობს და მანძილი დაბრკოლებას არ ქმნის. „***მყავს შეყვარებული, რომელთანაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თუმცა არსად გვეჩქარება და დაოჯახებას ჯერ არ ვაპირებთ. ამ ეტაპზე დაოჯახებული მხოლოდ ჩემს პროფესიასთან ვარ***“.

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი. **ფოტო:** ბაჩი თაბატაძე.




სათხილამურო ტურნირი **ESPO CHALLENGE** ატარებს მოყვარული სპორტსმენის — **ლევან ცხვარაძის** სახელს

**ტურნირში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია**

ტურნირს 3-3 გამარჯვებული ეყოლება გოგონებისა და ბიჭების კატეგორიაში
საუკეთესო დროის მაჩვენებელს **ესპოს** გარდამავალი თასი გადაეცემა

# ტურნირი ტარდარდება

# 4 მარტს, 13:00 საათზე, **გუდაურში**

FB.COM/ESPOCHALLENGE



ადელმა ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა და საუკეთესო სოლო შემსრულებლის ტიტული დაიმსახურა.






ჯეიმს კორდენი „გრემის“ სტუმრებთან ერთად.

# GRAMMYS 2017

## „გრემის“ რიგით 59-ე ცერემონიის მთავარ გმირად ადელი იქცა

ყველაზე პრესტიჟულმა მუსიკალურმა დაჯილდოებამ წლის საუკეთესო შემსრულებლები და ნამუშევრები კიდევ ერთხელ გამოავლინა. „**გრემის**“ რიგით 59-ე ცერემონიის მთავარ გმირად **ადელი** იქცა – მან ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა და საუკეთესო სოლოშემსრულებლის ტიტული დაიმსახურა. ეს არავის გაჰკვირვებია, მაგრამ თავად მომღერალმა **ბიონსეს** პირადად მოუხადა ბოდიში და საჯაროდ აღიარა: „***წესით ამ პრიზებს მე არ უნდა ვიღებდე. უზომოდ მადლიერი ვარ, მაგრამ ბიონსე ჩემი ფავორიტია. მას უნდა გაემარჯვა***“.

თავის მხრივ, **ბიონსე** ცხრა ნომინაციაზე იყო წარდგენილი, საიდანაც მხოლოდ ორში („*საუკეთესო ვიდეორგოლი*“ და „*საუკეთესო ურბანული ალბომი*“) გაიმარჯვა. ამის მიუხედავად, მან მაყურებლებს დაუვიწყარი სანახაობა უსახსოვრა და სცენაზე **Lemonade**-ის ორი სიმღერა – **Love Drought** და **Sandcastles** შეასრულა. ორსულ მომღერალს ბრჭყვიალა ოქროსფერი კაბა ამშვენებდა და შოუს დადგმაში კვლავ ვერავინ შე-



ბიონსე ცხრა ნომინაციაზე იყო წარდგენილი, საიდანაც მხოლოდ ორში გაიმარჯვა.



Chance The Rapper წლის მთავარ აღმოჩენად აღიარეს.

ედრებოდა. მისი ყველაზე დიდი გულშემატკივრები კი, როგორც ყოველთვის, ჯეი-ზი და პატარა ბლუ აივი იყვნენ.

გამორჩეული იყო **ბრუნო მარსის** გამოსვლა – იასამნისფერ სამოსში გამოწყობილმა მომღერალმა პატივი **Prince**-ს მიაგო და მისი რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა შეასრულა. ანალოგიური მისია დაეკისრა **ადელსაც**, რომელმაც სცენაზე **ჯორჯ მაიკლის Fastlove** იმღერა.

წლის მთავარ აღმოჩენად აღიარეს **Chance The Rapper**, რომელმაც საუკეთესო რეპალბომის ნომინაციაშიც გაიმარჯვა და ჯილდო No Problem-ის საუკეთესოდ შესრულებისთვისაც მიიღო.

**„გრემის“** დაჯილდოების წლევანდელ ცერემონიას, რომელიც ლოსანჯელესში გაიმართა, The Late Late Show-ის ცნობილი ტელეწამყვანი და მსახიობი – **ჯეიმს კორდენი** უძღვებოდა.



Twenty One Pilots-მა „გრემი“ საუკეთესო პოპდუეტის ნომინაციაში აიღო.



ბიონსეს „გრემი“ საუკეთესო ვიდეორგოლისა და საუკეთესო ურბანული ალბომისთვის გადაეცა.

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.






# ბიონსე
## ტყუპებს ელოდება

მთელი ინტერნეტსივრცე მოიცვა ამბავმა, რომელსაც ყველა დიდხანს ელოდა – **ბიონსე** ორსულადაა. „მე სამი გული მაქვს“ – წერია ვებგვერდზე Beyonce.com, სადაც მომღერალმა მოულოდნელად გამოაქვეყნა სპეციალურად დაგეგმილი ფოტოსესია. „სამ გულში“ კი ის იგულისხმა, რომ მალე კარტერების ოჯახს არა ერთი, არამედ ორი წევრი შეემატება!

თავდაპირველად სიახლე Instagram-ზე გავრცელდა. ფოტომ, რომელზეც ორსული მომღერალი ყვავილების ფონზეა გადაღებული, სოციალური ქსელის ყველანაირი რეკორდი მოხსნა. აღწერაში ეწერა: ***„გვინდა ჩვენი სიყვარული და ბედნიერება გაგიზიაროთ. თავს ორმაგი სიხარული დაგვატყდა – ჩვენი ოჯახი ორი წევრით გაიზრდება. უსაზღვროდ მადლიერები ვართ და ძალიან გვახარებს თქვენი კეთილი სურვილები. კარტერები***“.

35 წლის პოპვარსკვლავი და რეპერი **Jay Z**, რომლებსაც 10-წლიანი ოჯახური თანაცხოვრება და კიდევ უფრო ხანგრძლივი სასიყვარულო ისტორია აკავშირებთ, ხუთი წლის **ბლუ აივის** მშობლები არიან. მომავალი „უფროსი დაიკო“ სურათებზე ალერსიანად კოცნის დედის მუცელში მყოფ პატარებს და ერთი სული აქვს, მათ თავის სამყაროში უმასპინძლოს.

ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კადრებში **ბიონსე** ყვავილების ფონზე, ატლასის ლურჯი საცვლითა და ღია წაბლისფერი ბიუსტჰალტერით პოზირებს. მისი სახე და სხეულის ნაწილი დიდი მწვანე პირბადითაა დაფარული. აშკარად ჩანს, რომ მომღერალი უკვე დიდი ხნის ორსულია და ტყუპებს იმაზე მალე გააჩენს, ვიდრე ამას პაპარაცები და გულშემატკივრები ვარაუდობენ. Beyonce.com-ზე წყალქვეშ გადაღებული ფოტოების დათვალიერებაცაა შესაძლებელი – მომავალ დედას ყვითელი მოსაცმელი ამშვენებს, აუზის ფსკერი კი ვარდისფერი ყვავილებითა და სხვადასხვა ფერის ჰაეროვანი ნაჭრებითაა მორთული.

კონკრეტული თარიღის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება, თუმცა პირველ 45 წუთში დაწერილი 500 000-ზე მეტი „ტვიტი“ და Instagram-ის რეკორდული – 10-მილიონიანი მოწონება ამტკიცებს, რომ გულშემატკივრები კარტერების ოჯახის ახალი წევრების დაბადებას მოუთმენლად ელიან.

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: INSTAGRAM, GETTY IMAGES.

# ადამ ლევინი „დიდების ხეივნის“ ახალი ვარსკვლავია

ადამ ლევინს „დიდების ხეივანზე“ უკვე საკუთარი ვარსკვლავი აქვს. **Maroon 5**-ის სოლისტსა და მუსიკალურ შოუ **The Voice**-ის უცვლელ მწვრთნელს ეს საპატიო საჩუქარი სატელევიზიო სივრცეში შეტანილი წვლილისა და ხმის რეჟისურაში მიღწეული წარმატებისთვის გადაეცა.

როგორც „დიდების ხეივანზე“ გამართული ღონისძიებების პროდიუსერი – **ანა მარტინესი** ამბობს, ადამის გულშემატკივრები ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ: **„*საოცარი მოლოდინი ჰქონდათ. ლევინის ფანები მუდმივად გვწერდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან – აინტერესებდათ, ეს დღე როდის დადგებოდა. შეკითხვებით აგვავსეს. დღეს კი ნანატრი მომენტი დადგა! ვულოცავთ ყველას, ვისაც ადამი და მისი „ჯაგერული მოძრაობები“ განსაკუთრებულად უყვარს!*“**

ჰოლივუდის ბულვარზე რიგით 2601-ე ვარსკვლავის გახსნას უამრავი ადამიანი დაესწრო. მათ შორის, რასაკვირველია, ადამის მეგობრებიც იყვნენ. სიტყვით გამოვიდნენ **The Voice**-ის ასევე უცვლელი მწვრთნელი – **ბლეიკ შელტონი**, და როკის ლეგენდა – **სემი ჰაგარი**. მანამდე კი, სანამ ღონისძიება ჩატარდებოდა, **Maroon 5**-ის „ვარსკვლავიანმა“ სოლისტმა Facebook-ზე სიახლე გამოაქვეყნა და დასძინა: **„*ეს იმხელა პატივია... არც ვიცი, შესაფერისი მადლობა როგორ გადაგიხადოთ!*“**

შეგახსენებთ, რომ **ადამ ლევინი** ლოს-ანჯელესელი მომღერალი, კომპოზიტორი, ინსტრუმენტალისტი, მსახიობი და ხმის პროდიუსერია. მისი მუსიკალური კარიერა 1994 წელს, ჯგუფ **Kara's Flowers**-ის შექმნით დაიწყო და 2001 წელს, **Maroon 5**-ის სოლისტობით გაგრძელდა. 2012 წლიდან შოუბიზნესის ვარსკვლავმა მსახიობის საქმიანობაც შეითავსა და მონაწილეობა მიიღო ისეთ ცნობილ ნამუშევრებში, როგორებიცაა სერიალი **American Horror Story** და ფილმი **Begin Again**, სადაც **კირა ნაიტლისთან** და **მარკ რუფალოსთან** ერთად მთავარი როლი შეასრულა.

ადამ ლევინის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი ვებგვერდზე **www.walkoffame.com** პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. მომღერალს გვერდს მეუღლე და ქალიშვილი უმშვენებდნენ.










ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

# სიყვარულის 20 წელიწადი
# დევიდი & ვიქტორია
# ფოტოებით მოყოლილი ამბავი





20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვიქტორიამ და დევიდმა ერთმანეთი გაიცნეს და გულწრფელი სიყვარული, ერთგულება და ურთიერთპატივისცემა მხოლოდ ერთმანეთს კი არა, მსოფლიოსაც დაუმტკიცეს. დღეს უკვე ოთხი უნიჭიერესი შვილის მშობლები საქმიანობაშიც ისეთივე წარმატებულნი არიან, როგორც პირად ცხოვრებაში – მათი საერთო ქონება 500 მილიონადაა შეფა-სებული...

მიუხედავად უამრავი ჭორისა, POSH & BECKS-ის ისტორია დღესაც სამაგალითოდ გრძელდება. დევიდი, რომელიც გრძნობებზე იშვიათად საუბრობს, დიზაინერ მეუღლეზე BBC RADIO 4-ის ეთერში ალაპარაკდა და კრისტი იანგს იღბლიანი ქორწინების საიდუმლო გაუმხილა: „მეც და ვიქტორიაც სწორი ღირებულებებით გავიზარდეთ. რასაკვირველია, ამ წლების განმავლობაში უამრავი შეცდომა დავუშვით და კრიზისული პერიოდებიც გვქონდა, მაგრამ ყველაფრის დაძლევა ორმხრივი მონდომებით შევძელით. ერთმანეთზე უკეთ არავინ გვიცნობს. ამ დღემდე გულწრფელობამ მოგვიყვანა – ერთად ვართ იმიტომ, რომ მართლა გვიყვარს ერთმანეთი“.

## ორმაგი ბედნიერება

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა და ასეთივე ლეგენდარული SPICE GIRLS-ის ყოფილმა წევრმა 2006 წელს საქორწინო ფიცის განახლება გადაწყვიტეს და 8 მაისს ერთმანეთს კიდევ ერთი ბედნიერი დღე აჩუქეს. მოკრძალებული ცერემონია ჰერტფორდშირში, ბექჰემების მაშინდელ სახლში გაიმართა. ყველაფრის ორგანიზატორი კი თავად დევიდი გახლდათ. სწორედ მან შეარჩია ვიქტორიას კაბის, საქორწილო ტორტისა და დეკორაციების დიზაინი. უფროსი შვილები – ბრუკლინი და რომეო, ფორმალურ მოვალეობებს ასრულებდნენ. „პაწაწინა წვეულება გახლდათ“, – სიცილით იხსენებს ვიკის რომანტიკული მეუღლე, – „ჩვენს მეორე ქორწილს მხოლოდ ექვსი ადამიანი დაესწრო“. ორივენი აღიარებენ, რომ ეს მათ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და ემოციური დღე იყო.







1997

მაშინ დევიდ ბექჰემი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამომავალი ვარსკვლავი იყო, ვიქტორია ადამსი კი Spice Girls-ში მღეროდა. ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ. ნიშნობას გრანდიოზული ქორწილი მოჰყვა, ქორწილს კი – ოთხი არაჩვეულებრივი შვილი.

## ერთი ნახვით სიყვარული

რადიოწამყვანთან საუბრისას დევიდმა 1997 წლის თებერვალი და პირველი შეხვედრაც გაიხსენა. ტელეფონის ნომრები გაცნობის დღესვე გაცვალეს. „ის პერიოდი იყო, როცა ყველას ჰყავ-და ფავორიტი SPICE GIRLS-ელი“, – აღნიშნა ბექჰემმა, – „ისიც კი მახსოვს, როდის დავინახე ვიქტორია ტელეეკრანზე – შავი CATSUIT-ი ეცვა და სცენაზე ბრწყინავდა. სწორედ მაშინ გადავწყვი-ტე, რომ ის ჩემი რჩეული იყო“.

დევიდი დარწმუნებულია, რომ ეს ერთი ნახვით სიყვარული იყო, თანაც – ორმხრივი. „ფეხბურთი არასოდეს მაინტერესებდა, ამიტომ კარგად არც ვიცოდი, ვინ იყო“, – იხსენებს ვიკი, – „იმას კი მაშინვე მივხვდი, რომ ყურებამდე შეყვარებული ვიყავი“. ორივე მათგანის მენეჯერი ფრთხილობდა – არ უნდოდათ რომანი გახმაურებულიყო და არასწორი მითქმა-მოთქმა გამო- ▶



1999





1998

## დევიდ ბექჰემი: „ერთმანეთზე უკეთ არავინ გვიცნობს“




## „ისიც კი მახსოვს, როდის დავინახე ვიქტორია ტელეეკრანზე – შავი CATSUIT-ი ეცვა და სცენაზე ბრწყინავდა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ ის ჩემი რჩეული იყო“

ეწვია. სწორედ ამიტომ, თავიდან ერთმანეთს მანქანების გაჩერებებზე ხვდებოდნენ და დროს ერთმანეთთან საუბარში ატარებდნენ. ასე გრძელდებოდა ორი-სამი თვის განმავლობაში. 1998 წელს კი, როცა წყვილმა ნიშნობის შესახებ განაცხადა, ყველაფერი ნათელი გახდა. მას შემდეგ პაპარაცებს მასალა არ გამოლევიათ. ხალხს ყველაფერი აინტერესებდა – მათი ურთიერთობა, ყოველდღიური ტანსაცმელი, კვების რაციონი, საყვარელი ბრენდები და ა.შ. სწორედ ასე შეიქმნა ცნობილი POSH & BECKS-ი, რომელიც დღეს ყველასთვის საკულტო წყვილის „მოფერებითი“ სახელია.

„ჯადოსნური შეგრძნებაა, როცა იგებ, რომ მამა გახდები“, – ამბობს დევიდი, – „არაფერია უფრო კარგი, ვიდრე იმ არსების დანახვა, რომელიც შენი სიყვარულისგან შეიქმნა“. ასეთი განცდა ოთხჯერ ჰქონდა – 1999 წელს ბრუკლინი გაჩნდა, სამ წელიწადში ბექჰემებს მეორე ვაჟი – რომეო შეეძინათ, რამდენიმე წელიწადში კი კრუზი და ჰარპერი დაიბადნენ. ამის შემდეგ მაიკლ ჯექსონისა და პოლ მაკარტნის ჰიტი THE GIRL IS MINE დევიდის საყვარელ სიმღერად იქცა: „როცა ჰარპერი რამდენიმე კვირის იყო და მის გაცინებას ვცდილობდი, მუცელზე ჟოლოს ვაყრიდი ხოლმე და შეუჩერებლად ვკოცნიდი. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვართობდი, ვუცვლიდი, ვაძინებდი თუ ხელით ვასეირნებდი – თავში მხოლოდ ერთი სიმღერა მიტრიალებდა და მეც ვღიღინებდი და ვღიღინებდი. THE GIRL IS MINE – ეს ჩემი გოგოა!“

დევიდს სხვა სიმღერებიც ჰქონდა ამოჩემებული. ერთ-ერთი კი ელტონ ჯონის SOMETHING ABOUT THE WAY YOU LOOK TONIGHT იყო. სწორედ ეს უნდა ემღერა პატარა ბექჰემების მომავალ ნათლიას 1999 წელს გამართულ ქორწილზე. სამწუხაროდ, ფრენისას ელტონს გულის შეტევა დაემართა და გეგმა ჩაიშალა. „რა თქმა უნდა, მაშინ მისი ჯანმრთელობა და მდგომარეობა გვაღელვებდა“, – გაიხსენა დევიდმა, – „მოგვიანებით, როცა ჩვენი შვილები მონათლა, ეს სიმღერა მაინც შეასრულა“.

### ვარსკვლავური ცხოვრება

ბექჰემების ოჯახი ნელ-ნელა მოთხოვნად „ბრენდად“ იქცა. წყვილს სხვადასხვა პრომოკამპანიაში იწვევდნენ და სარფიან გარიგებებსაც სთავაზობდნენ. დაუვიწყარი იყო EMPORIO ARMANI-ს „რომანტიკული“ ფოტოსესია, რომელზეც მთელი სამყარო საუბრობდა. მაშინ დევიდი უკანასკნელად გაშიშვლდა და მეუღლესთან ერთად საცვლებით იპოზიორა. „უკვე 41-ს გადავაბიჯე და დარწმუნებული ვარ ხალხს ყელში ამოუვიდა ტრუსებში გამოწყობილი ბექჰემის ყურება“, – აღნიშნა ოთხი შვილის მამამ, – „დროა, ასპარეზი ბრუკლინს დავუთმო“.

2013 წლამდე, სანამ დევიდი ფეხბურთიდან წამოვიდოდა, ბექჰემები ყველგან ცხოვრობდნენ – მადრიდში, ლოსანჯელესში, მილანში, პარიზში... ხშირ მოგზაურობას მოითხოვდა ვიქტორიას კარიერული საქმიანობაც. მისი სამოდელო დებიუტი 2000 წლის ლონდონის მოდის კვირეულზე შედგა. მაშინ პოდიუმზე MARIA GRACHVOGEL-ის ნამუშევრები წარადგინა. სამ წელიწადში DOLCE & GABBANA-ს ბრი- ▶

დევიდი და ვიქტორია Withnail-ის პრემიერაზე დააფიქსირეს (ზევით). ერთად იყვნენ Silver Clef Awards-ზეც, რომელიც 2001 წელს ლონდონის Intercontinental Hotel-ში გაიმართა (ქვევით).












ვიქტორია გვერდს უმშვენებს მეუღლეს, რომელმაც „ბრიტანული იმპერიის ოფიცრის ორდენი“ დაიმსახურა. საპატიო ჯილდო ფეხბურთელმა 2003 წლის 27 ნოემბერს, უშუალოდ დედოფლისგან მიიღო (ზევით). ბექჰემების წარმატებებს მათი ვარსკვლავი მეგობრებიც ამაყად იზიარებენ. ფოტოზე წყვილი ტომ კრუზსა და კეიტი ჰოლმსთან ერთადაა აღბეჭდილი (ქვევით, მარჯვნივ). ისინი ლოს-ანჯელესში გამართულ ერთ-ერთ წვეულებას ესწრებიან.
























ზევით, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით: საუკეთესო სპორტსმენად დასახელების შემდეგ დევიდი ოჯახთან ერთად პოზირებს; ბექჰემებს ოთხი შვილი ჰყავთ: ბრუკლინი, რომეო, კრუზი და ჰარპერი; დაუვიწყარი იყო Emporio Armani-ის „რომანტიკული“ ფოტოსესია, რომელზეც მთელი სამყარო საუბრობდა; პაპარაცებმა დააფიქსირეს ფოტო, რომელზეც ჰარპერი პირველად გამოჩნდა; Vanity Fair-ის „საოსკარე“ წვეულებას ცოლ-ქმარი ერთად ესწრებოდა; მათ ოჯახური ინტერვიუ ჩინურ ტელევიზიასაც მისცეს; დევიდი და ჰარპერი ვიქტორიას ნიუ-იორკულ ჩვენებას დაესწრნენ.






ტანელი ვარსკვლავი გახდა, 2006 წელს კი ROBERTO CAVALLI-ს ჩვენებებზეც გამოჩნდა. საკუთარი კოლექციის დემონსტრირება მხოლოდ 2009 წელს მოახერხა. ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე ვიკიმ საგაზაფხულო კოლექცია წარმოადგინა და მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. მას შემდეგ 60 ქვეყნის მასშტაბით 500-ზე მეტი ბრენდული მაღაზია გახსნა და დიზაინერთა სამყაროში თავი სამუდამოდ დაიმკვიდრა. ამბობს, რომ ძალიან გაუმართლა და ეს დიდწილად სწორედ მისი საოცარი ოჯახის დამსახურებაა: „ძალიან იღბლიანი ვყოფილვარ – მყავს იდეალური მეუღლე და მშვენიერი, ჯანმრთელი და ბედნიერი შვილები. ძალიან ხშირად ვმოგზაურობთ და მუდამ რაღაც საქმე გვაქვს, მაგრამ ერთმანეთისთვის დროს ყოველთვის ვპოულობთ. მე და დევიდს არავისთვის არაფერი გვაქვს დასამტკიცებელი. ერთმანეთი გვიყვარს და ეს სიყვარული გვეხმარება, კარგი პარტნიორები და მშობლები ვიყოთ“.

## სიყვარული და ოჯახი

ხშირად ამბობენ ხოლმე, ვიქტორია და დევიდი ერთად იმიტომ არიან, რომ ერთგვარ ბრენდს წარმოადგენენ და ამას ორივე მათგანისთვის დიდი შემოსავალი მოაქვსო. მხოლოდ 2015 წელს BRAND BECKHAM-მა 36 მილიონი ფუნტი სტერლინგის მოგება მიიღო! მათი ბიზნესის გარშემო აგორებული მითქმა-მოთქმის მიუხედავად, დევიდი ამბობს: „ბევრი გვაბრალებს, რომ ერთად ჩვენი საქმიანობის გამო ვართ. არა. ერთად იმიტომ ვართ, რომ ერთმანეთი გვიყვარს. ერთად იმიტომ ვრჩებით, რომ ოთხი არაჩვეულებრივი შვილი და საოცარი ოჯახი გვაკავშირებს“.

უკვე 20 წელია მათზე უამრავ ტყუილსა და სიმართლეს ლაპარაკობენ. ალბათ ასე იქნება მომდევნო 20 წლის განმავლობაშიც. ვიქტორია და დევიდ ბექჰემები კი კიდევ დიდხანს დარჩებიან განუყრელი ოჯახის მაგალითად და იზრუნებენ, რომ ლეგენდარულ POSH & BECKS-ად დარჩნენ და „დიდხანს და ბედნიერად“ იცხოვრონ. H

**გასული წლის ნოემბერში დევიდი და ვიქტორია ლონდონში გამართულ Global Gift Gala-ს დაესწრნენ (მარჯვნივ). ყოფილ ფეხბურთელს ძალიან უყვარს Instagram-ი და ოჯახური ცხოვრების დეტალებს 32 მილიონამდე მიმდევარს უზიარებს. ამის მაგალითია საიუბილეო ფოტოც – დევიდი მე-40 დაბადების დღეს საყვარელ ადამიანებთან ერთად აღნიშნავს (ქვევით).**




ტექსტი: SALLY MORGAN. ფოტო: GETTY IMAGES; INSTAGRAM.




**ვიქტორია ბექჰემი: „ძალიან იღბლიანი ვყოფილვარ – მყავს იდეალური მეუღლე და მშვენიერი, ჯანმრთელი და ბედნიერი შვილები“**



# საქართველოს ვიზალიბერალიზაცია

## ფაქტები, პირობები და შეფასებები



ევროპარლამენტმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო – **ქართველი მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ იმოგზაურებენ!** ეს ისტორიული მოვლენა 2 თებერვალს, 553 დეპუტატის ხმით დადასტურდა. პლენარულ სხდომაზე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის წინააღმდეგ მხოლოდ 66 ხმა დაფიქსირდა, 28 ევროპარლამენტარმა კი პოზიციის გამოხატვისგან თავი შეიკავა. ფორმალური პროცედურების გავლის შემდეგ, სავარაუდოდ გაზაფხულიდან, გადაწყვეტილება ამოქმედდება და ბიომეტრიული პასპორტის მფლობელი ქართველები ევროპის ქვეყნებს ვიზის გარეშე ესტუმრებიან.

**მეტი ინფორმაციისთვის შეგახსენებთ**, რომ აქამდე საკონსულოში შესვლისას საჭირო იყო სამსახურის, ხელფასისა და ანაბრის ცნობის, ბანკის ამონაწერის, ფოტოსურათების, სამოგზაურო დაზღვევის, სავიზო აპლიკაციის, პასპორტის ასლის, სასტუმროს ჯავშნისა და თვითმფრინავის ბილეთების წარდგენა. გარდა ამისა, ეს პროცედურა გაცილებით დიდ თანხას უკავშირდებოდა. მას შემდეგ კი, რაც უვიზო მიმოსვლა დაიწყება, აუცილებელი იქნება მხოლოდ ორმხრივი ბილეთი, ბანკის ამონაწერი, სამოგზაურო დაზღვევა და სასტუმროს ჯავშანი. რაც მთავარია, დაგეხარჯებათ ნაკლები ფული და დამატებით სტრესსაც თავიდან აიცილებთ.

რასაკვირველია, სიახლეს უამრავი პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. კომენტარები ოფიციალურმა პირებმაც გააკეთეს. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ უვიზო მიმოსვლით აფხაზი და ოსი მოქალაქეებიც ისარგებლებენ. საქართველოს პრემიერმინისტრმა – **გი-**

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.



## როგორც ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა თქვა, „ევროპა თავის დანაპირებს ასრულებს“

**ორგი კვირიკაშვილმა** კი აღნიშნა: ***„ქუთაისიდან აუცილებლად გავემგზავრები ჩვენს ახალგაზრდებთან ერთად! მჯერა, რომ ღირსეულად შევაბიჯებთ დიდ ევროპულ ოჯახში და ჩვენს განსაკუთრებულ წვლილს შევიტანთ მის მრავალფეროვან კულტურაში, მშვიდობის განმტკიცებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში***“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელები თავისუფლად იმოგზაურებენ ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრსა და შენგენის ზონის კანდიდატ 4 ქვეყანაში. ვიზალიბერალიზაცია არ შეეხება დიდ ბრიტანეთს, ირლანდიას, ხორვატიას, კვიპროსს, რუმინეთსა და ბულგარეთს. რაც შეეხება მოგზაურობის დაშვებულ ხანგრძლივობას, ვიზიტი 90 დღეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, HELLO! **ქეთი ჩაჩავას** ესაუბრა. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა განმარტა, რომ 90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად, რის შემდეგაც კონკრეტულ პირს ევროპაში მოგზაურობა 5 წლამდე ვადით აეკრძალება ან დაეკისრება შესაბამისი ჯარიმა.

***„მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ უვიზო რეჟიმი მოკლევადიან მიმოსვლებს გულისხმობს***“, – აღნიშნა ქეთი ჩაჩავამ HELLO!-სთან საუბრისას, – ***„ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეებს ახალ შესაძლებლობებს მისცემს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, სტუდენტების მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების გააქტიურებას, ბიზნესკავშირების გაღრმავებასა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ სამედიცინო სერვისებით სარგებლობას, კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას... გააქტიურებული მიმოსვლა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ევროპული ფასეულობებისა და იდეების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში***“.

როგორც ევროკომისარმა **იოჰანეს ჰანმა** თქვა, ***„ევროპა თავის დანაპირებს ასრულებს***“. ყველა იმედოვნებს, რომ პირობას საქართველოს მოქალაქეებიც შეასრულებენ და ევროპული სამყაროს უკეთ გაცნობის შემდეგ, საკუთარ სამყაროსაც უკეთესობისკენ შეცვლიან. H



# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**ჩემი ბედნიერი ოჯახი** Netflix-ზე გამოჩნდება. მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა ქსელმა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ახალი ნამუშევრის სადისტრიბუციო უფლება ოფიციალურად მოიპოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ დრამას 190-ზე მეტ ქვეყანაში ნახავენ. შეგახსენებთ, რომ „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ პრემიერა იანვარში, „სანდენსის“ კინოფესტივალზე შედგა. ქართველი მაყურებელი ნამუშევრის შეფასებას წლის ბოლომდე შეძლებს.



**მაიკლ ფლინი** – დონალდ ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, თანამდებობიდან გადადგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ყოფილი ლეიტენანტი რუსეთის ხელისუფლებასთან კავშირში დაადანაშაულეს. ცნობილია, რომ ფლინმა რუსეთის ელჩთან სანქციების მოხსნის საკითხი განიხილა. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის პოზიცია უკვე დაიკავა 72 წლის რესპუბლიკელმა – ჯოზეფ კელოგმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტის წოდება აქვს მიღებული.



**მარიამ მირზახანი** პირველი ქალი გახდა, რომელმაც 78 წლის მანძილზე პირველად მიიღო მათემატიკოსებისთვის განკუთვნილი ყველაზე პრესტიჟული მედალი. ის რიმანის ზედაპირებისა და მათი მოდულების სივრცეების თეორიაში შემუშავებული განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვეს. გამარჯვებულმა პრიზი ახალგაზრდა ქალ მეცნიერებს მიუძღვნა და მათ მეტი სიმამაცისკენ მოუწოდა. მედალი იმ მათემატიკოსებს გადაეცემათ, რომლებსაც სამომავლო პროგრესის მიღწევაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი.



**ანიტა რაჭველიშვილი** Opera Awards 2017-ზე საუკეთესო ქალი მომღერლის ნომინაციაზეა წარდგენილი. ქართველი მეცოსოპრანოს ასეთი წარმატება ჯერ კიდევ 2009 წელს დადგმულ „კარმენში“ შესრულებულმა მთავარმა როლმა განაპირობა. მას შემდეგ ის მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ოპერებს ეწვია და აუდიტორიას თავი საოცარი ხმითა და არტისტიზმით დაამახსოვრა. საოპერო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დაჯილდოების გამარჯვებულებს 2017 წლის 7 მაისს, ლონდონის კოლიზეუმში გამოავლენენ.





**ჯოან როულინგი** მკითხველებს ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში კიდევ ერთხელ დააბრუნებს. მწერალმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჰარი პოტერის“ გმირებზე ახალ ისტორიებს დაწერს. პირველი სამი ამბავი ჰორაციუს სლაგჰორნის, პროფესორ მინერვა მაკგონაგალისა და დოლორეს ამბრიჯის ისტორიებს შეეხება. გულშემატკივრებს მათი წაკითხვა Pottermore-ზე, 6 სექტემბრიდან შეეძლებათ.




**LOVE ACTUALLY** ეკრანებზე 10-წუთიანი სიუჟეტით დაბრუნდება. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანტიკული კომედიის გაგრძელება Comic Relief-ის Red Nose Day-ს მიეძღვნება და ეკრანებზე 14-წლიანი პაუზის შემდეგ, 24 მარტს გამოჩნდება. სცენარის ავტორი და რეჟისორი ისევ რიჩარდ კერტისი იქნება. საშობაო კლასიკის გაგრძელებაში კვლავ ვიხილავთ ჰიუ გრანტს, მარტინ ფრიმენს, კირა ნაიტლის, კოლინ ფერტს, ლიამ ნისონსა და სხვა მონაწილე მსახიობებს. სამწუხაროდ, ალან რიკმანის გარდაცვალების გამო, ემა ტომპსონის გმირის ისტორია ფილმში აღარ გაგრძელდება.

**ფოტო:** ელენე მარგალიტაშვილი



# ახალი რესტორანი „ზალა“

## ქართული კულინარიის მოდერნიზებას ეცდება

„ზალა“ – ასე ერქმევა რესტორანს, რომელიც მალე თბილისელების საყვარელ ადგილად გადაიქცევა. აქ იქნება ყველაფერი, რაც თავს მყუდროდ, თბილად და შინაურულად გაგრძნობინებთ. როგორც რესტორნის წარმომადგენლები HELLO!-სთან საუბრისას ამბობენ, „ზალა“ იმ ახალი ტალღის ნაწილია, რომელიც ქართული კულინარიის მოდერნიზებას ცდილობს: „ეს არ გულისხმობს ძველის დავიწყებასა და ახლის დანერგვას. პირიქით – ვცდილობთ თანამედროვე ხერხებით ნოსტალგიური გემო შევქმნათ“. კერძების მრავალფეროვნების ოსტატები კი ის ახალგაზრდა მზარეულები არიან, რომლებიც უკვე გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, ინდივიდუალიზმითა და ახლებური მიდგომებით. „ზალას“ მთავარი მიზანი რესტორანში მისული სტუმრებისთვის კომფორტის შექმნაა. არ აქვს მნიშვნელობა, დროის გატარებას მეგობრებთან ერთად გადაწყვეტთ თუ ოჯახის წევრებთან – აქ ნებისმიერი გემოვნებისა და ხასიათის ადამიანი თავს შინაურულად იგრძნობს. მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ორიგინალური ინტერიერიც, რომლის შეფასება უკვე მარტის ბოლოდან თამარ ჭოველიძის N24-ში შეგეძლებათ.






**ნინო წიკლაური** უნგრეთში გამართული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ინფორმაციით, ქართველმა სპორტსმენმა სამთო-სათხილამურო სპორტის პრესტიჟულ შეჯიბრში მონაწილეობა საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიიღო. წიკლაურმა სხვადასხვა ქვეყნის რჩეული წარმომადგენლები დაამარცხა და მოთხილამურეებს შორის საუკეთესოს ტიტული დაიმსახურა. ჩემპიონატი ავსტრიის კურორტ სანკტ-ლამბრეხტში ჩატარდა და მასში ათი ქვეყნის სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.



**გიორგი მარგველაშვილმა** სამ სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები დანიშნა. კანადაში ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობებს კონსტანტინე ქავთარაძე შეასრულებს. კორეის რესპუბლიკაში ამ თანამდებობაზე ოთარ ბერძენიშვილი დაინიშნება, ყაზახეთის რესპუბლიკაში კი – ზურაბ აბაშიძე. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებას.



**ელ ჯერო** 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. ლეგენდარული ამერიკელი ჯაზშემსრულებლის სიკვდილის მიზეზი სუნთქვის უკმარისობა გახდა. ვიდრე გადაღლილობის დიაგნოზით ლოს-ანჯელესის საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, მომღერალმა დაგეგმილი კონცერტების გაუქმების შესახებ განაცხადა და სცენას სამუდამოდ დაემშვიდობა. „გრემის“ შვიდი ჯილდოს მფლობელი მუსიკოსი 50 წლის განმავლობაში ქმნიდა ჯაზის დაუვიწყარ კომპოზიციებს.



**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ATP-ის რეიტინგში 14 საფეხურით დაწინაურდა და 53-ე ადგილი დაიკავა. ქართველი ჩოგბურთელისთვის ეს რეკორდული მაჩვენებელია. მან მემფისის ტურნირში იასპარეზა და ფინალში ამერიკელ რაიან ჰარისონთან დამარცხდა. „საკმარისად აქტიურად არ ვთამაშობდი და უმეტესად თავს ვიცავდი“, – აღიარა ბასილაშვილმა. მისი მომდევნო გამოწვევა „დელრეი ბიჩის“ ტურნირია. აღსანიშნავია, რომ ATP-ის რეიტინგში ასეთ მაღალ საფეხურზე ჯერ არცერთი ქართველი ჩოგბურთელი არ მოხვედრილა.



სამკაული
**MARILISI**
ოქრო, ძოწი, ბრილიანტი

კაბა
**KETI CHKHIKVADZE**

**„ფილიპინებზე კარგად მომზადებული წავედი. იქ კი ყოველდღე დატვირთულები ვიყავით – გვქონდა გადაღებები, შეხვედრები... ბოლო ერთი კვირა მთლიანად რეპეტიციებს დაეთმო“**



## ქართული სილამაზე საერთაშორისო ასპარეზზე

# ნუკა ყარალაშვილი

## HELLO!-ს კონკურსზე მიღებულ გამოცდილებაზე ესაუბრა

„ნუკა ყარალაშვილი – GEORGIA!“ – ეს ფრაზა ქართველ გულშემატკივრებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნისა და საკუთარი სახელის ხმამაღლა გამოცხადება სილამაზის კონკურსების ჩვეული წესია, „მის საქართველოს“ გამოსვლას მაინც განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოჰყვა. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ საქართველოს წარმომადგენელი უნაკლოდ გამოიყურებოდა და მიუხედავად იმისა, რომ „მის სამყაროს“ ტიტული ვერ დაიმსახურა, ქვეყნის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარადგინა. HELLO! ნუკას საკონკურსო ციებ-ცხელებაზე, ცნობილ „ყვირილზე“, ქართულ რეალობასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა...

**ნუკა, რას ნიშნავდა თქვენთვის „მის სამყაროს“ კონკურსზე საქართველოს სახელით გამოსვლა?**

**ნ.ყ.** რა თქმა უნდა, ეს ძალიან საამაყო და საპასუხისმგებლო საქმე იყო. უზომოდ ბედნიერი ვიყავი იმ ფაქტით, რომ კონკურსზე მე მივდიოდი. სხვა „მისებისგან“ ვიცოდი, რომ უზარმაზარ გამოცდილებას მივიღებდი და ღონისძიება იდეალურად იქნებოდა ორგანიზებული.

**როგორ ემზადებოდით კონკურსისთვის საქართველოში და როგორ გაგრძელდა სამზადისი ფილიპინებზე?**

**ნ.ყ.** დიდი დრო არ დამჭირვებია – ერთი თვის განმავლობაში ვემზადებოდი. გვერდში ძალიან ბევრი ადამიანი დამიდგა, განსაკუთრებით კი ჩემი სააგენტო და დიზაინერები დამეხმარნენ. „მის სამყაროზე“ კაბები და კოსმეტიკური საშუალებები გამატანეს. შესაბამისად, ფილიპინებზე კარგად მომზადებული წავედი. იქ კი ყოველდღე დატვირთულები ვიყავით – გვქონდა გადაღებები, შეხვედრები... ბოლო ერთი კვირა მთლიანად რეპეტიციებს დაეთმო.

**ვინ იზრუნა თქვენს ჩაცმულობაზე?**

**ნ.ყ.** საკონკურსო LOOK-ებით „მარიონელამ“, ავთანდილმა და ლაშა ჯოხაძემ მომამარაგეს.

**რას გაიხსენებდით გამორჩეულად „მის სამყაროზე“ მიღებული გამოცდილებიდან?**

**ნ.ყ.** თითოეული დეტალი განსაკუთ- ▶



სამკაული
**MARILISI**
ვერცხლი, მარგალიტი

კაბა
**KETI CHKHIKVADZE**

**„გვერდში ძალიან ბევრი ადამიანი დამიდგა, განსაკუთრებით კი ჩემი სააგენტო და დიზაინერები დამეხმარნენ“**

რებულად მახსენდება. ყველა დღე დასამახსოვრებელი იყო. სულ საჩუქრებით გვანებივრებდნენ. თუმცა ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი, რაც ამ კონკურსმა მაჩუქა, იქ შეძენილი მეგობრებია.

**უშუალოდ შეხვდით სტივ ჰარვის, რომელმაც გასული წლის კურიოზული შემთხვევით თავი მთელ სამყაროს დაამახსოვრა. მოგვიყევით ამ შეხვედრის შესახებ...**

ნ.ყ. სტივ ჰარვი ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. უზომოდ სასაცილო იყო და იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა. რაც მთავარია, ყველა მონაწილესთან ძალიან უშუალო და კარგი ურთიერთობა აკავშირებდა. ▶



სამკაული
**MARILISI**
ოქრო, ძოწი, ბრილიანტი

კაბა
**KETI CHKHIKVADZE**

**„ჩემთვის „მის საქართველოს“ ტიტული და „მის სამყაროს“ კონკურსში მონაწილეობა უკვე დიდი წარმატებაა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მეგობრები მთელი მსოფლიოს მასშტაბით შევიძინე“**



სამკაული
**MARILISI**
ვერცხლი, მარგალიტი

ბლუზი და შარვალი
**TEONA ELIZBARASHVILI**

„თითოეული დეტალი განსაკუთრებულად მახსენდება. ყველა დღე დასამახსოვრებელი იყო, სულ საჩუქრებით გვანებივრებდნენ“



## „მომავალ წელსაც წავიდოდი „მის სამყაროზე“ და მეტად თუ არა, იგივენაირად მაინც ვიყვირებდი“

**როგორც ვიცით, „მის სამყაროს“ წლევანდელ გამარჯვებულთან ძალიან დამეგობრდით. როგორ დაახასიათებდით ფრანგ მეგობარს?**
**ნ.ყ.** ძალიან კარგი გოგოა! პროფესიით სტომატოლოგია და შოკში იყო, „მის სამყაროდ“ რომ დაასახელეს. გონს ვერ მოდიოდა და გააზრება უჭირდა. ეს იმიტომ, რომ მოლოდინი საერთოდ არ ჰქონია. საფრანგეთში დაბრუნებასა და პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა. ახლა კი ნიუ-იორკშია და სხვადასხვა ღონისძიებაში აქტიურადაა ჩართული. დარწმუნებული ვარ, „მის სამყაროს“ ტიტულს ღირსეულად ატარებს...

**ცნობილი „სასცენო ყვირილის“ შესახებაც მოგვიყევით...**
**ნ.ყ.** ყოველ წელს ყვირიან ხოლმე და წელს, რატომღაც, მე აღმოვჩნდი გამორჩეული. ვიცი, რომ ეს მომენტი ყველამ აიტაცა და მე მგონი ცუდი სულაც არ არის.

**მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, რას შეცვლიდით მოსამზადებელ პროცესში?**
**ნ.ყ.** არაფერს შევცვლიდი, იმიტომ, რომ ყველაფერი კარგად გაწერილი, გათვლილი და ორგანიზებული იყო. პირიქით – შანსი რომ ▶

სამკაული
MARILISI
ოქრო, ამეთვისტო, ბრილიანტი

კაბა
TAMUNA INGOROKVA



**საათი**
***Calvin Klein***
**ARTTIME**

**პიჯაკი და ბოტფორდები**
**TAMUNA INGOROKVA**

**„როცა სახელმწიფო თავისივე პრესტიჟით დაინტერესდება, შემდეგ უკვე თამამად შევძლებთ მოწინავე პოზიციებზე ფიქრსა და საუბარს“**

საათი
*Calvin Klein*
**ARTTIME**

ლაბადა, კაბა და ბოტფორდები
**TAMUNA INGOROKVA**



## „უზომოდ ბედნიერი ვიყავი იმ ფაქტით, რომ კონკურსზე მე მივდიოდი“

მქონდეს, „მის სამყაროზე“ მომავალ წელსაც წავიდოდი და მეტად თუ არა, იგივენაირად მაინც ვიყვირებდი.

**თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველომ სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე მოწინავე პოზიციები დაიკავოს?**
ნ.ყ. სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს. ია კიწმარიშვილმა და „იმიჯ ცენტრმა“ საოცარი მხარდაჭერა აღმომიჩინეს და მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველო ღირსეულად წარმედგინა. მაგრამ ჩემი სააგენტო ყველაფერს თავის თავზე ვერ აიღებს. „მის სამყაროს“ ორგანიზატორებმა ქვეყნის ინტერესიც თუ არ დაინახეს, არაფერი გამოვა. სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევაში ასე არ მომხდარა, მაგრამ არა უშავს – იმედია, სამომავლოდ ყველაფერი გამოსწორდება. როცა სახელმწიფო თავისივე პრესტიჟით დაინტერესდება, შემდეგ უკვე თამამად შევძლებთ მოწინავე პოზიციებზე ფიქრსა და საუბარს.

**რა პერსპექტივებს განაპირობებს სილამაზის კონკურსებში მიღწეული წარმატება საქართველოში?**
ნ.ყ. ეს ყველაფერი მუდმივი ტიტულია – შენ სამუდამოდ რჩები „მის საქართველოდ“, რაც თავისთავად ძალიან კარგია. იმასაც გააჩნია, ვინ რას აღიქვამს წარმატებად. ჩემთვის „მის საქართველოს“ ტიტული და „მის სამყაროს“ კონკურსში მონაწილეობა უკვე დიდი წარმატებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მეგობრები მთელი მსოფლიოს მასშტაბით შევიძინე. დამეთანხმებით, ეს თითოეული ადამიანისთვის ყველაზე დიდი მიღწევაა.

**როგორია თქვენი უახლოესი სამომავლო გეგმები?**
ნ.ყ. ჯერჯერობით საქართველოში ვარ და ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში ვმუშაობ. სამომავლო გეგმები კონკრეტულად ჯერ არ დამისახავს. ვმონაწილეობ სხვადასხვა გადაღებაში და ვცდილობ ბევრ რამეში ჩავერთო. ვნახოთ, ქვეყნის ფარგლებს შეიძლება სამოდელო სფეროს მიმართულებითაც გავცდე და მალე საქმიანი ვიზიტით წასვლა მომიხდეს. რაც უნდა იყოს, ყველაფერს აუცილებლად შეგატყობინებთ... H

**ინტერვიუ**: ელენე მარგალიტაშვილი
**ფოტო**: ირაკლი პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: თამუნა ინგოროყვა, ქეთი ჩხიკვაძე
**ლოკაცია**: შატო მუხრანი









ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ **„ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲔᲓᲔᲛᲘ“** ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ, მდინარე ბურსას მარჯვენა სანაპიროზე, თბილისიდან 153 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სასტუმროს აქვს მაღალი კლასის ოთახები, რესტორნები, ბარები, საკონფერენციო დარბაზი, ბოულინგი, ბილიარდი, ტენისის კორტი, სატრენაჟორო დარბაზი, საბავშვო გასართობი ოთახი და რაც მთავარია — **პირველად საქართველოში ექსკლუზიური პროექტი — ᲦᲕᲘᲜᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲡᲞᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ**

**Agmashenebeli** Street 78A, **KVARELI**, **GEORGIA**; +995 577 60 03 03; **E-mail**: info@kvarelieden.ge; **www.kvarelieden.ge**

# წარმატებული ქალბატონები

## რომლებიც საკუთარი შემოქმედებითა და მიღწევებით საქართველოს მსოფლიოს აცნობენ



„ჩემი ყოველი ახალი დღე საკუთარი თავის გამოცდაა. როგორ ვაბარებ არ ვიცი, თუმცა ფაქტია, რომ ცხოვრება ყოველდღე ახალ გამოწვევას მთავაზობს“.

## ნინო სურგულაძე

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცო-სოპრანო – ნინო სურგულაძე დღეს მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრებთან თანამშრომლობს და წამყვანი თეატრების სცენებს იპყრობს, თუმცა საქართველო და თბილისი ყველაზე მეტად უყვარს. მისი მუსიკალური კარიერაც ხომ სწორედ აქედან იწყება და ყველა ძვირფასი მოგონება ბავშვობასთან და აქ გატარებულ წლებთან ასოცირდება.

7 წლის ასაკიდან ხელოვნების სკოლაში სწავლობდა. სკოლის მერხიდან კი „მეტიჩარას“ გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა. შემდეგ იყო ფილმები: „მარტივი პასიანსი“ და ლანა ღოღობერიძის „ვალსი პეჩორაზე“, რომელშიც მთავარი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ჟენევის კინოფესტივალზე სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა.

კინოსამყარომ მარტივად „მოწამლა“, თუმცა მშობლების წინათგრძნობას ენდო – კინოს მუსიკა არჩია და კონსერვატორიის კართან მივიდა. პირველი და ყველაზე დიდი წარმატება 23 წლის ასაკში მოვიდა, როცა პირველი ქართველი მომღერალი გახდა, რომელმაც „ლა სკალას“ სეზონი გახსნა. სწორედ აქედან იწყება ნინო სურგულაძის რთული, საინტერესო და ნამდვილი ვარსკვლავური გზა.

ძლიერია, მტკიცე ხასიათი აქვს, საკუთარ თავს მუდმივად პაექრობაში იწვევს, და ყოველთვის „ბეწვის ხიდზე“ გადის, არასოდეს კმაყოფილდება მიღწეული შედეგით და ერთ ადგილას არასოდეს ჩერდება.

ამჟამად ახალ ზელანდიაში – მისთვის სრულიად უცნობ ქვეყანაში, ნაცნობი ნაწარმოებების შესასრულებლად მიემგზავრება. შემდეგ ისევ ბევრი საინტერესო პროექტი, „ნატვრის ხის“ ღონისძიებები, „აიდები“, „კარმენები“ და ასე, წინასწარ არის გაწერილი მომავალი რამდენიმე წელი.

> „ქალზე ვერასოდეს ვიტყვი, რომ სუსტია. ქალი სულიერად ძალიან ძლიერია, სუსტი სქესი მხოლოდ ფიზიკურ მხარეს გულისხმობს“

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი. **ფოტო**: ირაკლი პირველი. **სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი. **ჩაცმულობა**: თამუნა ინგოროყვა; ქეთი ჩხიკვაძე. **ლოკაცია:** HOTEL COSTE

„საკუთარ თავს არასოდეს ვზოგავ. სიძლიერე კი ჩემი ხასიათის ნაწილია. წარმატების მისაღწევად ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გარდა იღბალიც საჭიროა. უფლის წყალობას ყოველთვის ვგრძნობ“.



## ნინო სალუქვაძე

მოძრავი, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო. მოზღვავებული ენერგიის დასახარჯად მშობლები კალათბურთზე ატარებდნენ. კარგად თამაშობდა, თუმცა ოთხ წელიწადში სპორტის ეს სახეობა მოიბეზრა და კალათბურთს თავი გაანება. დედის სურვილი იყო, რომ ნინოს ძალები ტყვიის სროლაში მოესინჯა.

თხუთმეტი წლის ნინომ პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა. 19 წლისამ, 1988 წელს სეულის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, ოცდახუთი და ათი მეტრი ნიშნულიდან, სპორტული პისტოლეტით მიზანში სროლაში ასპარეზობისას, ოქროს მედალი, მეორე დღეს კი პნევმატურში ვერცხლი მოიპოვა. 20 წლის შემდეგ, 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნინო სალუქვაძე ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული.

უკვე 35 წელია ნინო სალუქვაძე სამიზნესთან დგას. ბოლო 12 წელია სავარჯიშო კლუბი ჩამოაყალიბა და ახალ თაობებსაც ზრდის.

„ვცდილობ ყოველთვის მიზანში გავარტყა – მიზანში, რომელიც ამართლებს საშუალებებს“

## ნინო ზამბახიძე

1997 წელს, მაშინ, როცა საქართველოში არ იყო ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და იყო „მხედრიონის“ პერიოდი, ნინო ოჯახის დასახმარებლად ამერიკაში მხოლოდ ჯიბეში ასი დოლარით წავიდა. სწორედ იქ ცხოვრებისას გაუჩნდა სურვილი, რომ საქართველოში ამერიკული ე.წ. „თეიქ ევეი“ ყავის კონცეფცია დაენერგა. ბიზნესიდეამ ფურცლიდან მალევე თბილისის ქუჩებში გადაინაცვლა და ჯიხურები წარწერით „ახალი ყავის ფერი“ გამოჩნდა.

სოფლის მეურნეობის კუთხით მუშაობა შემთხვევით დაიწყო. სწორ დროს სწორ ადგილას აღმოჩნდა და იღბალმაც გაუღიმა – სწორედ ამ დროს, მეწარმეობის გასავითარებლად საქართველოში ბევრი დონორი ორგანიზაცია შემოვიდა და საგრანტო კონკურსები გაჩნდა. ნინო დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აგროკომპლექსის მფლობელია, რომელიც რძის გადამამუშავებელ საწარმოს, პირუტყვის საკვების მწარმოებელ საწარმოს, ასსულიან ფერმას, ვაშლის ბაღებს, ხილისა და ბოსტნეულის შემნახველ სამაცივრე მეურნეობას, ხელოვნურ ტბასა და ფერმერთა ტრენინგცენტრს მოიცავს.



„მე ლიდერობის სხვა სტილი მაქვს. ჩემს თავს ყოველთვის ვეუბნები, რომ იცი რა, შენზე ბევრად კარგი ტიპები არსებობენ, ბევრად ჭკვიანები და არ შეიძლება ყველაფერი შენ იცოდე. ამიტომ სხვებსაც უნდა დაუთმო ასპარეზი“.

## საკულტო სტილის ქალბატონები მნიშვნელოვანი ტიტულით

# ამერიკის პირველი ლედი



მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირი გახდა, მსოფლიოს ყურადღება მისი ოჯახისკენაა მიმართული. აკვირდებიან ყველაფერს – ცოლ-ქმრის ურთიერთდამოკიდებულებას, მშობლებისა და შვილების ურთიერთობას, თითოეულ ჟესტსა და მოძრაობას... დაკვირვების ასეთივე საგანია მელანია ტრამპის ჩაცმის სტილი. მას შემდეგ, რაც ჟაკლინ კენედიმ 1960-იანი წლების მოდა განსაზღვრა და ამ სფეროზე წარმოუდგენელი გავლენა იქონია, ყველა „პირველი ქალბატონი“ ცდილობს არანაკლებ ეფექტური და დასამახსოვრებელი იყოს. სწორედ ჯეკის სტილს შეადარეს ის ცისფერი კაბა, რომელიც მელანიამ მეუღლის ინაუგურაციის დღეს მოირგო. როგორც ჩანს, ყოფილი მოდელი საუკეთესოთა სიაში ოქროს ასოებით ჩაეწერება. ჩვენ კი ჩვენს ოთხეულს წარმოგიდგენთ... ▶







## ნენსი რეიგანი

ყოფილი ჰოლივუდელი მოდის ტენდენციებს მანამდეც შესანიშნავად უწყობდა ფეხს, სანამ თეთრ სახლში დაბინავდებოდა. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში ნენსის ფავორიტებად **OSCAR DE LA RENTA** და **CAROLINA HERRERA** ითვლებოდნენ. 1980-იანი წლების პირველი ლედი საოცრად ელეგანტური და ამავდროულად, თვალისმომჭრელი კაბებით გამოირჩეოდა. მოდის მიმდევრებმა საკულტო ქალბატონის საყვარელ ფერს „რეიგანის წითელიც“ კი უწოდეს. მას ბევრი აკრიტიკებდა და ამბობდა, რომ ქვეყნის პირველი პირის მეუღლეს ასეთი ძვირფასი და თვალში მოსახვედრი სამოსი არ შეეფერებოდა, მაგრამ ნენსის მათთვის გასაცემი პასუხი ყოველთვის მზად ჰქონდა: *„თქვენ თქვენებური შეხედულებები გაქვთ – სულ ეს არის“*. პირველი ლედი სიკვდილამდე იდეალურად გამოიყურებოდა და 94 წლის ასაკშიც კი ახერხებდა, თავისი სხეული საუკეთესო კუთხით წარმოეჩინა და არ დავიწყებოდა ორი საყვარელი დეტალი – ქამარი და ღილები.













## ჟაკლინ კენედი

როდესაც დახვეწილ გემოვნებაზე საუბრობენ, ყოველთვის იხსენებენ ქალბატონს, რომელმაც საკულტო სტილი ჯერ კიდევ 31 წლის ასაკში შექმნა. საუბარია ჟაკლინზე, რომლის დამსახურებითაც ჯონ კენედის პრეზიდენტობის პერიოდს „კამელოტის ერა“ უწოდეს. პირველი ლედის ფავორიტი **OLEG CASSINI** გახლდათ, რომლის წყალობითაც ელეგანტური და დახვეწილი სტილი მოდის მთავარ ტენდენციად იქცა. ჯეკის „საფირმო“ სამოსი იყო წელში გამოყვანილი კაბა ბაფთით. აქსესუარებიდან კი მის ხელწერას ცილინდრის ფორმის ქუდები და მარგალიტის სამკაულები ატარებდა. მედლინ ფონტენმა, რომელმაც „ოსკარზე“ წარდგენილი Jackie-ს კოსტიუმები შექმნა, HELLO!-სთან საუბარში აღნიშნა, რომ *„ჟაკლინი ყოველთვის ელეგანტური სტილის სრულუფლებიან ელჩად დარჩება“*.





## მიშელ ობამა

იმ რვა წლის განმავლობაში, რომელიც თეთრ სახლში გაატარა, მიშელ ობამამ ამერიკულ მოდას თავისი კვალი დაატყო. პირველ ლედის ყოველთვის შეეძლო პრესტიჟულ ბრენდებთან ერთად ყველასთვის ხელმისაწვდომი ტანისამოსიც მოეხდინა. მაგალითებად **J CREW** და **ANN TAYLOR**-იც კმარა. კარიერისტი ქალბატონი ყოველთვის ცდილობდა ჩაეცვა ის, რაშიც თავს იდეალურად იგრძნობდა. მისი თქმით, ასე საქმეს უფრო გულიანად აკეთებდა. „ყველაფერი კომფორტამდე მიდის“, – აღიარა მიშელმა Vogue-თან საუბრისას, – „იმისათვის, რომ სხვებს შეუქმნა კომფორტი, საჭიროა უპირველეს ყოვლისა თავად იყო კომფორტულად“. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი სტილის ისტორიაში ჰაეროვანი კაბებითა და ფერად-ფერადი პრინტებით ჩაეწერა.











ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

## მელანია ტრამპი

ის, რომ მელანიას სტილის საოცარი შეგრძნება აქვს, დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზეც გამოჩნდა. ყოფილი მოდელი ჩაცმულობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. საუკეთესო იერსახის შექმნაში მას იდეალური ფიგურაც ეხმარებოდა. მელანიას ხელწერა პასტელის ნათელი ფერებია. უპირატესობას, უმეტესად, მარტივ ფორმებს ანიჭებს, თუმცა ზოგჯერ არც ორიგინალურ დეტალებზე ამბობს უარს. მაგალითად **ROKSANDA ILINCIC**-ის თეთრი კაბაც გამოდგება, რომელსაც ღრუბლების ფორმის სახელოები ამშვენებდა. პირველ ლედის კარგად ესმის ქალური სტილის მნიშვნელობა და ამას ვარდისფერბაფთიანი კაბებით, მხრებზე მოგდებული ლაბადებითა და საოცრად დახვეწილი, კლასიკური კომბინეზონებით ყოველდღიურად გამოხატავს.

## 2016 წლის რჩეული ქალბატონები

# მთავარი გმირები

## რომლებმაც სამყარო უკეთესობისკენ შეცვალეს

## მიშელ ობამა

### საერთაშორისო გმირი

როგორც აღმოჩნდა, მიშელ ობამა მხოლოდ ამერიკას კი არა, მთელ მსოფლიოს უყვარს. გასული წლის „მთავარი გმირების“ რეიტინგში მან დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. 52 წლის პირველმა ლედიმ, რომელმაც თეთრი სახლი სულ ცოტა ხნის წინ დატოვა, ფავორიტის სტატუსი დედოფალ ელისაბედსაც კი ჩამოართვა და დედამიწის ყველა კუთხეში ერთგულ გულშემატკივართა მთელი არმია შემოიკრიბა. ეს საქველმოქმედო საქმიანობით, სწორი პოლიტიკური შეხედულებებითა და განუმეორებელი სტილით შეძლო. ყველაფერს კი ისიც დაემატა, რომ დონალდ ტრამპის გამარჯვებითა და პოლიტიკური გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ადამიანებმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება Twitter-ზე დაიწყეს – ე.წ. ჰეშთეგი #Michelle2020 ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ „ტვიტად“ იქცა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკელები (და არა მხოლოდ) მომავალ პრეზიდენტად სწორედ მიშელს მოიაზრებენ. ემოციური საჯარო გამოსვლებით ცნობილმა პირველმა ლედიმ ამ საკითხზე თავისი პოზიცია ოპრა უინფრისთან საუბარში დააფიქსირა: „ამას რომ ვაპირებდე, აუცილებლად ვიტყოდი. არ მიყვარს სხვების ინტერესებზე თამაში. არ მგონია, ოდესმე პრეზიდენტობა მომინდეს“.

ინტელექტი, იუმორი და შარმი – მისის ობამას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ მისაბაძი მაგალითი იყოს. ამას ისიც ემატება, რომ აფროამერიკელმა პირველმა ლედიმ ადვოკატის წარმატებული კარიერა დათმო, რათა მეუღლეს ბოლომდე დადგომოდა გვერდში და მისთვის მძიმე ტვირთი შეემსუბუქებინა.

### იუმორი და საკულტო სტილი

მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოფიციალურ შეხვედრაზე იყო, ჰოლივუდელებს ეჭორავებოდა თუ სტუდენტებს ესაუბრებოდა – მიშელ ობამას არასოდეს ავიწყდებოდა ღიმილის, სიცილის, იუმორის მნიშვნელობა. არც იმაზე უთქვამს უარი, ჯეიმს კორდენთან ერთად მანქანით ესეირნა, კარაოკე ემღერა და ბიონსეს ცეკვა შეესრულებინა; ან ელენ დეჯენერესთან ერთად საყიდლებზე წასულიყო; ან პრინც ჰარის გახუმრებოდა და საერთო ენა პრინც ჯორჯთანაც გამოენახა. ასეთივე უშუალო იყო იმ აუდიტორიასთან, რომელსაც მნიშვნელოვან თემებზე ესაუბრებოდა. ყველაზე მეტად გოგონათა განათლება და ბავშვთა უფლებები აღელვებდა და ამ მხრივ სხვადასხვა ინიციატივითაც გამოდიოდა. ლედი გაგა ამბობდა, რომ პირველი ლედი ყველასთვის მისაბაძი მაგალითი და ღირსეული ლიდერი იყო. ამერიკული Vogue-ის რედაქტორი ანა ვინტური კი იმდენად აღფრთოვანებული იყო მიშელ ობამას სტილითა და პიროვნებით, რომ ჟურნალის ყდაზე მისი ფოტო სამჯერ დაბეჭდა და ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „მისის ობამას ძალიან უყვარს მოდა. მან ზუსტად იცის, როგორ უნდა გამოიყურებოდეს დამოუკიდებელი საქმიანი ქალბატონი“.

ეს ყველაფერი პირველმა ლედიმ გასულ ერთ წელიწადშიც ბევრჯერ დაამტკიცა და სწორედ ამიტომაა, რომ ფავორიტი ქალის ტიტული უდავოდ დაიმსახურა.



მიშელ ობამა გასული წლის მთავარ გმირად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლი უკვე დატოვა, გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ საკულტო პირველ ლედის სულ მალე პრეზიდენტის ამპლუაში იხილავენ.



HELLO!-ს საყოველთაო გამოკითხვამ წლის ყველაზე გამორჩეული ქალბატონების ვინაობა დაადგინა. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დედამიწის ყველა კუთხეში დაემსახურებინათ...

# დედოფალი ელისაბედი

HELLO!-ს ონლაინგამოკითხვაში ათასობით მკითხველმა მიიღო მონაწილეობა და რჩეული ქალბატონების რეიტინგის შედგენაში უშუალო წვლილი შეიტანა. წლევანდელი გამარჯვებული მიშელ ობამაა, მეორე პოზიციას კი დედოფალი ელისაბედი იკავებს. ათეულში შესულ თითოეულ გმირს თავისი საქმიანობა და დამოკიდებულებები გამოარჩევს.

## მთავარი გმირი სამეფო ოჯახიდან

მეორე ადგილი დედოფალმა ელისაბედმა დაიკავა და 90 წლის ასაკში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გავლენას მხოლოდ დიდ ბრიტანეთზე კი არა, მთელ მსოფლიოზე ახდენს. უკვე 64 წელია, მონარქის დაბადების დღე ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულადაა აღიარებული და მისი ყველა ნაბიჯი ყურადღების ცენტრში ექცევა. დედოფალი სამაგალითოდ ითავსებს დედის, ბებიისა და დიდი ბებიის როლებს. უარს არც იმაზე ამბობს, რომ შვილიშვილებთან ერთად სახალისო ვიდეორგოლები ჩაწეროს და Invictus Games-ის პოპულარიზაციაში უშუალო მონაწილეობა მიიღოს.

ამქვეყნად ყველამ იცის, რომ მისაბაძია მისი სტილიც, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ცოტა ხნის წინ მოწყობილ ღონისძიებაზე Fashioning a Reign: 90 Years of Style (იხ. ჟურნალ HELLO!-ს ოქტომბრის ნომერში), სადაც ელისაბედის კაბები გამოიფინა. დედოფალი მუდმივად აოცებს აუდიტორიას. მაგალითად იმ სამოსის მკვეთრი ფერებიც კმარა, რომლებიც საკუთარი იუბილეს აღსანიშნად შეარჩია – მონარქის ჩაცმულობას „ნეონი 90 წლის ასაკში“ უწოდეს, რაც მგონი ისედაც ყველაფერზე მეტ-ყველებს. ▶







# ადელი

### მუსიკალური გმირი

ადელი უდავოდ იმსახურებს გასული წლის მთავარი გმირის სტატუსს. მის დაბრუნებასა და ახალ ალბომს საოცარი აჟიოტაჟი მოჰყვა. ოთხი წელი პაუზად ნამდვილად ღირდა – პოპდივას სიმღერებმა მუსიკალურ სამყაროში თავისი სიტყვა კიდევ ერთხელ თქვა და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით 10 მილიონზე მეტი ალბომი გაყიდა. ასეთივე რაოდენობითა და სისწრაფით იყიდებოდა კონცერტის ბილეთები მსოფლიოს გარშემო.

სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ადელის გულშემატკივართა სიაში მიშელ ობამა, რობი უილიამსი და ჯეიმს კორდენი არიან. ამ უკანასკნელმა მომღერალი თავის შოუშიც მიიწვია და მასთან ერთად „მანქანის კარაოკე“ ჩაწერა. Youtube-ზე მაყურებელთა რაოდენობამ 145 მილიონს გადააჭარბა! წამყვანმა კი აღიარა: „ადელი პლანეტის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია! მისი უშუალობა და გულწრფელობა ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს“.

# კემბრიჯის ჰერცოგინია

### გმირი დედა

გარდა იმისა, რომ 3 წლის ჯორჯისა და 22 თვის შარლოტას სამაგალითო დედაა, კეიტ მიდლტონს მრავალი სხვა საქმიანობაც გამოარჩევს. სწორედ ის ხელმძღვანელობს კამპანიას Heads Together, რომელიც ფსიქიკურ დაავადებებზე არსებულ სტიგმას ებრძვის. მისი თანადამფუძნებლები კემბრიჯის ჰერცოგი და პრინცი ჰარი არიან.

ყველასთვის ცნობილია „კეიტის ეფექტიც“, რომელიც მისი სტილისა და გემოვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა. კემბრიჯის ჰერცოგინიამ ყოველთვის იცის, რომელ სიტუაციას როგორი სამოსი უნდა მოახდინოს და ამის მაგალითს მსოფლიოს გარშემო მცხოვრებ ქალბატონებსაც აძლევს. გასულ წელს მისი ფავორიტები Catherine Walker-ი და Barbara Casasola იყვნენ. ხშირად ჩნდებოდა პრინცესა დაიანას მსგავს კაბებშიც.

ამ ყველაფრის გარდა, კეიტი ყოველთვის, ყველა სიტუაციასა და შემთხვევაში რჩება იდეალურ მეუღლედ, საუკეთესო დედად და სამეფო ოჯახის სანიმუშო წარმომადგენლად, რაც საკმარისია იმისათვის, რომ პლანეტის ყველა წერტილში პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდეს და ღირსეულად ატარებდეს „მთავარი გმირის“ ტიტულს.





## ჯოან როულინგი

### ლიტერატურული გმირი

ცნობილი ბესტსელერის შემქმნელმა ქალბატონმა კიდევ ერთხელ მოახერხა გულშემატკივრების გაოცება და მათ ჯადოსნური ჰარი პოტერამდელი ისტორია – Fantastic Beasts and Where to Find Them შესთავაზა. მისივე შემოქმედებაზე დაყრდნობით დაიდგა სპექტაკლი Harry Potter and the Cursed Child, რომელიც ჰარის შვილის ამბებს მოგვითხრობს. მოკლედ, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა მწერალმა მკითხველების მომარაგება და არნახული მოგების მიღება წელსაც განაგრძო. რაც მთავარია, ქონებას ყოველთვის უნაწილებს მათ, ვისაც უჭირთ. ამავდროულად, დიდი ფინანსური წვლილი შეაქვს გაფანტულ სკლეროზთან დაკავშირებულ კვლევებში. მოკლედ რომ გითხრათ, ჯოან როულინგი დიდი ქველმოქმედია.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მწერალმა საუკეთესოთა შორის ადგილი მარტო იმითაც დაიმსახურა, რომ შეძლო გაჭირვებული მარტოხელა დედიდან მულტიმილიონერ ქალბატონად გადაქცეულიყო და მხოლოდ თავისი შვილისთვის კი არა, უამრავი ადამიანისთვის ეჩუქებინა დაუვიწყარი, ჯადოსნური ბავშვობა და სამყარო, რომელშიც დღეს მხოლოდ ისინი ცხოვრობენ, ვინც პატარა ჯადოქარ ბიჭუნასთან ერთად გაიზარდნენ.

## ჯიჯი ჰადიდი

### პოდიუმის გმირი

დონატელა ვერსაჩე მას „21-ე საუკუნის ახალ საკულტო ფიგურად“ მოიხსენიებს. არავინ კამათობს იმაზე, რომ გასულ წელს ჯიჯი მართლაც გადაიქცა გოგონად, რომელმაც მოდის ყველა მიმდევარი მონუსხა და Fashion Awards-ზე შესაბამისი – „წლის მოდელის“ ჯილდოც დაიმსახურა.

21 წლის ამერიკელი ლამაზმანი მხიარული, მეგობრული, უშიშარი, რისკების მოყვარული და შეუპოვარი მოდელია, რომელიც გულშემატკივრებს მხოლოდ საქმიანობისა და უზადო გარეგნობის კი არა, ხასიათის გამოც უყვართ. სამაგალითოა მისი პირადი ცხოვრება და ის დამოკიდებულებაც, რომელსაც შეყვარებულის – ზეინ მალიკის მიმართ ავლენს. მიუხედავად ზეინის პერიოდული ნერვული აშლილობისა, ჯიჯი გმირულად ახერხებს საუკეთესო მეორე ნახევრად დარჩეს და საყვარელი ადამიანი ყველანაირად გაამხნევოს. ▶



# ამალ კლუნი

## სოციალური გმირი

გარდა იმისა, რომ ჯორჯ კლუნის გვერდით ყოველთვის თვალისმომჭრელ კაბებში ჩნდება, ამალ ალამუდინი საკუთარი კარიერითაც გამოირჩევა და იქაც ისევე ბრწყინავს, როგორც სხვადასხვა „წითელ ხალიჩაზე“. ცნობილი ადვოკატი და ადამიანის უფლებათა დამცველი ხშირად ერთვება სოციალური და ჰუმანიტარული საქმეების მოგვარებაში და წარმატებასაც დაუბრკოლებლად აღწევს.

აღსანიშნავია, რომ მომავალ მეუღლესთან შეხვედრისას ალამუდინი უკვე ცნობილ იურისტად მიიჩნეოდა. გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა ნადია მურადის საქმე იყო – ამალი სექსუალური ძალადობის მსხვერპლს სამართლიანობის აღდგენაში დაეხმარა, შემდეგ კი გაეროს სხდომაზე სიტყვითაც გამოვიდა და აღნიშნა: „წარმოუდგენელი ამბები ხდება 11-12 წლის გოგონების ცხოვრებაში, რის შესაჩერებლადაც არაფერს ვაკეთებთ“.

ამალ კლუნი ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებსაც უზიარებს – ის ნიუ-იორკის Columbia Law School-ის პროფესორია და თავისებურად ცდილობს სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს, ადამიანებს კი მისცეს ცოდნა, რომელიც საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვაში დაეხმარებათ.



# ევა ლონგორია

## გმირი ქველმოქმედი

მიუხედავად იმისა, რომ ხმაურიანი წვეულებებითაა ცნობილი და გასულ წელს ხოსე ბასტონთან დაოჯახება გრანდიოზული ქორწილით აღნიშნა (იხ. HELLO!-ს აგვისტოს ნომერში), ევა ლონგორია არც გაჭირვებულებს ივიწყებს და ასიათასობით დოლარს ხარჯავს მათ დასახმარებლად. აფინანსებს Global Gift Gala-ს ღონისძიებებსაც, რომელიც ცოტა ხნის წინ ლონდონშიც გაიმართა. საქველმოქმედო შეხვედრას ვიქტორია ბექჰემთან ერთად უძღვებოდა. ევაზე საუბრისას სწორედ ვიკიმ აღნიშნა: „ჩემი მეგობარი შინაგანადაც ისეთივე მშვენიერია, როგორც გარეგნულად. სხვა ადამიანებისთვის ყველაფერი ემეტება“.

ტექსტი: EMILY NASH. LAURA BENJAMIN. ROSALIND POWELL. TRACY SCHAVERIEN. ფოტო: GETTY IMAGES.




ვერტიკალური
ბაღი
ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO
VERDE

www.facebook.com/ioverdegeo

# რა სურთ ქალებს?!

## ოთხი წესი, რომელიც ქალბატონებთან ურთიერთობისას უნდა გაითვალისწინოთ

სურვილების, მოთხოვნების, თუ დაუწერელი წესების სია, რომლებსაც მამაკაცთან ურთიერთობისას ყველა ქალი უნებურად იყენებს, ძალიან გრძელი, მრავალფეროვანი და ამოუხსნელია. თავის დროზე ადამის მეორე ნახევრის შთამომავლების ცნობიერებას ფროიდიც კი ვერ ჩაწვდა. ცნობილი ფილმისთვის WHAT WOMEN WANT სცენარი ორ ქალბატონს საკუთარი გამოცდილების მიხედვით რომ არ დაეწერა, ვერც მელ გიბსონის გმირი გახდებოდა რამეს. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული წესები, თუ მინიშნებები, რომელთა წყალობითაც მამაკაცები ამ ამოუხსნელი არსებების გაგებას და მათთან ჰარმონიის დამყარებას ცდილობენ.

## წესი პირველი: გულწრფელობა

**გიორგი ცხადაძე** სხვათა შორის პირველი ინტერვიუა, როდესაც ქალებზე მიწევს საუბარი და ისიც კი არ ვიცი, ჩემი პასუხები ქალბატონებს თუ მოეწონებათ. ალბათ მათ უმეტესობას სურს გვერდით ჰყავდეს გულწრფელი, ყურადღებიანი და მზრუნველი მამაკაცი. ვერც იმას ვიტყვი, რომ საჩუქრები არ სიამოვნებთ. მაგალითად, ჩემს მეუღლეს ყველაზე მეტად სპონტანური საჩუქრები უყვარს – როცა არაფერს ელის და მოულოდნელად რაღაც სასიამოვნოს იღებს. ამ დროს ყველაზე ბედნიერია ხოლმე.

**რამდენად დიდი დატვირთვა აქვს საჩუქრებს?**

**გ.ც.** ყველას უყვარს საჩუქრები. მათ შორის მეც. ალბათ უფრო დიდი მნიშვნელობა ყურადღებას აქვს, ვიდრე კონკრეტულ ნივთს. ვიცი, რომ ბევრ გოგოს მოსწონს რომანტიკული საჩუქრები. მაგალითად, ჩემს მეუღლეს ხელი რამდენჯერმე ვთხოვე რომანტიკულ გარემოში. ყველა ინდივიდი განსხვავებულია და ალბათ ამდენივე სურვილი არსებობს. მაინც ყველაზე სასიამოვნო ის საჩუქარია, რომელსაც მთელი გულით გირჩევენ – იქნება ეს პრაქტიკული თუ სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ნივთი. ბოლო დროს ძალიან ტრენდულია საჩუქრად ახალი ტელეფონების შერჩევა. ერთხელ უკვე ვაჩუქე ჩემს მეუღლეს ტელეფონი და ძალიან გაუხარდა. ამჯერად კიდევ უფრო განსაკუთრებული სმარტფონის შერჩევა მინდოდა და მოვახერხე.

**რა გაბნევთ ქალბატონებთან მიმართებაში?**

**გ.ც.** ზოგადად მათი სურვილები მაბნევს. ყველა მამაკაცი ცდილობს ქალის მოთხოვნებში გაერკვეს. სთავაზობენ რამდენიმე ვარიანტს, შემდეგ ამ ვარიანტებში კიდევ უფრო ირევიან და საბოლოოდ ისევ ვერ ხვდებიან რა სურთ ქალებს. შემიძლია ვთქვა, რომ ზოგჯერ ამ კითხვაზე პასუხს ვპოულობ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ სურვილებზე წარმოდგენაც კი არ მაქვს. ქალბატონები ყოველთვის ამოუცნობები არიან და ალბათ ამას აქვს ყველაზე დიდი ხიბლი.




თქვენი საყვარელი ადამიანისთვის იდეალურ საჩუქრად შეიძლება სწორედ სმარტფონი HUAWEI P8 lite 2017 (699 gel) იქცეს. მას Alta Okay-ს მაღაზიათა ქსელში შეიძენთ.




# წესი მეორე: მზრუნველობა

**გიორგი არჩვაძე** ჩემი პატარ-პატარა მოსაზრებები მაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება სურდეთ ქალებს, მაგრამ ალბათ უფრო სიტუაციურად უნდა მიხვდე იმას, თუ რა უნდა ქალს იმ კონკრეტულ მომენტში. მთავარია მოუსმინო როდესაც ლაპარაკობს და შეიძლება მიხვდე, რომ რაღაც კონკრეტული სურვილი აქვს: გაუკეთო კრეატიული საჩუქარი, წაიყვანო იქ, სადაც დიდი ხანია უნდოდა წასვლა, უბრალოდ მისცე რჩევა და ა.შ.

**ქალბატონებისთვის არასოდეს არაა საკმარისი...**

**გ.ა.** სამკაულები! ეს არის ის, რაც ქალს ყოველთვის უნდა და სჭირდება, თუმცა ჩემთვის უფრო საინტერესო კრეატიული საჩუქრებია. ნებისმიერ ნივთს შეიძლება მოუფიქრო კრეატიული დატვირთვა. მაგალითად, როდესაც ქალი ყველგან აგვიანებს, შეგიძლია მაჯის საათის ნაცვლად კედლის საათი აჩუქო.

**ხრიკი, რომელიც ქალბატონებთან ურთიერთობისას ყველაზე გამოსადეგია...**

**გ.ა.** უპირველესად, სიტუაციის განსამუხტად თავი უნდა მოაჩვენო, რომ ყველაფერი გაიგე, რაც გითხრა. პირველი სიმძიმის „გადაგორების“ შემდეგ, უნდა დაელაპარაკო გულახდილად და გულწრფელად. ასე ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა. საბოლოოდ ხომ ყველა ქალს ის ადამიანი სჭირდება გვერდით, რომელშიც საყრდენს ხედავს და ბედნიერებას პოულობს. დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი ბედნიერი ქალები არიან. ▶

**„ნებისმიერ ნივთს შეიძლება მოუფიქრო კრეატიული დატვირთვა. მაგალითად, როდესაც ქალი ყველგან აგვიანებს, შეგიძლია მაჯის საათის ნაცვლად კედლის საათი აჩუქო“**

**დრო ყველაფერია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ქალბატონს ეხება. მთავარია მას მაჯის საათი ARTTIME-ში შეურჩიოთ.
ARTTIME (*თავისუფლების მოედანი*)**




# წესი მესამე: დაცულობის შეგრძნება

**დათო ქაცარავა** „რა სურთ ქალებს?“ – ეს კითხვა კაცობრიობის დასაბამიდან მოდის და მასზე პასუხის გაცემა ვერავინ შეძლო, მაგრამ მცდელობაში ხელს არაფერი მიშლის. ჩემი აზრით, ქალებს ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება და დაცულობის შეგრძნება სჭირდებათ. ალბათ ამას ჩვენგან ყველაზე მეტად ითხოვენ.

**რა დატვირთვა აქვს თქვენთვის საჩუქრებს?**
**დ.ქ.** საჩუქრის გაკეთებას განსაკუთრებული თარიღი არ სჭირდება. მიმაჩნია, რომ ყველაზე სასიამოვნო სპონტანურად გაკეთებული საჩუქარია – როცა ის არაფერს ელოდება და მოულოდნელად აბედნიერებ. ქალთან ურთიერთობისას ბოდიშის მოხდა უნდა იცოდე. ეს ნამდვილად არაა სირცხვილი. ყველას უნდა შეეძლოს საკუთარი შეცდომის აღიარება.

**რა სურს იმ კონკრეტულ ქალბატონს, რომელსაც ცხოვრება მიუძღვენით?**
**დ.ქ.** სიყვარული და ყურადღება. ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ორი რამაა. ზოგადად, სურვილების სია ძალიან გრძელია და დღითი დღე იზრდება, მაგრამ ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი ეს ორი კომპონენტია. სხვა დანარჩენი ტექნიკური საკითხია.

**რამდენად დიდია ტექნიკური საკითხების სია?**
**დ.ქ.** ეს ნამდვილი ექსტრემია. ეს გრძელი სია თავის თავში უამრავ სურვილს აერთიანებს: კრეატიული საჩუქარი, სასურველი თეთრეული, რომანტიკული ვახშამი და ა.შ. შემიძლია ეს ყველაფერი ჯომარდობას შევადარო – ვერასოდეს ამოიცნობ, საით და როგორ წაგიყვანს მდინარე და ყოველ შემთხვევას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. როდესაც ამბობ, რომ იცი რა სურთ ქალებს, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არაფერი არ იცი.

**„საჩუქრის გაკეთებას განსაკუთრებული თარიღი არ სჭირდება და მიმაჩნია, რომ ყველაზე სასიამოვნო სპონტანურად გაკეთებული საჩუქარია“**

**რა აგრძნობინებს ქალბატონს თავს განსაკუთრებულად, თუ არა PENTI-ის დახვეწილი და ელეგანტური თეთრეული. PENTI, ჰიპერმარკეტი „გუდვილი“ (*ქავთარაძის ქ. 1*)**




> „ნებისმიერ ნივთს შეიძლება მოუფიქრო კრეატიული დატვირთვა, მაგალითად, როდესაც ქალი ყველგან აგვიანებს, შეგიძლია მაჯის საათის ნაცვლად კედლის საათი აჩუქო“

## წესი მეოთხე: ბოდიშის მოხდის უნარი

**ანდრია გველესიანი** რამდენადაც უნდა იყო ამ საკითხში გათვითცნობიერებული, რთულია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ქალბატონები ძალიან განსაკუთრებულები არიან და ყველაზე მეტად ყურადღება სიამოვნებთ. ამ ყურადღებაში შედის მზრუნველობაც, ერთგულებაც, ბოდიშის მოხდის უნარიც და ა.შ. ერთხელ სადღაც ასეთ ფრაზას წავაწყდი: „ცოლის მოყვანას თუ აპირებ, ბოდიშის მოხდაც უნდა იცოდე“. ხშირ შემთხვევაში ასეა.

**ხშირად ანებივრებთ საჩუქრებით მეორე ნახევარს?**

**ა.გ.** როდესაც შეყვარებული ვარ, ჩემთვის ჩემი მეორე ნახევარი საკუთარ თავზე წინ დგება. ყველაფერი მისთვის მინდა. უპირველეს ყოვლისა, ვცდილობ ვიყო ყურადღებიანი. საჩუქრების გაკეთებაც მიყვარს. ხშირად მახასიათებს სპონტანური სიურპრიზები. ცხოვრება მრავალფეროვანი უნდა იყოს.

**მამაკაცებმა იციან, რა სურთ ქალებს?**

**ა.გ.** სხვათა შორის, ეს შეკითხვა წლების წინ მელ გიბსონს დაუსვეს, როდესაც ფილმისთვის WHAT WOMEN WANT ირჩევდნენ. რამდენიმე დღის წინ ვუყურებდი ამ ფილმს. ალბათ გავგიჟდებოდი, ერთდროულად ყველა ქალის აზრი რომ მომესმინა. არ მგონია ვინმემ ზუსტად იცოდეს, რეალურად რა სურთ ქალებს, მაგრამ მე ყოველდღე ძიების პროცესში ვარ და სულ ასე გაგრძელდება.

მარტი სიხარულის თვეა,
ქალბატონის გახარება კი ALTAOKAY-ში,
Zanussi-ს ჭურჭლის სარეცხი
მანქანის შეძენით შეგიძლიათ.
ტელ.: +995 32 238 00 38
altaokay.ge

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე. **ფოტო**: ბაჩი ტაბატაძე; თამო ჩალაძე.













# თბილისში „გოტიეს“ ოფიციალური მაღაზია გაიხსნა

**„გოტიეს“ (GAUTIER)** თბილისში უკვე ოფიციალური შოურუმი აქვს. ფრანგული ბრენდის ავეჯის მაღაზია აღმაშენებლის ხეივანზე, „ახალი ნათების“ ინიციატივით გაიხსნა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებას პირადად დაესწრო საფრანგეთის ელჩი საქართველოში – **პასკალ მენიე**, რომელ-













მაც აღნიშნა, რომ **„გოტიეს"** გახსნა ორი ქვეყნის საქმიან ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს. შოურუმის გახსნაზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვიდა ბრენდის გენერალური დირექტორი – **დევიდ სოლარდ გოტიეც**, რომელმაც სტუმრებთან ფრანგული პროდუქციის უპირატესობებზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ **„გოტიე"** (**GAUTIER**) უკვე არსებობის 55 წელს, 115 წარმომადგენელსა და 60-ზე მეტ მაღაზიას ითვლის. ბრენდის პროდუქცია ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან მზადდება და მაღალი ხარისხითა და ელეგანტური დიზაინით გამოირჩევა. ეს ავეჯი შექმნილია მათთვის, ვისაც მინიმალური ადგილის ათვისებით მაქსიმალური შედეგის მიღება სურთ.








საგაზაფხულო საჩუქარი HELLO!-სგან

# 10 პირველი გამომწერი

საჩუქრად მიიღებს ხელისა და ფეხის ზონების ეპილაციას SOLO PER TE-სგან




HELLO! GEORGIA

## გამოიწერეთ ფასდაკლებით

38₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**






ბელა ჰადიდის სტილი კარგი მაგალითი აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ შეგვიძლია ყოველდღიური სტილი მარტივი დეტალებით უფრო ორიგინალური გავხადოთ.

*SHOPPING*

# *GET THE LOOK!*

**ბელა ჰადიდმა** Animal Print-ის ტრენდულ ქურქს კლასიკური და ამავდროულად COOL სტილი შეუხამა. მოდელმა შავ სადა ტოპთან, კოჭამდე შავი დენიმი და **MOSCHINO**-ს Statement-ქამარი მოირგო. ამ LOOK-თან ბელამ **STUART WEITZMAN-**ის შუზისა და **SAINT LAURENT-**ის პატარა ტყავის ჩანთის ტარება არჩია, რამაც მისი OFF DUTY სტილი კიდევ უფრო დახვეწილი და გამორჩეული გახადა. სუპერმოდელმა უარი თქვა სამკაულებსა და მაკიაჟზე და მხოლოდ სადა ყელსაბამსა და სათვალეს დასჯერდა.

**1.** სათვალე **HAVANA PHANTOS** 385₾ **houseoffraser.co.uk; 2.** სამაჯური **MOSCHINO** 520₾ **net-a-porter.com; 3.** მანტო **TOPSHOP** 100₾ **topshop.com; 4.** ტოპი **CARA** 30₾ **boohoo.com; 5.** ჯინსი **BLK DNM** 125₾ **lyst.com; 6.** შუზი **JONASSON** 370₾ **aldo.com; 7.** ჩანთა **CAMERON STREET** 890₾ **katespade.co.uk**

ტექსტი: თათია ღლამაური. ფოტო: GETTY IMAGES.



**ZARA**
შიფონის უსწორმასწორო
სიგრძის კაბა BOHO სტილში
99₾
**zara.com**



**TOPSHOP**
ყვავილებიანი კაბა
ვინტაჟურ სტილში
170₾
**topshop.com**



**MARIAM GVASALIA**
პრიალა ბომბერი
ყვავილებიანი პრინტითა და
მასიური ჯიბეებით
650₾
**moreislove.com**



**TOPSHOP**
მაღალწელიანი გაშვებული
შარვალი 70-იანი წლების სტილში
170₾
**topshop.com**

FASHION

# *Blooming Bouquet*

ალბათ გახსოვთ ცნობილი სცენა ფილმიდან „ეშმაკი ატარებს პრადას“, სადაც მერილ სტრიპის გმირს სარედაქციო შეხვედრაზე გაზაფხულისთვის ყვავილებიანი პრინტების გამოყენებას სთავაზობენ, რასაც თავად მირანდა საკმაოდ დამცინავად ხვდება და ამბობს, რომ ეს ყველაფერი ძალიან უინტერესო და ბანალურია

წელს კი, სწორედ ეს პროგნოზირებადი ტრენდი იქცა სეზონის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და მნიშვნელოვან მოდურ ტენდენციად. თამამი ყვავილებიანი პრინტები და თავიდან ფეხებამდე **Floral LOOK**-ები **BALENCIAGA**-სა და **MICHAEL KORS**-ის ჩვენებებთან ერთად, ქართველი დიზაინერების კოლექციებშიც უხვად გვხვდება.



**ERMANNO SCERVINO**
ნატიფი დიზაინის ბროში
ბროლის თვლებით
445₾
**farfetch.com**

**TOPSHOP**
საგაზაფხულო სანდლები
მსხვილ ქუსლზე
170₾
**topshop.com**



**DALOOD**
თეთრი Casual პერანგი
კაქტუსებიანი პრინტით
570₾
**moreislove.com**



**DOLCE & GABBANA**
ტყავის კრემისფერი ჩანთა
კრისტალებით
5 300₾
**farfetch.com**



**TOPSHOP**
ნაქარგებიანი ჩანთა
საგაზაფხულო ფერებში
120₾
**topshop.com**

MARIAM GVASALIA
S/S 2017

MICHAEL KORS
S/S 2017

BESSARION
S/S 2017

BALENCIAGA
S/S 2017

MICHAEL KORS
S/S 2017

BALENCIAGA
S/S 2017

ANOUKI
S/S 2017

**MARIAM GVASALIA**
ხავერდის სპორტული
ფეხსაცმელი პლატფორმაზე
260₾
**moreislove.com**

FASHION

# Sleeveless TOPS

## 1970-იანი წლების ესთეტიკის უსახელო სვიტერები მოდაში სრულიად მოულოდნელად დაბრუნდა

ტრენდი, რომელიც სხვა უამრავ ჩვენებასთან ერთად, **MICHAEL KORS**-ის, **GUCCI**-სა და **PRADA**-ს კოლექციებშიც ვიხილეთ, სეზონის ქუჩის მოდის ტენდენციების მნიშვნელოვანი ატრიბუტიც გახდა. ერთი შეხედვით UGLY სტილის სვიტერები ამ გაზაფხულზე ნებისმიერი FASHIONISTA-ს გარდერობს გაახალისებს.



**ZEBRA ACCESSORIES**
მეტალის Statement
ყელსაბამი
65₾
**amazon.com**



**MAISON MARGIELA**
ტყავის შუზი აბრეშუმის
პრინტიანი დეტალებით
2 200₾
**farfetch.com**



DSQUARED2
S/S 2017

PRADA
S/S 2017

PRADA
S/S 2017

*გაამახვილეთ აქცენტი ფერთა სწორ შეხამებაზე. უსახელო სვიტერის შიგნით აუცილებლად ჩაიცვით განსხვავებული ტონის ორიგინალური ბლუზი ან პერანგი. ამ ტრენდს ძალიან უხდება მასიური ყელსაბამები.*



**ZEBRA ACCESSORIES**
მეტალის გრძელი კოლიე ლომის გამოსახულებით
65₾
**amazon.com**



**MARNI**
თხელი უსახელო ნაქსოვი სვიტერი ყვითელი და ვარდისფერი ზოლებით
900₾
**net-a-porter.com**



**GUCCI**
ნაცრისფერი ნაქსოვი სვიტერი შავ-თეთრი ორნამენტებით
2 030₾
**net-a-porter.com**



**ISABEL MARANT**
ლიმონისფერი ნაქსოვი sleeveless სვიტერი ორნამენტებით
930₾
**farfetch.com**



**MAISON MARGIELA**
ჭაობისფერი ნაქსოვი ბლუზი ყელითა და ჩახსნილი გვერდებით
480₾
**farfetch.com**



**GUCCI**
ტყავის მოსახერხებელი ჩანთა ორმაგი საკიდით
3 000₾
**net-a-porter.com**



ჰიუნ ჯი შინ
ნიუ-იორკის მოდის კვირეული Street Style



FASHION

# Trendy trench

2017 წლის გაზაფხულზე მოდა მთლიანად განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და კარგად მივიწყებული ძველი ტრენდების გახსენებას გულისხმობს.

ამ სეზონზე, თქვენს გარდერობში გადანახული მოძველებული საწვიმარი ლაბადები ახალ სიცოცხლეს იძენს. პოდიუმზე შემჩნეული ერთ-ერთი Major ტრენდის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები **MICHAEL KORS**-ის, **MARNI**-სა და რა თქმა უნდა **BALENCIAGA**-ს ჩვენებებზეც უხვად ვიხილეთ. თქვენ კი, ინსპირაციისთვის, შეგიძლიათ კიდევ ერთხელ გადაავლოთ თვალი საკულტო ფილმს „საუზმე ტიფანისთან“, სადაც ოდრი ჰეპბერნის გმირს – ჰოლი გოლაითლის წვიმიან ნიუ-იორკში სწორედ მსგავსი ლაბადა აცვია.



BESSARION S/S 2017

MARNI S/S 2017

BALENCIAGA S/S 2017

**DALOOD**
პრიალა Oversized საწვიმარი პრინტებით
1590₾
**moreislove.com**






**PROENZA SCHOULER**
ტყავის კლასიკური ჩანთა
3 000₾
**farfetch .com**


ვიქტორია ბექჰემი



ოლივია პალერმო


ნაომი უოტსი



**KREWE**
ვინტაჟური სტილის სათვალე ოვალური ჩარჩოთი
730₾
**net-a-porter.com**



**BURBERRY**
წითელი მიდი ლაბადა სარტყელით
5 439₾
**farfetch.com**



**H&M**
სადა კრემისფერი ლაბადა მკლავებზე მანჟეტებით
110₾
**hm.com**



**CLOSED**
კლასიკური სილუეტის ლაბადა
1 133₾
**mytheresa.com**



**MAISON MARGIELA**
ტყავის ტრენდული ჩექმა მსხვილი ქუსლით
2 700₾
**farfetch.com**



**ZARA**
თამბაქოსფერი ლაბადა ქამრითა და განიერი საყელოთი
129₾
**zara.com**



**SIMONE ROCHA**
უხეში ფაქტურის ანდროგენული Trench-ი საყელოს გარეშე
5 000₾
**brownsfashion.com**



**BURBERRY**
ზამშის ლაბადა კლასიკური სილუეტით
4 400₾
**mytheresa.com**



BALMAIN S/S 2017



DASHA BABAEVA S/S 2017



BALENCIAGA S/S 2017



OSCAR DE LA RENTA
დელიკატური საყურე SWAROVSKI-ს ფერადი კრისტალებით
1 500₾
**farfetch.com**



GUCCI
აბრეშუმის მკვეთრი იისფერი პერანგი
1 670₾
**net-a-porter.com**

FASHION

# Lilac &

იასამნისფრის ვარიაციები 2017 წლის გაზაფხულის ყველაზე მოდური ფერთა გამაა, განსაკუთრებით ტენდენციური კი ნაზი ვარდისფრისა და ელექტრული იისფრის შეხამება გახლავთ

**BALMAIN**-მა ამ სეზონზე ფერებით თამაშთან ერთად ფაქტურებით მანიპულირებაც საკმაოდ წარმატებით მოახერხა და **Lilac & Purple**-ის დუეტთან ერთად, ზამშისა და შიფონის საკმაოდ გემოვნებიანი კომბინაციაც შემოგვთავაზა.



EMPORIO ARMANI S/S 2017



PROENZA SCHOULER
იასამნისფერი ზამშის ჩანთა მეტალის შესაკრავით
2 500₾
**farfetch.com**



PIERRE HARDY
ხავერდის სანდლები წვრილ ქუსლზე
650₾
**net-a-porter.com**



**VICTORIA BECKHAM**
კლასიკური სტილის მუქი იისფერი ლაბადა
2 000₾
**stylebop.com**



**DALOOD**
აბრეშუმის ღია ვარდისფერი კაბა ვარდებიანი მკრთალი პრინტით
500₾
**moreislove.com**



**MARIAM GVASALIA**
პერანგზე გადასაცმელი ტოპი წვრილი ბრეტელებით
300₾
**moreislove.com**



**CELINE S/S 2017**



**GIVENCHY**
ტყავის ვარდისფერი Statement სამაჯური
1 160₾
**farfetch.com**



**JANASHIA S/S 2017**



**ANOUKI S/S 2017**

# 3 Purple



**BALENCIAGA S/S 2017**



**HALSTON HERITAGE**
ჟოლოსფერი კოქტეილის კაბა
600₾
**net-a-porter.com**



**PHILIP LIM**
მკვეთრი ჟოლოსფერი ტყავის Satchel ჩანთა მეტალის დეტალებით
2 120₾
**farfetch.com**





EMPRIO ARMANI S/S 2017

GEORGE KEBURIA S/S 2017

TAKO MEKVABIDZE S/S 2017

TRUSSARDI S/S 2017



**OSCAR DE LA RENTA**
მძივებით შექმნილი
იისფერი საყურე
1 590₾
**farfetch.com**



**MUGLER**
ბრჭყვიალა ფაქტურის
ყელიანი სვიტერი
1 350₾
**net-a-porter.com**

**EMPORIO ARMANI**-სა და **TRUSSARDI**-ს კოლექციებში კი იისფერი და იასამნისფერი სამოსსა და ფეხსაცმელზე საკმაოდ ჰარმონიულად გადანაწილდა. სეზონის უპირობო ლიდერი ამ კუთხით **BALENCIAGA**-ს Purple Meets Lilac LOOK-ები გახლავთ. სწორედ **დემნა გვასალიას** ქმნილებებმა მისცა დასაბამი ამ ცხელ ტრენდს, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე საკმაოდ აქტუალური იქნება.



**CROSTY**
პასტელის ვარდისფერი
კედები თეთრი ძირით
650₾
**crostyshoes.com**

**DALOOD**
აბრეშუმის მუქი იასამნისფერი
კაბა მასიური ღილებით
580₾
**moreislove.com**



**LANVIN**
Casual სტილის ტყავის
ჩანთა გრძელი საკიდით
1 990₾
**farfetch.com**





**TOPSHOP**
თხელი შალის პიჯაკი ვარდისფრის კონტრასტული გრადაციებით
190₾
**topshop.com**



**JABA DIASAMIDZE**
**S/S 2017**



**GVANTSA JANASHIA**
**S/S 2017**



**VALENTINO**
**S/S 2017**



**GUCCI**
ტყავის ჩანთა ორიგინალური ხის სახელურით
800₾
**farfetch.com**



**NICHOLAS KIRKWOOD**
ხავერდის ჟოლოსფერი „ლოფერები“ ქუსლზე მარგალიტებით
1 550₾
**farfetch.com**



შანინა შაიკი,
TAMUNA
INGOROKVA

FASHION

# ქართული მოდა

## მსოფლიოს იპყრობს

ქართველი დიზაინერების მიმართ ინტერესი დემნა გვასალიას BALENCIAGA-ს კრეატიულ ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მსოფლიო მოდის რუკასა და გლობალურ ბაზარზე სულ უფრო მეტი დამწყები თუ სამშობლოში უკვე კარგად ნაცნობი დიზაინერი ცდილობს თავის დამკვიდრებას.

ამას ერთვის MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულიც, რომელიც თბილისში წელიწადში ორჯერ იმართება და მოდის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, საკუთარი ბრენდის უკეთ წარმოჩენისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით, ერთგვარი ტრამპლინის როლს ასრულებს. HELLO! იმ ვარსკვლავებს გაგაცნობთ, რომლებიც ბოლო პერიოდში „წითელ ხალიჩაზე“ სწორედ ქართველი დიზაინერების შექმნილი სამოსით ვიხილეთ.



ლინდა როდინი,
TAMUNA
INGOROKVA

### თამუნა ინგოროყვა

VICTORIA'S SECRET-ის ანგელოზი – ჰოლანდიელი სუპერმოდელი **დაუცენ კრუსი** თამუნა ინგოროყვას სამოსით უკვე რამდენჯერმე გამოჩნდა საზოგადოებაში და არც პირად INSTAGRAM-ზე ერიდება ქართველი დიზაინერის ნამუშევრებში პოზირებას. სწორედ ინგოროყვას თეთრი ტყავის კაბით ვიხილეთ მოდელი MONCLER-ის წვეულების „წითელ ხალიჩაზე“. დაუცენის მსგავსად, ინგოროყვას წითელ კომბინეზონზე შეაჩერა არჩევანი მისმა კოლეგამ – **შანინა შაიკმა**. ლეგენდარული მოდელი **ლინდა როდინი** კი ინგოროყვას 2017 წლის ლუქბუქში ვიხილეთ.

**ტექსტი**: თათია ლაშაური. **ფოტო**: GETTY IMAGES.

## SITUATIONIST

იანვარში, VOGUE-ის საკმაოდ ვრცელი სტატია ქართული მოდის ინდუსტრიისა და დიზაინერთა ახალი ტალღის შესახებ სწორედ ირაკლი რუსაძესა და მის ბრენდ SITUATIONIST-ს უკავშირდებოდა. ახალგაზრდა დიზაინერის ტყავის ლაბადა სუპერმოდელმა **ბელა ჰადიდმა** პარიზში ვიზიტის დროს მოირგო და უამრავი პაპარაცის ობიექტივში აღმოჩნდა.



ბელა ჰადიდი, SITUATIONIST



დაუცენ კრუსი, TAMUNA INGOROKVA



დაუცენ კრუსი, TAMUNA INGOROKVA



ვიქტორია სამური, KETI CHKHIKVADZE



გრეის გილი, KETI CHKHIKVADZE

## ქეთი ჩხიკვაძე

ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი აბრეშუმის კლასიკური შავი კაბა მსახიობმა **ვიქტორია სამერმა** G'DAY USA LOS ANGELES GALA-ზე დასასწრებად შეარჩია, **გრეის გილიმ** კი პრინტიანი პიჯაკისა და შარვლის მოდური DUO კინომსახიობთა გილდიის დაჯილდოებაზე მოირგო.




**GIFTS**
გულის ფორმის Personalized
ვერცხლის კოლიე
400₾
**gifts.com**




**TOM FORD**
სუნამო Orchid Soleil
ორქიდეის, პაჩულისა და
ვანილის მძაფრი არომატით
**lutecia.ge**




**HOLIKA HOLIKA**
კრემპუდრი იდეალური
დაფარვით
59₾
**holikaholika.ca**



**BALMAIN**
საათი ტყავის სამაჯურითა და
ორნამენტებიანი ციფერბლატით
**Arttime**



**YVES SAINT LAURENT**
სუნამო MON PARIS
ექსკლუზიურად ლუტეციაში –
ბერგამოტის, მარწყვისა და
კენკრის ინტენსიური არომატით
**lutecia.ge**




**FIORI FLOWERS SHOP**
საგაზაფხულო თაიგული ეუსტომის,
ქრიზანთემის, მიხაკის, ვარდისა და
გიფსოფილის ყვავილებით
90₾
**fb.com/fioriflowersshop**

**TISSOT**
ყოველდღიური საათი
ტყავის სამაჯურით
**Arttime**




*GIFT IDEAS*

# *Ladies' time*

მარტში თქვენი საყვარელი ქალბატონების გაბედნიერების შანსი ორჯერ გეძლევათ. დედისა და ქალთა დღეებთან დაკავშირებით, გირჩევთ საყვარელი მანდილოსნები თავის მოვლის საშუალებებთან ერთად პარფიუმერიით, ყვავილებითა და სამკაულებით გაანებივროთ




**CASAMORATI**
სუნამო Bouquet Ideale
ჯავზისა და დარიჩინის
სასიამოვნო სურნელით
**lutecia.ge**




**MARC JACOBS**
სუნამო Decadence ზამბახის,
ზაფრანისა და ქლიავის არომატით
260₾
**sephora.com**



**GUCCI**
ტყავის ჩანთა ბაფთითა
და ჯაჭვის სამაგრით
3 600₾
**net-a-porter.com**

**MAC**
ტუჩის კონტური მოცულობის ეფექტისათვის და NUDE ტონალობის ტუჩსაცხი
80₾
**maccosmetics.com**

**FABERLIC**
ტუალეტის წყალი შოკოლადისა და ვანილის რბილი არომატით
**faberlic.com**

**FABERLIC**
სუნამო Bon Bon Cherie ხილისა და ყვავილების მსუბუქი სურნელით
**faberlic.com**

**HOLIKA HOLIKA**
BB კრემების ნაკრები ერთგვაროვანი და გლუვი ეფექტისათვის
25₾
**holikaholika.ca**

**HOLIKA HOLIKA**
სახის პილინგი, დამზადებული ბუნებრივი ინგრედიენტებით
5.99₾
**holikaholika.ca**

**ARTDECO**
მაქსიმალური მდგრადობის ტუჩსაცხი Matte ეფექტით
**lutecia.ge**

**HYDRACOLOR**
ნაზი შეფერილობის ტუჩის ბალზამი
**faberlic.com**

**FABERLIC**
ტანის კარაქი ვარდისა და სანდლის ხის არომატით
**faberlic.com**

**LANKA MAKE UP**
მაკიაჟის პროფესიონალური ფუნჯი შინ მოხმარებისათვის
22₾

**FABERLIC**
ტანის დამატენიანებელი რძე ვარდის სურნელით
**faberlic.com**

**LANKA MAKE UP**
მაკიაჟის პროფესიონალური ფუნჯი შინ მოხმარებისათვის
35₾

**LANKA MAKE UP**
მაკიაჟის პროფესიონალური ფუნჯი შინ მოხმარებისათვის
55₾

**ESTEE LAUDER**
სუნამო MODERM MUSE NUIT ხილისა და ხის კონტრასტული სურნელით
**lutecia.ge**

**HOLIKA HOLIKA**
თმის სტრუქტურის აღმდგენი შამპუნი მაქსიმალური მბზინვარებისთვის
39.99₾
**holikaholika.ca**

**TAG HEUER**
ძვირფასი მეტალის მასიური საათი
**Arttime**

**FABERLIC**
მკვებავი ნიღაბი ყველა ტიპის თმისთვის
**faberlic.com**

**ESTEE LAUDER**
მუქი იასამნისფერი ტონის ტუჩსაცხი
**lutecia.ge**

ლილი ოლდრიჯი



BEAUTY

# COLOR MELTING

მელირების ახალი საგაზაფხულო ტრენდი აქამდე უკვე კარგად ნაცნობი ყველა სხვა ტექნიკის საუკეთესო სინთეზია და თქვენი თმის ფერს ოსტატურად და ბუნებრივად ცვლის




თმის 5 ტონით გაღიავებისთვის, მაქსიმალურად ბუნებრივი ეფექტისა და ბუნებრივი მბზინვარებისთვის გამოიყენეთ BLONDOR FREELIGHTS, რომელიც ბალიაჟისა და ომბრეს ეფექტების კომბინაციით, თქვენს თმას ჰარმონიულ ფერსა და ბუნებრივ ეფექტს მიანიჭებს.

**WELLA PROFESSIONALS BLONDOR FREELIGHTS, PROFLINE COSMETICS**


შეი მიტჩელი

**COLOR MELTING**-ის მთავარი საიდუმლო ისაა, რომ ფერები ერთმანეთში ჰარმონიულად და საოცრად ბუნებრივად გადადის – ყოველგვარი უხეში კონტრასტის გარეშე. **COLOR MELTING** მელირების სრულყოფილ ტექნიკასთან მიახლოებული უახლესი მეთოდია, რომელიც ნებისმიერი ფერის თმაზე სასურველი ინტენსივობითა და ფერთა გრადაციებით სრულდება. მზეზე გახუნებულის ეფექტი, მაქსიმალური მბზინვარება, 2 ან 3 ტონის ჰარმონიული და ბუნებრივი ნაზავი – **COLOR MELTING**-ი აერთიანებს ყველა უპირატესობას, რომელიც აქამდე ჩვენთვის ნაცნობი მელირების ტექნიკებს ჰქონია.


ჯესიკა ბილი


ჯესიკა ალბა


ლუსი ჰეილი




*სახლის პირობებში თმის მოვლისთვის, HELLO! გირჩევთ WELLA Professional Care-ის ხაზის შამპუნის, კონდენციონერისა და ნიღბის გამოყენებას*


კრისი ტეიგენი

















**მიხეილ ავდალოვი**
სტილისტი

BEAUTY

# BE fabulous!

ზამთრის სუსხისგან გამომშრალი თმა, მტვრევადი ბოლოები, დაკარგული მბზინვარება და გაუხეშებული სტრუქტურა – თუ ეს პრობლემები ბევრი ქალბატონის მსგავსად თქვენც გაწუხებთ, მაშინ **HELLO!** მათი გადაჭრის სრულიად ახლებურ, საოცრად ეფექტურ გზას შემოგთავაზებთ

**REVLON**-ის ახალი ხაზის – **BE FABULOUS**-ის სალონური პროცედურა, რომელიც ჩვენმა გუნდმა საკუთარ თავზე გამოსცადა, თმის გაჯანსაღებასთან ერთად, დაგეხმარებათ საოცრად მომხიბვლელად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდეთ. ბრენდმა, რომელსაც საკუთარ ვარცხნილობას ჰოლივუდის ვარსკვლავები ანდობენ, **BE FABULOUS**-ის სახედ „ოსკაროსანი“ მსახიობი – **ჰოლი ბერი** აირჩია.

5 უნიკალური ეფექტის მქონე თერაპიის საწყისი ეტაპი ფორების გამხსნელი შამპუნია (1), რომელსაც აღმდგენი ნიღაბი (2) მოსდევს. ნიღაბი ღრმად აღწევს ღია ფორებში და ინტენსიურად კვებავს თმას. შემდეგი ნაბიჯი ფორების ჩამკეტი შამპუნია (3), პროცედურა კი თმის კონდენციონერით (4) სრულდება.

ცხადია, სალონური პროცედურისგან მიღებული ეფექტის მაქსიმალურად დიდი დროით შესანარჩუნებლად, სხვადასხვა დანიშნულების შინ მოხმარების პროდუქციის გამოყენებაც შეგიძლიათ – სპრეი მაქსიმალური მოცულობისთვის, შრატი თმის სტრუქტურის აღმდგენი ფუნქციით და უამრავი სხვა დანიშნულების შამპუნები თუ ნიღბები დაგეხმარებათ მართლაც იდეალურად გამოიყურებოდეთ!

*სალონი-მაღაზია* ***PROF BEAUTY***
*ა. თვალჭრელიძის ქ. 2*


REVLON
PROFESSIONAL®
Halle Berry
IT'S YOUR TIME TO BE FABULOUS
be FABULOUS™
C.R.E.A.M.
SYSTEM
ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY
სალონი-მაღაზია PROF BEAUTY, ა. თვალჭრელიძის ქ. 2
სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ისთ ფოინთი“
facebook.com/Profbeauty.ge






გასახდომი გელი გრეიფრუტის კონცენტრატით, რომელიც სხეულის მოდელირებასა და გარშემოწერილობის შემცირებაში დაგეხმარებათ. მაქსიმალური ეფექტისთვის გამოიყენეთ დღეში ორჯერ.

**DOCTEUR RENAUD GRAPEFRUIT SLIMMING CONCENTRATE CREAM-GEL**
**GPC**




შრატი სხეულის კორექციის ფუნქციით ეფექტურად ებრძვის ცელულიტს და ხელს უწყობს ცხიმების წვას. შინ მოხმარების იდეალური პროდუქტი ეხმარება კანის ელასტიკურობისა და სიმკვრივის აღდგენას.

**NUXE BODY-CONTOURING SERUM**
**GPC**




სხეულის მოდელირების ანტიეიჯ კრემი ძლიერი ლიფტინგის ეფექტით ცელულიტისა და მოდუნებული კანისგან მოკლე დროში გაგათავისუფლებთ.

**LIERAC BODY-LIFT EXPERT**
**GPC**

*BEAUTY*

# *Bikini Body GUIDE*

ქალბატონების უმეტესობა საზღვაო სეზონისთვის მზადებას გაზაფხულიდანვე იწყებს. იდეალური სხეული, მკვრივი ფორმები, არანაირი ცელულიტი და ჭარბი წონა – ამ ყველაფრის მიღწევას სწორად შემუშავებული სტრატეგია, თავდაჯერებულობა და **HELLO!**-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტების მიერ შერჩეული შინ მოხმარების ჯადოსნური პროდუქცია სჭირდება.

BEAUTY

# რევოლუცია ესთეტიკურ მედიცინაში

## SOLO PER TE წარმოგიდგენთ საქართველოში ერთადერთ იტალიურ კომპანია MBE-ის 2017 წლის ინოვაციურ მოდელს SO UP RELOADED 2.0

ყველა ქალბატონს სურს იდეალურ გარეგნობას მინიმალური ძალისხმევით მიუახლოვდეს. სასურველი შედეგის მიღება და მოკლე დროში სრულიად უმტკივნეულოდ სხეულისა და სახის კანის გაჯანსაღება და გაახალგაზრდავება, თანამედროვე ესთეტიკური მედიცინის წყალობით, უკვე სავსებით რეალური ოცნებაა.

ქირურგიული ჩარევის გარეშე, სხეულის მოდელირების კუთხით სრულიად რევოლუციურ პროცედურებს წამყვან იტალიურ ბრენდ **SO UP RELOADED 2.0**-ის ინოვაციური აპარატი გვთავაზობს. უსაზღვრო შესაძლებლობების აპარატის განსაკუთრებულობა 4 სახის ტექნოლოგიის კომბინაციაა. **SO UP RELOADED 2.0** ვაკუუმით მასაჟის, რადიოსიხშირის, ულტრაბგერისა და ფოტოდინამიკური ენერგიის სინთეზით, მართლაც რომ ჯადოსნურ შედეგს იძლევა და სხეულისა და სახის მოდელირებისა თუ კორექციის ისეთ ასპექტებს მოიცავს, როგორებიცაა:

1. **სხეულში ჩალაგებული ჭარბი ცხიმი**
2. **ცელულიტი**
3. **კანის დაკარგული ელასტიკურობა**
4. **ნაოჭები**
5. **სახის კანის ტექსტურის გაუმჯობესება**
6. **გაფართოებული ფორები**






*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი* ***SOLO PER TE***
*ი. ჭავჭავაძის გამზ. 62 (ბერძენიშვილის ქუჩის მხრიდან), თბილისი*
*ტელ: (+995) 322 43 49 94; (+995) 591 41 77 77*
*fb.com/Solo Per Te / სოლო პერ ტე*




BEAUTY

# დაიბრუნეთ ახალგაზრდული იერი!

## ქალბატონების მომხიბვლელობის საიდუმლო უპირველესად მოვლილი და ჯანსაღი სახის კანია

თუმცა ყოველდღიური რუტინული ცხოვრება, გარემო ფაქტორების ზეგავლენა და არაჯანსაღი საკვები ხშირად ხდება კანის სტრუქტურის შესამჩნევად გაუარესების მიზეზი – იგი კარგავს მბზინვარებას, ელასტიკურობას, და ჩნდება ნაოჭები, რომლებიც დროთა განმავლობაში ღრმავდება. კოლაგენი, ელასტინი, ჰიალურონის მჟავა, კერამიდები და ლიპოსომები ის ძირითადი კომპონენტებია, რომლებიც უზრუნველყოფს კანის სრულფასოვან ფუნქციონირებას. მათი ნაკლებობა და საჭირო ბალანსის დარღვევა კი სწრაფი დაბერების უმთავრესი გამომწვევი მიზეზებია. თანამედროვე ქალბატონებისთვის ამ ტიპის პრობლემების გადაჭრის საკმაოდ მარტივი გზები არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთ საუკეთესოს HELLO! გაგაცნობთ.

ბიორევიტალიზაციისა და ფილერების ფართო ასორტიმენტსა და ეფექტურობაში ნამდვილად უკონკურენტო ბრენდს – **MERZ AESTHETIC**-ს მარტივად შეუძლია თქვენს კანზე მორგებული პროცედურის წყალობით ჯანსაღი და ახალგაზრდა კანი ხანგრძლივად შეგინარჩუნოთ.

**BELOTERO BALANCE**-ის ჰიალურონის მჟავა მაღალი კონცენტრაციისა და მაღალი მოლეკულური მასის (*HA - 22,5mg/1ml. 2-4 MDa*) კომბინაციაა, რომელიც ადაპტირებულია კანის ჰიალურონის მჟავასთან. იგი არ არის ცხოველური წარმოშობის, შედეგად ბიოთავსებადია და არ იწვევს ალერგიულ რეაქციას. აღნიშნული პროდუქტი გამოიყენება კანის ზომიერი ნაოჭების შესავსებად. მისი მაღალი კონცენტრაცია მოქმედებს როგორც ფილერი, ავსებს თვალბუდის ჩავარდნილ მიდამოს, ახასიათებს ხანგრძლივი მოქმედება, მდგრადობა და უსაფრთხოების მაღალი ხარისხი. შედეგი კი დაუყოვნებლივი და თვალსაჩინოა.

***„ფარმადეკოს“*** *აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: 0322 145 000; მობ.: 577 477 903*

BEAUTY

# გლუვი კანის საიდუმლო

მაშინ, როდესაც გაზაფხულის მოსვლასთან ერთად უფრო თხელი სამოსის ტარებას ვიწყებთ, ჭარბთმიანობის დელიკატური პრობლემა ყველაზე მეტად გვაწუხებს. სუსხიანი ზამთრის შემდეგ, ყველა ქალბატონს სურს თხელი სარაფნები უფრო თავდაჯერებულად მოირგოს, ამისთვის კი აუცილებელია თქვენს კანზე HELLO!-ს რჩევების გათვალისწინებით იზრუნოთ

აქამდე თუ თქვენთვის ეპილაცია მტკივნეულ პროცედურასა და დისკომფორტთან ასოცირდებოდა, მაშინ დიოდის ლაზერის ულტრათანამედროვე აპარატი სწორედ თქვენთვისაა. Mediostar Next Pro-ს მეექვსე თაობის ინოვაციური აპარატი, რომელიც წინა მოდელებისგან მკვეთრად გაუმჯობესებული ფუნქციებით გამოირჩევა, ჭარბთმიანობის პრობლემას ძალიან მარტივად გადაგიჭრით. შედარებით მაღალი ენერგია და გრძელი ტალღის სიგრძე საშუალებას იძლევა სელექტიურად უფრო ეფექტურად იმოქმედოს დერმაში განლაგებულ ყველაზე ღრმა ბიოსამიზნეზე. ამასთანავე, კანის სხვა სტრუქტურები ხელშეუხებელი რჩება.

## აპარატის უპირატესობები

- **პროცედურა სრულიად უმტკივნეულოა ნებისმიერ ზონაზე**
- **აპარატს აქვს ფუნქცია, დაინახოს და მოაშოროს ნებისმიერი ტიპის თმა** (მათ შორის – მუქი, ქერა, ჭაღარა და ნაზი თმის ღერები)
- **მუშაობს კანის ყველა ფოტოტიპზე**
- **არ ტოვებს დეპიგმენტურ ლაქებს**
- **თმის მოშორება შესაძლებელია გარუჯულ კანზეც**
- **არ აღინიშნება თმის ჩაზრდა**
- **კანი ხდება გლუვი და ხავერდოვანი**
- **აქვს კანის გაგრილების ინტეგრირებული სისტემა** (ყინულის ეფექტი)

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
***SOLO PER TE***
*ი. ჭავჭავაძის გამზ. 62*
*(ბერძენიშვილის ქუჩის მხრიდან)*
*თბილისი*
*ტელ: (+995) 322 43 49 94*
*(+995) 591 41 77 77*
*fb.com/Solo Per Te / სოლო პერ ტე*





Holika Holika

BEAUTY

# THINK ORGANIC!

**სახის კანის, სხეულისა თუ თმის გაჯანსაღების საკითხში ბუნებრივი, ორგანულ მასალაზე დამზადებული პროდუქცია ყოველთვის შეუცვლელი და გამორჩეულად ეფექტურია!**

თუ გსურთ გაზაფხულს სიღრმისეულად დატენიანებული კანითა და უბრალოდ შესანიშნავი და თავდაჯერებული განწყობით შეხვდეთ, მაშინ აუცილებლად გირჩევთ HELLO!-ს სილამაზის ექსპერტების მიერ აღმოჩენილი უნიკალური ეფექტის მქონე ნატურალური კოსმეტიკა შეიტანოთ თქვენს ყოველდღიურ beauty რუტინაში. თავის მოვლის ნატურალური საშუალებები და organic კოსმეტიკა მილიონობით Fashionista-ს Must Have პროდუქტებია და ალბათ დროულიცაა, რომ წამყვანი კორეული კოსმეტიკური ბრენდის – **HOLIKA HOLIKA** ოფიციალური იმპორტიორი „**ბი ენდ ეიჩ**“ უკვე საქართველოშიც გამოჩნდა. **HOLIKA HOLIKA** სახის კანის, სხეულისა და თმის ნატურალური კომპონენტებით გაჯანსაღებას ბუნებრივი და ინოვაციური ფორმულით შექმნილი პროდუქციით გვთავაზობს და პრობლემისა თუ კანის ტიპის მიხედვით, სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციას წარმოგვიდგენს. კანის ინტენსიურ დატენიანებასთან ერთად, ბრენდი ანტი ეიჯ პროდუქციის საკმაოდ ეფექტურ ხაზსაც გვთავაზობს.

***HOLIKA 2,*** *ნუცუბიძის ქ. 82, თბილისი*
*ტელ: (+995) 322 90 00 29*

1




2



3




4




**1.** ალოე ვერას ექსტრაქტზე დამზადებული ტანისა და სახის კანის ინტენსიური დამატენიანებელი და აღმდგენი გელი დაგეხმარებათ ყოველდღიურად ჯანსაღად გამოიყურებოდეთ.
**HOLIKA HOLIKA ALOE 99% SOOTHING GEL**

**2.** ფორთოხლის, გრეიფრუტისა და ზეითუნის ზეთის ბაზაზე დამზადებული ტუჩსაცხი თქვენს ტუჩებს ხანგრძლივი დროით დაატენიანებს და გამოშრობისგან დაიცავს.
**HOLIKA HOLIKA HEARTFUL MOISTURE LIPSTICK**

**3.** ლოსიონი აქტიურად ებრძვის ბაქტერიას, რომელიც უკავშირდება აკნეს გაჩენას, ამშვიდებს და ასუსტებს გაღიზიანებულ უბნებს და წმენდს სტრუქტურას, აღიავებს კანის ჩამუქებულ ნაწილებს და ქმნის უფრო ერთგვაროვან ტონს სახეზე. ახლა შეგიძლიათ დაემშვიდობოთ პრობლემურ კანს.
**HOLIKA HOLIKA THREE SECOND STARTER VITA COMPLEX**

**4.** ჰიალურონის მჟავის მსუბუქი წონის შრატი, რომელიც ზრდის კანის ტენიანობის დონეს. იგი დაუყოვნებლივ ახდენს კანის ჰიდრატაციას და საშუალებას აძლევს უკეთ შეიწოვოს კანის მოვლის პროდუქტები.
**HOLIKA HOLIKA THREE SECOND STARTER HYALURONIC ACID**








Available on the App Store

Get it on Google play

Download with Windows Store



DECOR

# გაზაფხული ინტერიერში

## გაზაფხულის შემოსვლა ჩვენს სახლებშიც უნდა იგრძნობოდეს, ამისათვის კი ახალი ფერები და აქცენტებია საჭირო

ინტერიერის დიზაინის მთავარი ტრენდი ამჯერად მკვეთრ ფერებში გადაწყვეტილი ავეჯი და აქსესუარებია. საუკეთესოა ლურჯის, მწვანისა და წითლის ვარიაციები. ეს ფერები კომფორტის, სიმყუდროვის, სიმშვიდისა და ბედნიერების შეგრძნებას უზრუნველყოფენ და ოთახებში ტრადიციულ და თანამედროვე სტილთა ჰარმონიულ ერთობლიობას ქმნიან.



LSA
საფირონის
ხელნაკეთი ლარნაკი
სამი განყოფილებით



LSA
შუშის ზღვისფერი ლარნაკი
მომრგვალებული კუთხეებით





**GAUTIER**
დივანთან დასადგამი დაბალი მაგიდა ხის ფაქტურით

**GAUTIER**
ხის კონსოლი შავი დახლითა და მინიმალისტური დიზაინით

**GAUTIER**
თანამედროვე დიზაინის ორიგინალური სკამი „ცისფერი ლაგუნა“

**GAUTIER**
რბილი სკამი ხუთ ფერში გადაწყვეტილი კუბოკრული ზედაპირით

**GAUTIER**
თანამედროვე და ორიგინალური სტილის წითელი სკამი პრიალა ზედაპირით

**GAUTIER**
ღია ლურჯი ფერის კუთხის დივანი სადა დიზაინით

**GAUTIER**
ყავის მაგიდა ხის სტრუქტურითა და შავი ფერის დეტალებით

**GAUTIER**
ტყავის ღია ლურჯი სავარძელი Montana Ocean თანამედროვე დიზაინითა და კომფორტული ფორმებით

**GAUTIER**
სხვადასხვა ზომის წითელი დეკორატიული ლარნაკების ნაკრები

**FORUM BY NEW LIGHT**
სხვადასხვა ფერისა და ზომის დეკორატიული ლარნაკების სამეული



BEST WEEKEND PLACE

# WEEKEND GETAWAY

მაშინ, როცა დარაბებს მიღმა გაზაფხულია, ჩვენ კი მუშაობა გვიწევს, პარასკევამდე მიღწევა უფრო და უფრო რთულდება. განწყობა რომ გაიუმჯობესოთ, უქმეების დაგეგმვა ორშაბათიდანვე უნდა დაიწყოთ.



## HILTON BATUMI

იმისათვის, რომ შაბათ-კვირას განტვირთვა და ყველაფრისგან დასვენება შეძლოთ, „**ჰილტონ ბათუმი**“ საუკეთესო პირობებს შეგიქმნით. ზღვისპირა ქალაქში „გაქცევა“ და „კომფორტის ზონაში“ დაბინავება ყველა პრობლემას დაგავიწყებთ და სიცოცხლესაც უფრო მეტად შეგაყვარებთ.

97-წლიანი საერთაშორისო გამოცდილება ამტკიცებს, რომ „**ჰილტონი**“ დამსვენებლებისთვის სტუმართმოყვარეობასთან ასოცირდება და მათთვის საუკეთესო მომსახურებისა და კომფორტის სინონიმია. ხშირად ამბობენ, რომ ეს არის „**ადგილი, რომელიც სახლზე უკეთესია**“, რაც ისედაც ყველაფერზე მეტყველებს.

მეგობრულ და თბილ ატმოსფეროსთან ერთად, „**ჰილტონ ბათუმს**“ განსაკუთრებული დიზაინი, უნიკალური ინტერიერი, ინოვაციური კონცეფციის მქონე რესტორნები და ულტრათანამედროვე სტილთან შერწყმული ტრადიციული ელფერიც გამოარჩევს. ბათუმის შუაგულში მდებარე სასტუმრო დამსვენებლებს დახურული აუზით, სავარჯიშო დარბაზით, ცნობილი სპასალონით, მშვენიერი ტერასითა და კიდევ უფრო მშვენიერი ხედებით უმასპინძლდება. **NEPHELE BAR**-ში, რომელიც მე-20 სართულზე მდებარეობს,










საიდუმლო რეცეპტებით დამზადებულ კოქტეილებს დააგემოვნებთ და ქალაქის პეიზაჟებით დატკბებით. **TANDILA LOBBY CAFÉ** ყავის საუკეთესო ასორტიმენტსა და გემრიელ ევროპულ მენიუს შემოგთავაზებთ. **PELLIONI**-ში კი ტრადიციული ქართული კერძების ახლებურ და განსხვავებულ გემოს შეიგრძნობთ, თანაც – აბსოლუტურად მისაღებ ფასად. მოკლედ, სრულყოფილი დასვენებისთვის სასტუმროდან გასვლა არც კი დაგჭირდებათ!

ამას ემატება ზემოთ აღნიშნული სპასალონიც, რომელმაც სახელი უკვე ყველგან გაითქვა. ეს იმიტომ, რომ **EFOREA SPA** ყველა დანარჩენისგან უნიკალური კონცეფციით გამოირჩევა – ის თითოეულ ქვეყანაში სპაპროცედურებისთვის ადგილობრივ ნატურალურ პროდუქციას იყენებს. საქართველოს შემთხვევაში, „მენიუ“ მჭადის ფქვილს, ქართულ თაფლს, შავი ზღვის მარილსა და ზეითუნის ზეთს მოიცავს. სპაპერსონალი, ხალხური მეთოდების მოდერნიზაციისა და ყველა პროდუქტის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებების შენარჩუნებით, დამსვენებლებს უნიკალურ პროცედურებს სთავაზობს. გარდა ამისა, **EFOREA SPA**-ში იყენებენ **KERSTIN FLORIAN**-ის ბრენდის ანტიეიჯ, ანტიცელულიტურ და სხვა საშუალებებს, რაც ისევ და ისევ ხარისხისა და სიჯანსაღის გარანტიაა.

მოკლედ რომ გითხრათ, „**ჰილტონ ბათუმი**“ დასვენებისა და განტვირთვისთვის საჭირო ყველა საშუალებას ერთ ჯადოსნურ სივრცეში აერთიანებს. ეს კი შესაძლებლობას გაძლევთ, უიკენდის თითოეული წამით დატკბეთ და ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოთ.

**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ**: ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲤᲝᲢᲝ**: HILTON BATUMI.





TRAVEL

# ევროპული არდადეგები

**საქართველოს ვიზალიბერალიზაცია იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულიდან დაუვიწყარი ევროპული არდადეგების დაგეგმვა იმაზე გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე აქამდე იყო. შესაბამისად, დროა ფული მოგზაურობისთვის დაზოგოთ, ჩემოდანი ფერად-ფერადი ტანსაცმლით გაავსოთ და HELLO!-ს რჩეული კურორტებიდან ერთ-ერთს ეწვიოთ...**



ნაომი კემპბელი

## ტოსკანა იტალია

### არქიტექტურა

ტოსკანა შეიძლება ერთ დიდ მუზეუმად ჩაითვალოს. სხვადასხვა პერიოდის ექსტრაორდინარული ნახატები, ქანდაკებები, ფრესკები და არქიტექტურული შედევრები ამ ადგილის მთავარი მახასიათებლებია. სხვა თუ არაფერი, ეს რეგიონი იტალიური რენესანსის დაბადების ადგილადაა მიჩნეული და ისეთი გენიოსების სამშობლოა, როგორებიც მიქელანჯელო, ბოტიჩელი და ლეონარდო და ვინჩი იყვნენ. აქაურობის ხიბლს ნებისმიერ ქალაქში დაბინავებით შეიგრძნობთ. გურმანები და ღვინის მოყვარულები განსაკუთრებული იტალიური სამზარეულოთი და ადგილობრივი ღვინით დატკბებიან; სეირნობის მოყვარულები მთაში გაყვანილ ბილიკებს მიაშურებენ; ველოსპორტის მიმდევრები უსწორმასწორო გზებზე რბოლით გაერთობიან; განტვირთვის მსურველები კი უზადო პლაჟზე წამოწვებიან და გაირუჯებიან.

ტოსკანაში იმდენი რამაა სანახავი, რომ სჯობს გირჩიოთ – მოგზაურობა ფლორენციიდან დაიწყეთ და სიენასა და პიზაში განაგრძეთ. დანარჩენი მიმართულებები თქვენი ინტერესების მიხედვით შეარჩიეთ.

**ვარსკვლავები**
ტოსკანას მუდმივი სტუმრები არიან ნაომი კემპბელი და დენიელ კრეიგი. გარდა ამისა, აქ საკუთარი ვილა აქვთ სტინგსა და ტრუდი სტაილერს (*იხ. HELLO!-ს აგვისტოს ნომერში*). ისინი თავიანთ ვენახს უვლიან და ადგილობრივებთან ერთად კულინარიულ მასტერკლასებს ატარებენ.

**დამატებითი ინფორმაცია**
დასაწყისისთვის ფლორენციაში მდებარე Residenza Giotto-ში დარჩენას გირჩევთ. ქალაქის ცენტრში, მყუდროდ მოწყობილ ნომერში, ერთი კვირის გატარება დაახლოებით 1000 დოლარი დაგიჯდებათ.

## ბადენ-ბადენი, გერმანია

### თერმული აბაზანები

ბადენ-ბადენს ხშირად მოიხსენიებენ ევროპის „საზაფხულო დედაქალაქად“. შვარცვალდის საზღვართან მდებარე ქალაქს უნდა ესტუმროთ ისინი, ვისაც განტვირთვაში ბუნება, სპაპროცედურები და კულტურული მრავალფეროვნებით ტკბობა გეხმარებათ. მუზეუმები, ორიგინალური ბუტიკები, ძველი ქალაქის ღირსშესანიშნაობები, სამოთხის მსგავსი ბაღები, მარლენ დიტრიხის ფავორიტი სამორინე და დაუვიწყარი ხედები – ბადენ-ბადენი ყველაფერს აერთიანებს. მარილისა და რადონის აბაზანები კურორტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა. მოკლედ, გერმანულ არდადეგებს თუ დაგეგმავთ, უპირველესად სწორედ ეს კურორტი უნდა განიხილოთ.

**ვარსკვლავები** უკვე დიდი ხანია, ბადენ-ბადენი ვარსკვლავების თავშეყრის ადგილად გადაიქცა. დიდი შანსია, სეირნობისას ტილ შვაიგერს გადაეყაროთ – ის სწორედ ბადენ-ვიურტემბერგის მხარეშია დაბადებული. გერმანულ კურორტს თავის დროზე ბარაკ ობამაც სტუმრობდა.

**დამატებითი ინფორმაცია**
არჩევანი ქალაქის ყველაზე ძვირფას სასტუმროზე – Brenner’s Park Hotel and Spa-ზე შეაჩერეთ. სწორედ აქ ისვენებდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი. საყვარელ ადამიანთან ერთად ერთკვირიანი დასვენება 3500 დოლარამდე დაგიჯდებათ.







# მალიორკა, ესპანეთი

## ზღაპრული პლაჟი

ხმელთაშუა ზღვის ჯადოსნურ კუნძულზე დასვენება ბავშვობის ოცნებებს მოგაგონებთ. დელფინები და ზღვის ლომები, საუკეთესო პლაჟები, მთიანი პეიზაჟები, ლურჯი ზღვა და უღრუბლო ცა – ეს ყველაფერი თქვენი განწყობის გასაუმჯობესებლად ერთიანდება. პალმა-დე-მალიორკაში მდებარე პალმის ტაძარი ყველაზე მნიშვნელოვანი სანახაობაა. ის გოთიკური არქიტექტურის უზადო ნიმუშია და სიმაღლით (44 მ.) პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსაც კი აღემატება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ კუნძული შოპენის შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო, რაც ამ ადგილის მშვენიერებაზე ისედაც საუბრობს. მალიორკა იდეალურია აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაც – წყლის სპორტი, კლდეზე ცოცვა და მთებში ლაშქრობა აქ ძალიან პოპულარულია.

**ვარსკვლავები** მალიორკას ყოველწლიურად სტუმრობს ესპანეთის სამეფო ოჯახი. მათი საყვარელი სამოგზაურო პერიოდი სააღდგომო და საზაფხულო არდადეგებია. მეფე ფილიპეს კუნძულზე თავისი რეზიდენციაც კი აქვს.

**დამატებითი ინფორმაცია** სასტუმროში დარჩენას თუ გადაწყვეტთ, ერთ-ერთი ყველაზე კარგი არჩევანი პალმა-დე-მალიორკაში მდებარე Boutique Hotel Calatrava იქნება. ორ ადამიანს ერთკვირიანი დასვენება 2500 დოლარამდე დაგიჯდებათ.





ესპანეთის სამეფო ოჯახი



# მიკონოსი საბერძნეთი

## მრავალფეროვნება

კიკლადის არქიპელაგი ბევრ ზღაპრულ პლაჟს აერთიანებს, მაგრამ HELLO!-მ ამჯერად მიკონოსი გამოარჩია, რომელიც ოქროს ქვიშიან სამოთხეს მოგაგონებთ. საოცარ სიმშვიდესთან ერთად ეს ადგილი ხმაურიან ღამის ცხოვრებასაც გთავაზობთ. თეთრი სახლები, კამკამა წყალი, ლურჯი ცა და გარუჯული დამსვენებლები – ირგვლივ ყველა პირობაა იმისათვის, რომ განიტვირთოთ. თუ მხოლოდ დასვენება და სიმშვიდე გსურთ, გირჩევთ კუნძულის ჩრდილოეთით დაბინავდეთ. იმ შემთხვევაში კი, თუ წვეულებებისა და კოქტეილების მოყვარული ხართ, სამხრეთის ნაპირებს უნდა მიაშუროთ.

**ვარსკვლავები** მიკონოსის ოქროს ქვიშები ხშირად მასპინძლობს ალესანდრა ამბროსიოს, რომელსაც კუნძულის პლაჟები მშობლიურ ბრაზილიას აგონებს და უმეტესად სწორედ ხმაურიან, სამხრეთ ნაწილში ჩერდება.

**დამატებითი ინფორმაცია** მიკონოსის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას სასტუმროში – Grace Mykonos-ში ერთი კვირის გატარება 3000 დოლარამდე დაგიჯდებათ. ყველა ნომრიდან დაუვიწყარი ხედი გადაიშლება. უზარმაზარი აუზი კი მზიანი ამინდებით ორმაგად ტკბობაში დაგეხმარებათ.



მიშელ და ბარაკ ობამები









ალესანდრა ამბროსიო







მონიკა ბელუჩი



# კრეტა, საბერძნეთი

## სამზარეულო

საბერძნეთის ყველაზე დიდი კუნძული ვარდისფერი სანაპიროების, ძვირფასი ისტორიის, მთიანი სოფლების, მდიდარი კულტურის, ხმაურიანი ქალაქებისა და უნიკალური ტრადიციების სამშობლოა. ეს ჯადოსნური განზომილება აბსოლუტურად ყველაფერს აერთიანებს. ადგილობრივები ყოველთვის მზად არიან, თავიანთი მხარე საუკეთესო კუთხით წარმოაჩინონ და შესაშური სულისკვეთება და პატრიოტიზმი ტურისტებს გაუზიარონ. კრეტაზე ყოფნისას თავი სხვა სამყაროში გეგონებათ და შეგრძნება გაგიჩნდებათ, რომ გარშემო ყველაფერი ჯადოქრებმა მოხატეს. ამას დაემატება უნიკალური სამზარეულოც, რომელიც ძირითადად ადგილზე მოყვანილი პროდუქტებისგან შედგება. ჯანსაღი ხორცეული, განსაკუთრებული რეცეპტით ამოყვანილი ყველი, უჩვეულო სალათები და ყველაზე არომატული თაფლი – კრეტული ასორტიმენტი სამართლიანად მიიჩნევა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიეტურ სამზარეულოდ. ყველაფერს კიდევ უფრო აგემრიელებს ადგილობრივი წესით დაყენებული ღვინო და ჭიქა რაკი.

**ვარსკვლავები** კრეტა ვარსკვლავების ფავორიტია. აქ ხშირად ისვენებენ მონიკა ბელუჩი, ლეონარდო დიკაპრიო, კრიშტიანუ რონალდუ და სხვები. ხანგრძლივი ბერძნული შვებულებით ისიამოვნა ლედი გაგამაც, რომელმაც კუნძულის სანაპიროებზე რამდენიმე მზიანი დღე გაატარა.

**დამატებითი ინფორმაცია**
ბერძნული არდადეგები ყოველმხრივ დაუვიწყარი იქნება, თუ „კაპიტან +“-ის შემოთავაზებით ისარგებლებთ და 16 ივნისიდან 22 სექტემბრამდე შუალედში კრეტას ჩარტერული რეისით ესტუმრებით. ერთკვირიანი სიამოვნება 400 დოლარამდე დაგიჯდებათ. ღირებულებაში ავიაბილეთი, ტრანსფერი და სამოგზაურო დაზღვევაც შევა. თუ შეღავათიანი ფასებით სარგებლობა გსურთ, უმჯობესი იქნება ნაადრევ ჯავშანზე იზრუნოთ, რაც მოგზაურობის 3-4 თვით ადრე დაგეგმვას გულისხმობს.

# სიცილია, იტალია

## პეიზაჟები

იტალიურ სამოთხეში მოგზაურობისას ყველაზე მეტად მისი პეიზაჟების მრავალფეროვნება გაგაოცებთ. აქ ერთდროულად ისიამოვნებთ ზღვითაც და მთებითაც. თანაც, კატანიაში მოქმედი ვულკანის – ეტნას მონახულებასაც შეძლებთ და მიღებულ ემოციებს ვერასოდეს დაივიწყებთ. კუნძულზე ყოფნისას სახლში შესვლა და დასვენება არცერთი წამით არ მოგინდებათ. აქ იდეალური პირობებია შექმნილი კლდეზე ცოცვის, მთების დალაშქვრის, ყვინთვისა და სხვა მსგავსი აქტივობებისთვის. ისიც შეგიძლიათ, რომ უბრალოდ ისეირნოთ და დატკბეთ უნიკალური არქიტექტურით, რომელიც ყველა საინტერესო ეპოქაში გამოგზაურებთ.

თქვენი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ლიმონის ხის სურნელი, რომელიც სიცილიის განუყოფელი ნაწილია. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს მზის ჩასვლის ჯადოსნური სანახაობაც. აუცილებლად უნდა ეწვიოთ ადგილობრივ ბაზარსაც, რომელიც საოცარი ფერებით გამოირჩევა. რაც შეეხება უშუალოდ სამზარეულოს, მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია: ციტრუსი, თევზეული, ფსტა და ადგილობრივი წესით ამოყვანილი ყველი.

**ვარსკვლავები** გარდა იმ ამერიკელი სიცილიელებისა, რომელთა სიაში მარტინ სკორსეზე, ალ პაჩინო, არიანა გრანდე და ჟან-პოლ ბელმონდო არიან, აქაურობას ხშირად სტუმრობენ მადონა და ჟერარ დეპარდიეც, რომელსაც სიცილიაში საკუთარი ღვინის ბიზნესიც აქვს.

**დამატებითი ინფორმაცია**
სიცილიური არდადეგების დაგეგმვაში „კაპიტან +“ დაგეხმარებათ. ერთკვირიან დასვენებას დაახლოებით 550 დოლარად შეძლებთ. ფასში 3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, თვითმფრინავის ბილეთი, ტრანსფერი და სამოგზაურო დაზღვევა შევა. რასაკვირველია, შეგიძლიათ პირობები თავადაც განსაზღვროთ.



მადონა



**** დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით „**კაპიტან +**“-ს ტელეფონის ნომერზე: +995 032 242 42 40; ელექტრონული ფოსტის მისამართზე: captain@captain.ge, ან ეწვიეთ ოფიციალურ გვერდს Facebook-ზე – **Captain Plus**.*





# რომი, იტალია

## დროში მოგზაურობა





კენდალ ჯენერი



რომში ჩასვლისთანავე მიხვდებით, რომ ეს ტური ისტორიაში მოგზაურობის ტოლფასია. იტალიის დედაქალაქში სიარულისას თავი ნამდვილ „არქიტექ-ტურულ სამოთხეში“ გეგონებათ და სურვილი გაგიჩნდებათ, უძველესი ცივილიზაციის ჯადოსნური ამბები ხელახლა შეისწავლოთ. დროში გამოგზაურებთ ფლავიუსების ამფითეატრი, რომელიც ანტიკური რომისგან შემორჩენილი ყველაზე დიდი ნაგებობაა. კოლიზეუმში ყოფნისას თვალწინ დაგიდგებათ გლადიატორების თავგანწირული ბრძოლა და ეს შეგრძნება იმდენად მძაფრი იქნება, რომ შესაძლოა ყურში მაყურებლების შეძახილებიც კი ჩაგესმათ. არანაკლებ ძვირფასი სანახაობაა ვატიკანი – ყველაზე პატარა დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო, სადაც წმინდა პეტრეს ტაძარი და ათობით ისტორიული მუზეუმია. თითოეული სანახაობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს დაგიტოვებთ და „რომაული არდადეგები“ თქვენ თვალწინ გაცოცხლდება. რასაკვირ-ველია, მოგზაურობა არ ჩაივლის იტალიური პიცისა და სპაგეტის გარეშე. ქალაქში სეირნობისას აუცილებლად მიდით ტრევის შადრევანთან და მონეტის წყალში გადაგდებამდე სანუკვარი სურვილი ჩაიფიქრეთ – ის აუცილებლად აგისრულდებათ!

**ვარსკვლავები** ემა სტოუნი, კენდალ ჯენერი, რიტა ორა, ეშტონ კატჩერი, არნოლდ შვარცენეგერი... რომში შესაძლოა ნებისმიერ ვარსკვლავს გადაეყაროთ. იტალიის დედაქალაქში ხშირად გადაეყრებით კინოგადაღებებსაც.

**დამატებითი ინფორმაცია** გირჩევთ, სასტუმრო IMEPERO ROYAL-ში დაბინავდეთ. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასტუმროა, რომელიც საუკეთესო იტალიური გამოცდილების მიღებაში დაგეხმარებათ. ერთკვირიანი რომაული არდადეგები აქ 700 ევრო დაგიჯდებათ.

**** დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ Royal Plus Tours-ს წერეთლის N18-ში ან დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: +995 599 331 332; +995 555 447 051. www.royalplus.ge*

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.


day Spa by
GERMAINE DE CAPUCCINI
EST. 1995
NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY
SALE
-40% მდე
BOOK NOW
032 236 57 57
67 KOSTAVA ST.
natalispa.ge


natali
SOLARIUM
CLUB
50min 55 GEL
100min 110 GEL
natali.ge
032 236 30 00
67 KOSTAVA ST.



COOKERY

# სასარგებლო და გემრიელი

ჯული მონტეგიუ ცნობილი ნუტრიციოლოგი, იოგას მასწავლებელი და ტელეშოუს LADIES OF LONDON ვარსკვლავია. ის **HELLO!**-ს მკითხველებს რამდენიმე განსაკუთრებულ რეცეპტს გაუზიარებს. თითოეული მათგანი ძალიან გემრიელი, ჯანსაღი და სასარგებლოა. თანაც, მათ მოსამზადებლად 20 წუთზე მეტი არასოდეს დაგჭირდებათ...

## შემწვარი სიმინდის, ხუჭუჭა კომბოსტოსა და ლაიმის სალათი

განსაკუთრებულად მიყვარს გემრიელი სალათების მომზადება – ტრადიციული სალათების განახლება და ორიგინალური ინგრედიენტების დამატება. მათ მოსამზადებლად 10 წუთიც საკმარისია. ხშირად ვიყენებ ხუჭუჭა კომბოსტოს იმიტომ, რომ ძალიან სასარგებლოა. ლაიმის წვენი კი სხვა ინგრედიენტებს უფრო არომატულს ხდის.

**რეცეპტი** 2 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
10 წუთი

**ინგრედიენტები**
- 2 ც სიმინდი
- 1 ს/კ წითელი წიწაკის სუნელი
- 1 ს/კ დაფქვილი კვლიავი
- 250 გრ ხუჭუჭა კომბოსტო (*დაჭრილი*)
- 1 ს/კ ზღვის მარილი
- 1 ც ავოკადო (*პატარა კუბებად დაჭრილი*)
- 1 კონა ცოცხალი ქინძი (*დაჭრილი*)
- 1 ს/კ თაფლი
- 1 ც ლაიმის წვენი

**მომზადების წესი**

**1.** სიმინდის მარცვლები ჭურჭელში ჩაყარეთ, მოაყარეთ წითელი წიწაკის სუნელი და კვლიავი.
**2.** გამოაცხვეთ 10 წუთის განმავლობაში – ვიდრე სიმინდის მარცვლები მუქად არ შეიფერება. შემდეგ კი გააგრილეთ.
**3.** პარალელურად, დიდ ჯამში ჩაყარეთ ხუჭუჭა კომბოსტოს ფურცლები და ზღვის მარილით დასრისეთ, სანამ ფურცლები კარგად არ დარბილდება.
**4.** ერთმანეთში აურიეთ ლაიმის წვენი, თაფლი და ქინძი. სოუსი ბოლოსთვის შემოინახეთ.
**5.** კომბოსტოს ჯამს დაუმატეთ შემწვარი სიმინდი და ავოკადო, მოასხით სოუსი და კარგად ამოურიეთ, შემდეგ კი გემრიელად მიირთვით.



# ლობიოს ცხარე სალათი

ლობიოთი მომზადებული კერძები გამორჩეულად ნოყიერი და სასარგებლოა, მარტივად განაყრებთ და ხორცეულის მაგივრობასაც გიწევთ. ამ მხრივ ჩემი სალათი განსაკუთრებულია, იმიტომ, რომ ის სამი სახეობის ლობიოს აერთიანებს და საჭირო ენერგიით გამარაგებთ, რაც ჯერ კიდევ სუსხიან დღეებთან გამკლავებაში ყველაზე „გემრიელი“ გზით გეხმარებათ.

**რეცეპტი** 4 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
20 წუთი

**ინგრედიენტები**
- 1 ს/კ ქოქოსის ზეთი
- 1 ც ხახვი (*გაფცქვნილი და წვრილად დაჭრილი*)
- 3 თავი ნიორი (*დანაყილი*)
- 3 ც სტაფილო (*გაფცქვნილი და გახეხილი*)
- 1 კონა ნიახური (*წვრილად დაჭრილი*)
- 400 გრ ლობიო (*მოხარშული*)
- 400 გრ თეთრი ლობიო (*მოხარშული*)
- 400 გრ შავი ლობიო (*მოხარშული*)
- 400 მლ პომიდვრის სოუსი
- 1 ს/კ წითელი წიწაკის სუნელი
- 1/2 ს/კ პილპილი
- 2 ს/კ დაფქვილი კვლიავი
- 1 კონა ცოცხალი ბაზილიკა (წვრილად დაჭრილი)
- 1 კონა ცოცხალი ქინძი (*წვრილად დაჭრილი*)
- 1 ც ავოკადო (*გაფცქვნილი და დაჭრილი*)
- 1 ც ლაიმი (*ოთხად გაჭრილი*)

**მომზადების წესი**

**1.** საშუალო ცეცხლზე დადგით ქვაბი, ჩაასხით ქოქოსის ზეთი და ცოტა ხნის შემდეგ ნელ-ნელა დაუმატეთ ხახვი, ნიორი, სტაფილო და ნიახური. ცეცხლზე მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში გააჩერეთ.
**2.** ცეცხლს დაუწიეთ. ქვაბში ჩაყარეთ სამივე სახეობის ლობიო, ჩაასხით პომიდვრის სოუსი და მოაყარეთ სუნელები. გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში. პერიოდულად მოურიეთ.
**3.** მოაყარეთ ბაზილიკა და ცეცხლზე კიდევ 1-2 წუთის განმავლობაში დატოვეთ.
**4.** კერძი პატარა ჯამებში გადაანაწილეთ და გვერდით დაჭრილი ქინძი, ავოკადო და ლაიმი მიუწყვეთ.
**5.** სურვილისამებრ, შეგიძლიათ გახუხული პურის კუბებიც დაუმატოთ.





ფოტო: SARAH HAMILTON-WALKER

# პასტა „პრიმავერა“

ამ საოცარ კერძს სულ რაღაც 20 წუთში მოამზადებთ. რაოდენ წარმოუდგენელიც უნდა იყოს, ის ძალიან ჯანსაღია და ბევრად სჯობს იმ მავნე საკვებს, რომლის მომზადება-საც შესაძლოა გაცილებით მეტ დროს უთმობდეთ.

**რეცეპტი** 4 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
20 წუთი

**ინგრედიენტები**
- 250 გრ მაკარონი (*სასურველია იყოს გლუტენის გარეშე*)
- 2 ს/კ ქოქოსის ან ზეითუნის ზეთი
- 1 ც ხახვი (*გაფცქვნილი და წვრილად დაჭრილი*)
- 2 თავი ნიორი (*დანაყილი*)
- 1 ც ყაბაყი (*წვრილად დაჭრილი*)
- 1 ც ბადრიჯანი (*წვრილად დაჭრილი*)
- 125 გრ შავი ზეთისხილი (უკურკო)
- 400 მლ პომიდვრის სოუსი
- 2 ს/კ პომიდვრის პიურე
- 1 ს/კ დაფქვილი კვლიავი
- 1 ს/კ ტკბილი წიწაკის სუნელი
- 1/2 ს/კ პილპილი
- 1/2 ს/კ წითელი წიწაკის სუნელი
- 1 ს/კ წითელი წიწაკის ფანტელი
- 1 ც ლიმონის წვენი
- ზღვის მარილი
- ცოცხალი ბაზილიკა (*წვრილად დაჭრილი*)

**მომზადების წესი**

**1.** მოხარშეთ მაკარონი ისე, როგორც შეფუთვის ინსტრუქციაშია მითითებული.
**2.** პარალელურად, დიდ ქვაბში ჩაასხით ზეთი, გააჩერეთ საშუალო ცეცხლზე და დაუმატეთ ხახვი და ნიორი. დატოვეთ 3 წუთის განმავლობაში.
**3.** დაუმატეთ ყაბაყი, ბადრიჯანი და ზეთისხილი. დატოვეთ 3 წუთით, შემდეგ კი დაუმატეთ პომიდვრის სოუსი, პიურე, კვლიავი, ტკბილი წიწაკის სუნელი, პილპილი, წითელი წიწაკის სუნელი და ფანტელი.
**4.** მოასხით ლიმონის წვენი და მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი.
**5.** ქვაბი ნელ ცეცხლზე დატოვეთ 10-12 წუთის განმავლობაში და პერიოდულად მოურიეთ.
**6.** მიღებული მასა მოხარშულ მაკარონზე გადაიტანეთ და კარგად აურიეთ. მოაყარეთ ბაზილიკა და გემრიელად მიირთვით.



VALENTINE'S DAY

# საგაზაფხულო დესერტი

მზიანი სეზონის მოსვლა თქვენს სამზარეულოსაც უნდა დაეტყოს. ლამაზი ფერები და გემრიელი ტკბილეული ნებისმიერი მიზეზით გაფუჭებულ განწყობას გამოასწორებს...

## „ყვავილოვანი“ ბლინები

**რეცეპტი** 6-8 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
15 წუთი

**ინგრედიენტები**
- 100 გრ ფქვილი
- 275 მლ ცხიმიანი რძე
- 1 ც მოზრდილი ზომის კვერცხი
- 1 ც მოზრდილი ზომის კვერცხის გული
- 1 ს/კ მცენარეული ზეთი
- 1/4 ს/კ ვარდისფერი ესენცია
- კარაქი
- თაფლი ან შაქრის სოუსი
- მარწყვი
- ჟოლო (*ცოცხალი ან ცოცხლად გაყინული*)

**მომზადების წესი**
**1.** დიდ ჯამში ჩაყარეთ ფქვილი.
**2.** ცალკე ჯამში ჩაასხით რძე. დაამატეთ კვერცხი, კვერცხის გული და მცენარეული ზეთი, შემდეგ კი კარგად ათქვიფეთ.
**3.** მიღებული სითხე ნელ-ნელა ჩაასხით ფქვილის ჯამში და ურიეთ, ვიდრე ერთიან მასას არ მიიღებთ.
**4.** შეურიეთ ვარდისფერი ესენცია სასურველი რაოდენობით (*გააჩნია, რამდენად მკვეთრი ფერის მიღება გსურთ*).
**5.** ცეცხლზე დადგით 18-სანტიმეტრიანი დიამეტრის ტაფა და დაადნეთ 3 ს/კ კარაქი.
**6.** ტაფაში ჩაასხით ჯამში ათქვეფილი მასა ისე, რომ ფსკერი თხლად დაიფაროს. დაახლოებით 1 წუთის შემდეგ ბლინი გადმოაბრუნეთ და მეორე მხარეს 20 წამამდე დროით გააჩერეთ. ბლინი გადაიტანეთ ბრტყელ ზედაპირზე და გასაგრილებლად დატოვეთ.
**7.** მე-6 პუნქტში აღწერილი პროცედურა გაიმეორეთ, სანამ ბლინის მასალას ბოლომდე არ გამოიყენებთ.
**8.** გაგრილებული ბლინები ცალ-ცალკე აიღეთ, შუაზე გადაკეცეთ და გადაახვიეთ ისე, რომ ფორმით ვარდს დაემსგავსოს.
**9.** დააწყვეთ „ვარდები“ დიდ თეთრ თეფშზე, მოაყარეთ ჟოლო, მარწყვი და მოასხით თაფლი ან შაქრის სოუსი.

****თუ გსურთ გემრიელი ბლინების სამყაროში იმოგზაუროთ და ტკბილეულის მრავალფეროვან რეცეპტებს გაეცნოთ, ეწვიეთ ვებგვერდს: lylesgoldensyrup.com.*

**ფოტო**: SARAH HAMILTON-WALKER

საკონსულტაციო კომპანია

# ETERE PR AGENCY

- ბრენდინგი
- მედიადაგეგმარება
- საკომუნიკაციო კამპანიები
- სოციალური მედიის მარკეტინგი
- პროდუქციის რეკლამირება
- ღონისძიებების დაგეგმვა

fb.com/EtereAgency
+ 995 0322 98 03 98



*HALF HOUR...*

# ანა შელია

სამოდელო სააგენტო GEOMODELS-ის მოდელ ანა შელიას სახელი სულ უფრო ხშირად მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სამოდელო სახლებთან ასოცირდება. **HELLO!** მას პარიზში დაუკავშირდა...

**პოდიუმზე** პირველად 11 წლის ასაკში, „თბილისის მოდის კვირეულზე“ მოხვდა. მას მერე ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა და მოთხოვნად მოდელად იქცა.

**ანა, ცოტა ხნის წინ „პარიზის მაღალი მოდის კვირეულზე“ გამოჩნდით. ბრიტანულ სახლ Ralph&Russo-ს ჩვენებაში ალესანდრა ამბროსიოსთან ერთად მიიღეთ მონაწილეობა. გაგვიზიარეთ ის ემოციები, რომლებიც ჩვენების დროს გქონდათ.**

**ა.შ.** სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მინერვიულია, მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ჩვენებამდე კვირეულის ფარგლებში ჩატარებული Yumi Katsura-ს ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა და Ralhp&Russo-ზე მისვლას ვეღარ ვასწრებდი, ძალიან მაგვიან-დებოდა. პირველ საათზე დაბარებული, დაახლოებით ექვსის ნახევრისთვის მივედი, მაშინ როცა შოუ 7 საათზე იწყებოდა. ნერვიულობა ვერც კი მოვასწარი. სრული სიგიჟე იყო! ალესანდრა ამბროსიოც ახალი მოსული იყო და ჩემ გვერდით იჯდა, მასაც მაკიაჟს უკეთებდნენ. ჩვენება რომ დამთავრდა, მხოლოდ მერე გავაანალიზე, რა ჩვენებაზე გამოვედი და თან – ვისთან ერთად.

**ვფიქრობ ყველა მოდელის ოცნება აისრულეთ. რამდენად რთული და „ეკლიანი“ იყო გზა ამ წარმატებისკენ?**

**ა.შ.** მთავარია ქასთინგდირექტორების მოწონება დაიმსახურო; სწორედ მათი დახმარებით შეძლებ დიდი ბრენდების ჩვენებებში მიიღო მონაწილეობა. მოდის კვირეულის პერიოდში პარიზში უამრავი გოგონა ჩამოდის, ყოველდღე სხვადასხვა ქასთინგზე გიწევს სიარული, ლოდინი. ამაში ბევრი დრო იხარჯება, შერჩევიდან კი ზოგჯერ ასეთ პასუხსაც იღებ: „მადლობა მობრძანებისთვის“. შესაძლოა ისე გითხრან ეს სიტყვები, არც კი შემოგხედონ. ძალიან დიდი კონკურენციაა. მოდელებს ბევრჯერ მოვუტყუებივარ – არასწორად მიუსწავლებიათ შერჩევაზე მისასვლელი გზა, რომ დამეგვიანა ან საერთოდ ვერ მივსულიყავი.

**ასეთი კონკურენციის ფონზე, როგორ ფიქრობთ, რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომ სწორედ თქვენ აგირჩიეს?**

**ა.შ.** ჩემი აზრით საჭირო მომენტში საჭირო ადგილას აღმოვჩნდი.

**არაერთ ცნობილ დიზაინერთან გითანამშრომლიათ. განსაკუთრებით რომელი ჩვენება დაგამახსოვრდათ?**

**ა.შ.** ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი Etam-ის ჩვენება იყო. როგორ არ უნდა დაგამახსოვრდეს ისეთ ჩვენებაზე გამოსვლა, სადაც მონაწილეობენ ტოპმოდელები: ანა მილა, როუზ ბერტრამი, მარია ბორგესი, სინდი ბრუნა!

**ბევრს მოგზაურობთ. დამოუკიდებლობა ალბათ უამრავ რამეში გეხმარებათ...**

**ა.შ.** 14 წლის ასაკიდან მარტო ვმოგზაურობ. ამ სფერომ ძალიან გამზარდა, დამოუკიდებელი გამხადა. არცერთ ქალაქში დავიკარგები.

**მოდელების რეჟიმი ყველასთვის ცნობილია. როგორ შეეჩვიეთ ასეთ ჩქარ ტემპს და რაზე მოგიწიათ უარის თქმა?**

**ა.შ.** მარტივად ვიმატებ წონაში. აქედან გამომდინარე, იშვიათად ვჭამ ცომეულს. უარის თქმა გამიჭირდა შოკოლადზე. თუმცა დილაობით მაინც მივირთმევ ხოლმე. მძიმე დღე თუ მელის, შოკოლადი ენერგიას მმატებს.

**თბილისს მალე დაუბრუნდებით. რაიმე კონკრეტული გეგმები თუ გაქვთ?**

**ა.შ.** თბილისში ამ თვეში ვბრუნდები. მომიწევს სკოლაში მისვლა და სწავლის გაგრძელება, მაისში კი გამოცდების ჩაბარება. ივნისში მაღალი მოდის კვირეულზე შესაძლოა ისევ პარიზში გავემგზავრო. **H**

**ტექსტი:** ლულუ კახიანი. **ფოტო:** GETTY IMAGES.

HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo

**რედაქცია** ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი

**სტილის რედაქტორი** ელენე მარგალიტაშვილი

**მოდის რედაქტორი** თათია ლაშაური

**მოდის სტილისტი** თეონა ელიზბარაშვილი

**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი

**მარკეტინგი** მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე

**დიზაინერის ასისტენტი** ნინი ოძელაშვილი

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL

**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ

**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO

**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON

**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ

**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia

Twitter.com/Hellomagazinege



**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; **www.hellomagazine.ge**

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ **HELLO!**-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# HELLO! GEORGIA

## შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია




იკითხეთ **HELLO!** მთელ მსოფლიოში

სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე




ჩამოტვირთეთ ქართული **HELLO!** მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

ANDROID APP ON Google play

Available on the App Store

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge


FREDERIQUE CONSTANT
GENEVE
horological smartwatch
delight
Gwyneth Paltrow
supports DonorsChoose
live your passion
foundation.frederiqueconstant.com
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge